საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების შეფასება

სივიკუსი – სამოქალაქო საზოგადოების ინდექსის ანგარიში
2010

ავტორი: დავით ლოსაბერიძე

თბილისი
2011

საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების შეფასება – 2010

სივიკუსი: მსოფლიო ალიანსი მოქალაქეთა მონაწილეობისათვის მიერ კოორდინირებული საერთაშორისო კვლევითი პროექტი **სამოქალაქო საზოგადოების ინდექსი (სსი)**

An Assessment of Georgian Civil Society – 2010

CIVICUS: World Alliance for Citizen Participation coordinates the Civil Society Index (CSI) project.

კვლევა ჩატარდა და გამოიცა ***ღია საზოგადოების ინსტიტუტის*** ფინანსური მხადაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ღია საზოგადოების ინსტიტუტის პოზიციას.

რედაქტორი: ზეინაბ სარაძე

კოორდინატორი: თიკო ტყეშელაშვილი

თარგმანი: გურამ დუმბაძისა
დიზაინი და დაკაბადონება: ზურაბ ჩერქეზიშვილისა

© მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2011
© The Caucasus Institute for Peace, Democracy and Development, 2011

ISBN 978-99928-37-34-4

გამომცემელი – მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

მისამართი: აკაკი წერეთლის გამზირი 72, თბილისი 0154, საქართველო
საბონენტო ყუთი 101, თბილისი 0108, საქართველო
ტელ: (995 32) 35 51 54, ფაქსი (995 32) 35 57 54
ელ-ფოსტა: info@cipdd.org;
www.cipdd.org

შინაარსი

წინათქმა 7
მადლობის სიტყვა 8
აბრევიატურები 9
შესავალი 11
I. სამოქალაქო საზოგადოების ინდექსი – პროექტი და მიზნები ... 15
1. პროექტის არსი 15
2. პროექტის მიზანი 17
3. სსი-ს იმპლემენტაცია 21
4. სსი-ს შეზღუდვები 26
II. სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში 28
1. ქართული სამოქალაქო საზოგადოების კონცეპტი 28
2. სამოქალაქო საზოგადოების ისტორია 29
3. სამოქალაქო საზოგადოების მეპინგი 33
III. სამოქალაქო საზოგადოების ანალიზი 37
1. სამოქალაქო ჩართულობა 37
1.1 სოციალური ჩართულობის ხარისხი 38
1.2 სოციალური ჩართულობის სიღრმე 40
1.3 სოციალური ჩართულობის მრავალფეროვნება 41
1.4 პოლიტიკური ჩართულობის ხარისხი 43
1.5 პოლიტიკური ჩართულობის სიღრმე 45
1.6 პოლიტიკური ჩართულობის მრავალფეროვნება 45
დასკვნა 47
2. ორგანიზაციული დონე 47
2.1 შიდა მართვა 48
2.2 ინფრასტრუქტურა 49
2.3 შიდასექტორული ურთიერთობები 50
2.4 ადამიანური რესურსები 51
2.5 ფინანსური და ტექნიკური რესურსები 52
2.6 საერთაშორისო კავშირები 55
დასკვნა 55

3. ღირებულებების შიდა პრაქტიკა 56
3.1 დემოკრატიული მართვა 57
3.2 შრომის რეგულირება 58
3.3 ქცევის კოდექსი და გამჭვირვალობა 59
3.4 გარემოსდაცვითი სტანდარტები 62
3.5 სამოქალაქო საზოგადოების ღირებულებები 63
დასკვნა 64
4. ზემოქმედების ხარისხი 65
4.1 გულისხმიერება (შიდა აღქმა) 66
4.2 სოციალური გავლენა (შიდა აღქმა) 67
4.3 გავლენა პოლიტიკაზე (შიდა აღქმა) 69
4.4 გულისხმიერება (გარე აღქმა) 70
4.5 სოციალური გავლენა (გარე აღქმა) 71
4.6 გავლენა პოლიტიკაზე (გარე აღქმა) 73
4.7 სამოქალაქო საზოგადოების გავლენა დამოკიდებულებებზე ... 73
დასკვნა 75
5. გარემო 75
5.1 სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტი 76
5.2 სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტი 80
5.3 სოციალურ-კულტურული კონტექსტი 84
დასკვნა 86
IV. ქართული სამოქალაქო საზოგადოების ძლიერი და სუსტი მხარეები 88
V. რეკომენდაციები 90
VI. დასკვნები 94
დანართები 97
დანართი 1. მონაცემთა ინდიკატორების მატრიცა 97
დანართი 2. ინდიკატორების სანდოობის შეფასება 100
დანართი 3. სამოქალაქო საზოგადოების ინდექსის კვლევის ფარგლებში ჩატარებული შეხვედრების მონაწილეთა სია ... 101
დანართი 4. პროექტის ფარგლებში 2010 წ. ჩატარებული თვისებრივი კვლევების ანგარიშები 108
ბიბლიოგრაფია 109

ცხრილები და დიაგრამები

ცხრილი I. საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ინდექსის მიმართულებათა ქულები 12
ცხრილი I.1.1. სსი-ს განმახორციელებელი ქვეყნების სია 2008-20104 17
ცხრილი. II.1.1. როგორ გესმით სამოქალაქო საზოგადოება? (%%, CSI OS 2009) 28
ცხრილი III.1.1. სამოქალაქო ჩართულობა 38
ცხრილი III.1.2. სოციალურზე ბაზირებული ჩართულობა (WVS 2009) 39
ცხრილი III.1.3. ვისთან ატარებენ ადამიანები თავისუფალ დროს (WVS 2009) 41
ცხრილი III.1.4. პოლიტიკური სახის აქტივობებში მონაწილეობა (WVS 2009) 43
ცხრილი III.1.5. პოლიტიკური ჩართულობის სიღრმე (WVS 2009) ... 45
ცხრილი III.2.1. სსო-თა ორგანიზაციული განვითარების დონე 48
ცხრილი III.2.2. ორგანიზაციათა წლიური ბიუჯეტი (CSI OS 2009) 52
ცხრილი III.3.1. სსო-თა შიდა ღირებულებები და ქცევის ნორმები 57
ცხრილი III.4.1. სსო-თა მიერ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე მოხდენილი გავლენის ხარისხი 66
ცხრილი III.4.2. დამოკიდებულება საზოგადოების სხვადასხვა აქტორს შორის 74
ცხრილი III.4.3. სამოქალაქო საზოგადოების მიმართ მოსახლეობის ნდობის დონე 74
ცხრილი III.5.1. სამოქალაქო საზოგადოების გარშემო არსებული გარემო 76
ცხრილი III.5.2. პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები (ქულები, FH, 2009) 81
ცხრილი III.5.3. სახელმწიფოს ეფექტიანობა (Worldwide Governance Indicators, World Bank, 2008) 83

დიაგრამა 1. საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ინდექსის ალმასის მოდელი 12
დიაგრამა I.2.1. სამოქალაქო საზოგადოების ინდექსის ალმასის მოდელი 20
დიაგრამა I.3.1. სამოქალაქო საზოგადოების ინდექსის იმპლემენტაციის მოდელი 21
დიაგრამა II.3.1. სამოქალაქო საზოგადოების მეპინგი 34
დიაგრამა II.3.2. სოციალური ძალების ანალიზი 35

წინათქმა

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება განვითარების ახალ ეტაპზე გადადის. დაიწყო პროცესი პოსტრევოლუციური ეიფორიისათვის დამახასიათებელი ღირებულებების გადაფასებისა, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ (2003) შემდეგ პრევალირებდა ქვეყანაში. ბოლო წლების მოვლენებმა (მათ შორის: საპროტესტო დემონსტრაციები, არჩევნები, ომი, ეკონომიკური კრიზისი) ხელი შეუწყეს ამ პროცესის დაწყებას. საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში შეინიშნება იმედგაცრუება. რევოლუციური გარდაქმნების წლებმა ვერ მოიტანეს ის შედეგი, რასაც ადამიანები ელოდნენ. ამიტომ ჩნდება სურვილი, გამოიძებნოს არსებული პრობლემების გადაწყვეტის ახალი გზები. ამ მხრივ, სამოქალაქო საზოგადოებაც (კერძოდ, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები – სსო) არ წარმოადგენს გამონაკლისს, თუმცა აქაც, როგორც მთელ ქვეყანაში, ეს პროცესი ნელა მიმდინარეობს. ასე რომ, ყველა მცდელობა, რომელიც ხელს შეუწყობს სიტუაციის გადააზრებასა და ახალი მიზნების დასახვას, წახალისებას და მხარდაჭერას საჭიროებს.

სივიკუს – სამოქალაქო მონაწილეობის მსოფლიო ალიანსის ეგიდით ჩატარდა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ინდექსის კვლევა. მისი იმპლემენტაცია განახორციელა მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურმა ინსტიტუტმა *ღია საზოგადოების ინსტიტუტის* მხარდაჭერით. აღნიშნული კვლევა ახალ გარემოში გარკვევის ერთ-ერთ პირველ მცდელობას წარმოადგენს. პროექტი განხორციელდა განსხვავებული, და ხშირად ურთიერთდაპირისპირებული, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა აქტიური მხარდაჭერით სამოქალაქო საზოგადოების სხვა სეგმენტებთან (მედია, ბიზნესი, პოლიტიკური პარტიები) აქტიური დიალოგის ფონზე. იმედს ვიტოვებთ, რომ თანამშრომლობის ის ატმოსფერო, რომელიც ამ კვლევის მიმდინარეობისას შეიქმნა, მომავალშიც გაგრძელდება საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების სასიკეთოდ.

ანგარიში მოამზადა დავით ლოსაბერიძემ, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის პროგრამების კოორდინატორმა.

საუკეთესო სურვილებით,
მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი
თბილისი, 2010 სექტემბერი

მადლობის სიტყვა

სამოქალაქო საზოგადოების ინდექსის პროექტი განხორციელდა მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიუტის მიერ, ღია საზოგადოების ინსტიტუტის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით. პროექტის მეთოდოლოგია შემუშავდა ,,სივიკუს''-ში.

პროექტის განმახორციელებელ ჯგუფთან ერთად მუშაობდა მრჩეველთა კომიტეტი, რომელიც ანალიზის პროცესში მნიშვნელოვან დახმარებას გვიწევდა.[1]

გვსურს, დიდი მადლობა გადავუხადოთ მკვლევარებს (გიორგი ბაბუნაშვილს, გიორგი გოთუას, სოფიო ვასაძეს, ვასილ მამულაშვილს, თინა ტყეშელაშვილს, ნინო ღამბაშიძეს, თამარ ჩარკვიანს, რუსუდან ჩხეიძეს, მერაბ ცინდელიანს, ზურაბ წიკლაურს, ანა ჭელიძეს, ქეთევან ხაფავას, თინათინ ჯიშკარიანს), რომლებიც მონაწილეობდნენ ქეისების, კვლევების, ფოკუს-ჯგუფების და პროექტის სხვა აქტივობებში – აგროვებდნენ და ამუშავებდნენ მასალებს.

კვლევასა და საბოლოო ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილეობდნენ სივიკუსის წარმომადგენლები: ტრასი ანდერსონი, იოსი ეჩევერი ბურსხარდტი, მარიანო დე დონატისი, მეგან მაკ-გარი, მარკ ნოვოთნი და ენდრიუ ფირმინი.

ეს ანგარიში წარმოადგენს ჯგუფური შემოქმედების ნაყოფს; იგი არ გახლავთ ერთი ექსპერტის ან ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებათა კრებული; ამიტომ განსაკუთრებული მადლიერებით მოვიხსენებთ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს – ეროვნული შეხვედრის მონაწილეებს. მათ მიერ გამოთქმული შენიშვნები და ანალიზი მნიშვნელოვნად დაეხმარა კვლევის პროცესს.

დავით ლოსაბერიძე
მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიუტი

[1] სამოქალაქო საზოგადოების ინდექსის მრჩეველთა კომიტეტში შედიოდნენ: რამაზ აფციაური, პაატა გურგენიძე, კობა ლიკლიკაძე, კამილა მამედოვა, ბაკურ სულაკაური, ლელა ქართველიშვილი, მანანა ღურჭუმელიძე, გია ხასია, თამარ ხიდაშელი, კახა ხიმშიაშვილი, ნანა ჯანაშია, ემზარ ჯგერენაია

აბრევიატურები

BCI – ძირეული უნარების ინდექსი
EPS – შიდა აღქმების კვლევა
VGS – ქართული საზოგადოების ღირებულებათა კვლევა
WVS – მსოფლიო ღირებულებათა კვლევა
CSI OS 2009 – ორგანიზაციული კვლევა
PS – მოსახლეობის კვლევა
SWR – Social Watch Report
CSI / სსი – სამოქალაქო საზოგადოების ინდექსი
სსო – სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია
TI – საერთაშორისო გამჭვირვალობა
FH – Freedom House
HDR – ჰუმანური განვითარების ანგარიში

შესავალი

წინამდებარე კვლევის მიზანი იყო შეესწავლა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დონე (სამოქალაქო ჩართულობა, ორგანიზაციული განვითარების დონე, ღირებულებების შიდა პრაქტიკა, გარემოზე ზემოქმედების ხარისხი და თავად გარემო, რომელშიც სამოქალაქო საზოგადოება მოქმედებს). პროქტის განხორციელება საკმაოდ გაართულა იმპლემენტაციის პროცესში მუშა-ჯგუფის შემადგენლობის ცვლამ და დაფინანსების წყაროთა შეზღუდულობამ, ასევე, კვლევის პროცესში თავმოყრილი ინფორმაციის ნაწილის სანდოობის დაბალმა დონემ.[2]

თავდაპირველად დაგეგმილი იყო სამოქალაქო საზოგადოების ყველა სეგმენტის გამოკვლევა, მაგრამ, არსებითად, გამოვიკვლიეთ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (სსო); საქმე ისაა, რომ კვლევაში ჩართული პირები, თუმცა სწორად განსაზღვრავდნენ სამოქალაქო საზოგადოების არსს, მაინც მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესახებ საუბრობდნენ; სამოქალაქო საზოგადოების სხვა სეგმენტებს (მედია, პოლიტიკური პარტიები, რელიგიური ორგანიზაციები და ა.შ.) მხოლოდ იმდენად ეხებოდნენ, რამდენადაც ეს უკანასკნელნი სსოებზე ზემოქმედებდნენ. აღნიშნული კიდევ ერთხელ მეტყველებს სამოქალაქო საზოგადოებაში სსო-თა დომინანტურ როლზე.

სოციალური ძალების მეპინგის პროცესში გაირკვა, რომ სსო-თა აბსოლუტური უმრავლესობის ხედვით, დღეისათვის ქვეყანაში ორ ღირებულებით დაჯგუფებაზე შეიძლება ვისაუბროთ. ესენია: ა) რეტროგრადული ღირებულებითი სისტემა, რომელიც ტოტალიტარული მემკვიდრეობითაა განპირობებული და საგარეო ორიენტაციაში ჩრდილოური (პრორუსული) ორიენტაციის დომინანტობით გამოიხატება და ბ) დემოკრატიული ღირებულებების სისტემა, რომელსაც ადამიანები დასავლურ

[2] საერთოდ, წყაროების სანდოობა საქართველოში სტატისტიკის აქილევსის ქუსლს წარმოადგენს; საერთაშორისო და ეროვნული წყაროების მონაცემები, აგრეთვე სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტის მონაცემები ხშირად დიამეტრალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

(ევროპულ და ევროატლანტიკურ) ორიენტაციას უკავშირებენ. ქართულ სსო-თა აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ მეორე მიმართულების მხარდამჭერად მიიჩნევს თავს. ნებისმიერ შემთხვევაში, ყველაზე მნიშვნელოვანი ძალა ქვეყანაში, სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნესის სუსტი განვითარების გამო, ხელისუფლების აღმასრულებელი შტოა, კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტი.

უშუალოდ სამოქალაქო საზოგადოების მდგომარეობას სამოქალაქო საზოგადოების ინდექსის ალმასის მოდელი წარმოადგენს.

დიაგრამა 1. საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ინდექსის ალმასის მოდელი



ცხრილი I. საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ინდექსის მიმართულებათა ქულები

	მიმართულება	**ქულები(%)**
I	სამოქალაქო ჩართულობა	20.6
II	ორგანიზაციული დონე	64.5
III	ღირებულებათა პრაქტიკა	64.7
IV	ზემოქმედების ხარისხი	30.3
V	გარემო	59.6

აღნიშნული მონაცემები ღირებულებათა და მოსახლეობის კვლევის შედეგია, თუმცა ეროვნული შეხვედრის მონაწილეებმა ეჭვი გამოთქვეს ამ მონაცემთა ნაწილის სისწორეში.

კერძოდ, გადაჭარბებულად იქნა მიჩნეული ორგანიზაციული განვითარების დონისა და შიდა ღირებულებების მაღალი მაჩვენებელი, შედარებით რეალისტურად – სამოქალაქო ჩართულობისა და ზეგავლენის ხარისხის დაბალი დონე. ეროვნული შეხვედრის მონაწილეებმა ეჭვქვეშ დააყენეს შედარებით სტაბილური გარემოს არსებობაც; მათი აზრით, სურათი ბევრად უფრო მძიმეა.

ეროვნულ შეხვედრაზე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სუსტ მხარედ იქნა მიჩნეული მისი მცირე გავლენა საზოგადოებაზე, ორგანიზაციული განვითარების შედარებით დაბალი დონე და პრაქტიკაში ხელისუფლების მაღალი გავლენის ნეგატიური ასპექტები. ძლიერ მხარეებად დასახელდა: ორგანიზებული ქმედებების გამოცდილება, დემოკრატიული ღირებულებების დომინირება და განვითარების პერსპექტივა, იმ პირობით, რომ ამ პროცესში სხვა აქტორები (პირველ რიგში, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები) გაზრდიან თავიანთი ჩართულობის ხარისხს (სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ხომ დღევანდელ ეტაპზე სწორედ საერთაშორისო დახმარების წყალობით არსებობენ).

შეხვედრაზე ითქვა, რომ სამოქალაქო საზოგადოების მთავარი მიზანია, ხელი შეეწყოს საქართველოში დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული მძლავრი საზოგადოებრივი დაკვეთის შექმნას. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებლად ჩაითვალა ერთიან ღირებულებებზე დაფუძნებული პლატფორმების ჩამოყალიბება და ქსელური მუშაობის გააქტიურება. აღნიშნულმა საქმიანობამ ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოების ფართო ფენების გათვითცნობირებასა და მათ ჩართვას ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში.

ბოლო დროს გამოიკვეთა პოზიტიური ტენდენცია: საზოგადოებაში ხელისუფლების რეიტინგის შემცირების პარალელურად, სახელმწიფოს მხრიდან დაიწყო სსო-ებთან თანამშრომლობის რეჟიმის საჭიროებაზე საუბარი. სამწუხაროდ, სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც ბოლო შვიდი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად დასუსტდა, ხშირად ვეღარ ახერხებს ახალ გამოწვევებზე ადეკვატურ რეაგირებას.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ პროექტის ყველა დონის შეხვედრებზე, მიუხედავად მონაწილეთა პირადი სიმპათიებისა, აღინიშნე-

ბოდა, რომ ქვეყანაში, დაფინანსების შემცირებისა და ხელისუფლების მხრიდან ნაკლები ყურადღების ფონზე, განვითარების ახალი ეტაპი იწყება. ეს ნიშნავს, რომ სამოქალაქო საზოგადოების წინაშე ახალი სახის გამოწვევები დგება:

- განვითარების ოპტიმისტური სცენარის მიხედვით, საერთაშორისო დახმარება და მთელი საზოგადოების მობილიზება ქვეყანაში გააძლიერებს დემოკრატიულ ინსტიტუტებს და შექმნის სტაბილური განვითარების საფუძველს.
- პესიმისტური სცენარი გულისხმობს ქვეყანაში ავტორიტარული მმართველობის გაძლიერებას სუსტი ეკონომიკის, მაღალი ემიგრაციის, პოლიციური სტრუქტურების დომინანტისა და საერთაშორისო კრიმინალური (ნაკობიზნესი, იარაღით უკანონო ვაჭრობა და სხვა) კარტელების გავლენის ზრდის ფონზე.

სსო-თა წარმომადგენლების აზრით, მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების სეგმენტების განვითარების მხარდაჭერას შეუძლია მოგვცეს ოპტიმისტური სცენარის განხორციელების გარანტია.

I. სამოქალაქო საზოგადოების ინდექსი – პროექტი და მიზნები

სამოქალაქო საზოგადოება სულ უფრო მზარდ როლს თამაშობს მსოფლიოში განვითარებისა და მმართველობის პროცესებში. თუმცა, ქვეყნების უმრავლესობაში სამოქალაქო საზოგადოების მდგომარეობის შესახებ არსებული ცოდნა შეზღუდულია. ასევე შეზღუდულია სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეთა შესაძლებლობები, ერთობლივად განიხილონ, იმსჯელონ და რეაგირება მოახდინონ სამოქალაქო საზოგადოების ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მის გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე.

სამოქალაქო საზოგადოების ინდექსი მონაწილეობით ქმედებაზე ორიენტირებული კვლევითი პროექტია, რომელიც აფასებს სამოქალაქო საზოგადოების მდგომარეობას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და აღნიშნული ნაკლოვანებების და შეზღუდვების აღმოფხვრას უწყობს ხელს. ის მიზნად ისახავს ცოდნის შეგროვებას და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის იმპულსის მიცემას. ამ პროექტს ქვეყნის დონეზე ახორციელებენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები *სივიკუსთან (სამოქალაქო მონაწილეობის მსოფლიო ალიანსი)* ერთად. სამოქალაქო საზოგადოების ინდექსის იმპლემენტაცია აქტიურად მოიცავს ფართო სპექტრის მონაწილეებს – სამოქალაქო საზოგადოებას, ხელისუფლებას, მედიას, დონორებს, მეცნიერებს და მთელ საზოგადოებას.

შემდეგი ოთხი თავი მოიცავს ინფორმაციას სამოქალაქო საზოგადოების ინდექსის, მისი პრინციპების და მიდგომების, ასევე, საქართველოში შექმნილი ანგარიშის მეთოდოლოგიის და მისი შეზღუდვების შესახებ.

1. პროექტის არსი

სსი, როგორც იდეა, ათი წლის წინ ჩამოყალიბდა. ის არის გაგრძელება სივიკუსის მიერ 1997 წელს გამოცემული „ახალი სამოქალაქო ატლასისა“, რომელიც მოიცავდა მსოფლიოს 60 ქვეყნის სამო-

ქალაქო საზოგადოების დახასიათებას (ჰაინრიხი და ნაიდუ, 2001). 1999 წელს გამოქვეყნდა სსი-ს მეთოდოლოგია, რომელიც სივიკუსმა ჰელმუთ ანაიერის დახმარებით შექმნა. მეთოდოლოგიის პილოტური გამოცდა მოხდა 2000 წელს 13 ქვეყანაში.[3] პილოტური კვლევის პროცესი და მისი შედეგები 2001 წელს შეფასდა. შედეგად, სივიკუსმა წარმატებით განახორციელა სსი-ს პირველი სრული ფაზა 2003-2006 წლებში მსოფლიოს 53 ქვეყანაში. ეს კვლევა სამოქალაქო საზოგადოების შვიდი ათასი მონაწილის უშუალო ჩართულობით განხორციელდა (ჰაინრიხი, 2008). საქართველო იყო ერთ-ერთი ქვეყანა, რომელმაც განახორციელა სსი-ს შემოკლებული ვერსია 2003-2006 წლებში.

მეთოდოლოგიის კვლევითი და სამოქმედო ორიენტაციის გასაუმჯობესებლად სივიკუსმა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის სოციალური ინვესტიციების ცენტრთან და სხვა პარტნიორებთან და მონაწილეებთან ერთად მეორეჯერ დეტალურად შეაფასა და შეცვალა სსი-ს მეთოდოლოგია. მიმდინარე ფაზის იმპლემენტაცია კი 2008 წელს მოხდა. ამ ახალი და გაუმჯობესებული მეთოდოლოგიით სივიკუსმა დაიწყო სსი-ს ახალი ფაზა 2008 წელს; მან პროექტისთვის შეარჩია პარტნიორი ქვეყნები მთელი მსოფლიოდან, მათ შორის, ზოგიერთი ყოფილი და ახალი იმპლემენტატორები. ცხრილში I.1.1 მოცემულია სსი-ს მიმდინარე ფაზის იმპლემენტატორი ქვეყნების სია.

[3] პილოტური ქვეყნები იყო ბელორუსი, კანადა, ხორვატია, ესტონეთი, ინდონეზია, მექსიკა, ახალი ზელანდია, პაკისტანი, რუმინეთი, სამხრეთ აფრიკა, უკრაინა, ურუგვაი და უელსი.

ცხრილი I.1.1. სსი-ის განმახორციელებელი ქვეყნების სია 2008-2010[4]

ალბანეთი	კონგოს დემოკრატიული	საქართველო
არგენტინა	რესპუბლიკა	სერბეთი
ბაჰრეინი	კოსოვო	სლოვენია
ბელარუსი	ლიბანი	სომხეთი
ბულგარეთი	ლიბია	სუდანი
ბურკინა ფასო	მადაგასკარი	ტონგო
განა	მაკედონია	უგანდა
ვენესუელა	მალი	უკრაინა
ზამბია	მალტა	ურუგვაი
თურქეთი	მექსიკა	ფილიპინები
იაპონია	ნიგერი	ყაზახეთი
იორდანია	ნიკარაგუა	ჩილე
იტალია	რუსეთი	ხორვატია
კვიპროსი	სამხრეთ კორეა	ჯიბუტი

2. პროექტის მიზანი

მიმდინარე სსი-ს პროექტის მიდგომა აგრძელებს ტრადიციას, დაუკავშიროს შეფასება და ფაქტები განსჯასა და მოქმედებას. ქვეყნის დონეზე, სსი-ს იმპლემენტაციისას გადაიდგმება შემდეგი ძირითადი ნაბიჯები:

1. **შეფასება:** სსი იყენებს მონაწილეობითი კვლევის მეთოდების, მონაცემთა წყაროების და „ქეის სთადის“ ინოვაციურ ნაზავს, რათა მოხდეს სამოქალაქო საზოგადოების მდგომარეობის მრავალმხრივი შეფასება ხუთი განზომილების გამოყენებით: სამოქალაქო ჩართულობა, ორგანიზაციული განვითარების ხარისხი, ღირებულებები, ზემოქმედების აღქმა და გარემო კონტექსტი.

2. **ერთობლივი გააზრება:** იმპლემენტაცია მოიცავს სტრუქტურირებულ დიალოგს სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა მონაწილეს შორის, რაც უზრუნველყოფს სამოქალაქო საზოგადოების ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას.

[4] გაითვალისწინეთ, რომ ეს სია შესაძლოა სწორი იყო ქვეყნის ანალიტიკური ანგარიშის გამოცემისას, მაგრამ შესაძლოა შეიცვალა გამოცემის გამოსვლის შემდეგ განხორციელების ციკლიდან ქვეყნების ამოვარდნის ანდა დამატების შედეგად.

3. **ერთობლივი მოქმედება:** მონაწილეები ერთობლივი კონსულტაციის გზით შეიმუშავებენ ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების გეგმას.

ეს მიდგომა მნიშვნელოვან ორიენტირს ქმნის სსი-ს ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოებისთვის. ამდენად, აღნიშნული ინდექსი არ აგროვებს ინფორმაციას უმიზნოდ; ის ცდილობს, მიღებული ცოდნა დაუყოვნებლივ გამოყენებულ იქნეს სამოქალაქო საზოგაოდების ეფექტურობისა და როლის გასაზრდელად სტრატეგიების შემუშავებისას. ამის გათვალისწინებით, სსი-ს ფუნდამენტური მეთოდოლოგიური საფუძვლები, რამაც დიდი ზეგავლენა იქონია მოცემული კვლევის განხორციელებაზე, შემდეგ ელემენტებს მოიცავს:[5]

ინკლუზიურობა: სსი ცდილობს გააერთიანოს სხვადასხვა თეორიული შეხედულება, ინკლუზიური სამოქალაქო საზოგადოების ინდიკატორების, მონაწილეებისა და პროცესების პროექტში ჩართვით.

უნივერსალობა: სსი გლობალური პროექტია და მისი მეთოდოლოგია მოწოდებულია გააერთიანოს ნაციონალური თავისებურებები კონტექსტუალურ და კონცეპტუალურ ჩარჩოში.

შედარობითობა: სსი-ს მიზანი არა რანჟირება, არამედ, მსოფლიოს მასშტაბით, სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა ასპექტის შედარებითი გაზომვაა. შედარების შესაძლებლობა არსებობს როგორც ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით ერთი და იმავე ინდექსის ფაზებს შორის, ისე სხვადასხვა ფაზას შორის.

მრავალმხრივობა: სსი შემუშავებულია იმგვარად, რომ პროექტის განხორციელებისას დაცული იყოს სათანადო წონასწორობა საერთაშორისო შედარობითობასა და განხორციელების მოქნილობას შორის.

დიალოგი: სსი-ს ერთ-ერთი მთავარი ელემეტი მისი მონაწილეობითი მიდგომაა. ეს გულისხმობს შესაბამის ქვეყნებში მხარეთა ფართო სპექტრის ჩართვას პროექტის ერთობლივ მართვაში.

შესაძლებლობების განვითარება: თავდაპირველად, სსი-ს მეთოდოლოგიის სწავლების მიზნით, სამდღიან რეგიონულ შეხვედრაზე ტარდება ტრენინგი ქვეყნის პარტნიორი ორგანიზაციებისათვის. ტრენინგის შემდეგ პარტნიორებს იმპლემენტაციის მთლიანი ციკლის განმავლობა-

---

[5] ამ პრინციპების სიღრმისეული ახნა-განმარტებისთვის იხ. Mati, Silva and Anderson (2010), Assessing and Strengthening Civil Society Worldwide: An updated programme description of the CIVICUS Civil Society Index Phase 2008-2010. CIVICUS, Johannesburg.

ში დახმარებას უწევს სივიკუსის სსი გუნდი. პროექტის მონაწილე პარტნიორები მნიშვნელოვან უნარებს იძენენ კვლევის, ტრენინგის და ფასილიტაციის კუთხით.

ქსელურობა: სსი მეთოდოლოგიის (ფოკუს-ჯგუფები, მრჩეველთა კომიტეტი, ეროვნული შეხვედრა) მონაწილეობითი და ინკლუზიური ბუნება ქმნის ახალ არეალს, სადაც სხვადასხვა აქტორს შეუძლია აღმოაჩინოს სინერგიები და შექმნას ახალი ალიანსები, მათ შორის, კროსსექტორალ დონეზე. დასკვნით ფაზაში ზოგიერთმა ქვეყანამ მონაწილეობა მიიღო რეგიონულ კონფერენციებში, სადაც განიხილებოდა სამოქალაქო საზოგადოების ინდექსის შედეგები და სამოქალაქო საზოგადოების ქვეყნებსშორისი საკითხები.

ცვლილება: სსი-ს პრინციპული მიზანია შეაგროვოს ინფორმაცია, რასაც პრაქტიკულად გამოიყენებენ სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეები და სხვა ძირითადი მხარეები. ამდენად, სსი-ს მეთოდოლოგია სამოქალაქო საზოგადოების ისეთ ასპექტებს გამოავლენს, რომელთა ცვლილებაც შესაძლებელია; იგი ახდენს ისეთი ინფორმაციის და ცოდნის გენერირებას, რაც მოქმედებაზე ორიენტირებულ მიზნებს შეესაბამება.

ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპებიდან გამომდინარე, სსი მეთოდოლოგია აერთიანებს მონაწილეობითი და სამეცნიერო კვლევის მეთოდებს, რათა ეროვნულ დონეზე შესაძლებელი იყოს სამოქალაქო საზოგადოების შეფასება. სსი იკვლევს შემდეგ ძირითად განზომილებებს:

(1) სამოქალაქო ჩართულობა

(2) ორგანიზაციული განვითარების ხარისხი

(3) ღირებულებები

(4) ზემოქმედების აღქმა

(5) გარემო კონტექსტი

ამ განზომილებების ილუსტრაცია მოცემულია „სამოქალაქო საზოგადოების ალმასში“ (იხ. სურათი I.2.1), რაც სსი-ის პროექტის ერთ-ერთ ყველაზე ძირეულ და ცნობილ კომპონენტს წარმოადგენს. „სამოქალაქო საზოგადოების ალმასის“ შესადგენად საჭიროა 67 რაოდენობრივი ინდიკატორის 28 ქვეგანზომილებაში გაერთიანება, რომლებიც შემდგომ ხუთ საბოლოო განზომილებაში ერთიანდება 0-100 პროცენტიან შკალაზე. „ალმასის“ ზომა განასახიერებს სამოქალაქო საზოგადოების

მდგომარეობის ემპირიულ სურათს: იმ პირობებს, რაც ხელს უწყობს ან უშლის სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების აქტივობის შედეგებს ფართო საზოგადოებისთვის. კონტექსტი და გარემო ვიზუალურად წარმოდგენილია ღერძების გარშემო არსებული წრით; ის არ განიხილება როგორც სამოქალაქო საზოგადოების მდგომარეობის ნაწილი; ის საზოგადოების კეთილდღეობის, მართალია, გარეშე, მაგრამ უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

დიაგრამა I.2.1. სამოქალაქო საზოგადოების ინდექსის ალმასის მოდელი



სამოქალაქო საზოგადოების ინდექსის კვლევამ უზრუნველყო საჭირო სტრუქტურა და შესაძლებლობა იმისა, რომ არსებული ძლიერი და სუსტი მხარეები გაანალიზდეს და შედგეს სამომავლო გეგმები. შედარებისთვის, სამოქალაქო საზოგადოების წინა კვლევის ძირითადი ფოკუსი იყო სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა ორგანიზაციის შესაძლებლობები (ნოდია, 2005). გარდა ამისა, მონაწილეთა შერჩევა წინა კვლევისას მეტად შეზღუდული იყო და, უმეტესწილად, მოიცავდა საერთაშორისო დონორების მიერ დაფინანსებულ არასამთავრობოებს. შედეგად წინა კვლევაში ვერ მოხვდნენ მნიშვნელოვანი ჯგუფები, როგორებიცაა რელიგიური ორგანიზაციები, ხელოვანთა ასოციაციები და სხვა შედარებით არაფორმალური ჯგუფე-

ბი. სამოქალაქო საზოგადოების ამგვარი ვიწრო დეფინიცია საქართველოს სხვა მნიშვნელოვან პრობლემას გამოავლენს – არასამთავრობოების დომინირებას საქართველოს სოციალურ სივრცეში. გარდა ამისა, სუსტია კავშირები სხვადასხვა ტიპის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის. შედეგად, ხშირად ორგანიზაციებმა/ჯგუფებმა არ იციან, რას აკეთებენ სხვა ჯგუფები საკუთარ სექტორშიც კი. ხშირად ჯგუფები ერთიანდებიან სხვადასხვა საკითხის გარშემო, რაც ხელს უშლის მათ შორის თანამშრომლობას და გამოავლენს საერთო პლატფორმის საჭიროებას, რათა მოხდეს იმ პრობლემების და გამოწვევების განხილვა, რომლებიც უფრო მწვავედ დგას სამოქალაქო საზოგადოების წინაშე.

3. სსი-ს იმპლემენტაცია

ქვემოთ მოცემული სურათი გამოსახავს სამოქალაქო საზოგადოების ინდექსის პროგრამის განხორციელების ძირითად აქტივობებს და მონაწილე სტრუქტურებს.[6]

დიაგრამა I.3.1. სამოქალაქო საზოგადოების ინდექსის იმპლემენტაციის მოდელი



[6] ამ პროცესის თითოეული ეტაპის უფრო დეტალური განხილვისთვის იხ. Mati et al.

ეროვნულ დონეზე სსი იმპლემენტაციის ძირითადი მეთოდები და ელემენტები მოიცავს:

- კვლევებს: (i) **მოსახლეობის გამოკითხვას** სამოქალაქო საზოგადოებაზე მოქალაქეების შეხედულებების შესაგროვებლად და ჯგუფებში და ასოციაციებში მათი მონაწილეობის დასადგენად; (ii) **ორგანიზაციების გამოკითხვას**, რომელიც ზომავს სამოქალაქო საზოგადოების შუალედურ დონეს და ადგენს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მახასიათებლებს; (iii) **გარემო აღქმის კვლევას**, რომლის მიზანია გაზომოს სამოქალაქო საზოგადოების ზემოქმედების აღქმა ძირითად სექტორებში სხვადასხვა მხარის, ექსპერტების და პოლიტიკის შემქმნელების მიერ;
- მორგებული **„ქეის სთადი“ კვლევები**, რომლებიც ფოკუსირებულია კონკრეტული ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე;
- მრჩეველთა საბჭოს შეხვედრები, სადაც სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტები პროექტსა და მისი განხორციელების გზებს განიხილავენ;
- რეგიონული და თემატური ფოკუს-ჯგუფები, სადაც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა და სხვადასხვა მხარის მიერ განიხილება სამოქალაქო საზოგადოების როლი საზოგადოების ცხოვრებაში.

სიღრმისეული კვლევების ჩატარებისა და ინფორმაციის შეგროვების შემდეგ შედეგების წარდგენა და განხილვა ხდება ეროვნულ შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებიან სამოქალაქო და არასამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. აქ მუშავდება სტრატეგიები პრიორიტეტული პრობლემების გადასაჭრელად.

ქვეყნის ანალიტიკური ანგარიში საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ინდექსის განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროდუქტია. ის მოიცავს ჩატარებული კვლევის მნიშვნელოვან საკითხებს, სამოქალაქო საზოგადოების ძლიერი და სუსტი მხარეების რეზიუმეს, ასევე, რეკომენდაციებს, თუ როგორ უნდა მოხდეს სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება ქვეყანაში. კვლევას ერთვის სამოქმედო გეგმა, რომელშიც მოცემულია პრაქტიკული რეკომენდაციები იმ ინიციატივების შესახებ, რომლებიც სსო-თა წინაშე მდგარ საკითხებს შეეხება.

სამოქალაქო საზოგადოების ინდექსი მეთოდოლოგიით გათვალისწინებული გზამკვლევების მიხედვით, კავკასიური ინსტიტუტის ძალისხმევა მიმართული იქნა სამოქალაქო საზოგადოების ფართო მხარდაჭერის მისაღებად და პროექტის განხორციელების მეთოდოლოგიის შესახებ კონსენსუსის მისაღწევად. მრჩეველთა საბჭომ, რომელშიც სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებთან ერთად (ეთნიკური ჯგუფები, არასამთავრობები, გარემოს დაცვის აქტივისტები და ა.შ.) შედიოდნენ ბიზნესის, ხელისუფლების და დონორების წარმომადგენლები, გადამწყვეტი როლი ითამაშა ამ პროცესში. ჯგუფში არსებული მრავალმხრივი პოზიტიური ინტერესის არსებობამ განაპირობა დისკუსიის მაღალი ხარისხი და სათანადო კავშირის დამყარება სამოქალაქო საზოგადოებასა და პროექტის გუნდს შორის.

ერთ-ერთი გამოწვევა, რომლის წინაშეც დადგა პროექტის გუნდი, იყო სამოქალქო საზოგადოების ცნების ოპერაციონალიზაცია და კვლევითი პროექტის მიზნების საზღვრების დადგენა. მრჩეველთა საბჭომ დიდი წვლილი შეიტანა ამ პროცესში. განსაკუთრებით მწვავე დებატები გამოიწვია საზღვრის გავლების საკითხმა რელიგიურ ჯგუფებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის; კამათის ერთი მიზეზი იყო ისიც, კვლევის შერჩევაში უნდა ჩაერთოთ თუ არა პოლიტიკური პარტიები. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხებზე კონსენსუსის მიღწევა ვერ მოხერხდა, ეს განხილვები ძალიან დაეხმარა პროექტის ჯგუფს, რომ ზემოაღნიშნული პრობლემები სათანადოდ გადაჭრილიყო.

სივიკუსის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით, პროექტის ფარგლებში სამი რაოდენობრივი და ხუთი ხარისხობრივი „ქეის სთადი“ ჩატარდა. რაოდენობრივი კვლევებიდან მიღებული მასალა გამოყენებულ იქნა „ქეის სთადი-ს“ კვლევებში. მოხდა მეორადი ინფორმაციის შეგროვება და ანალიზიც.

მოსახლეობის კვლევა – ეს კვლევა სამოქალაქო საზოგადოების ინდექსის პროექტის ინფორმაციის მთავარი წყარო იყო. ამ კვლევის კითხვების უმრავლესობა 2009 წლის მსოფლიოს ღირებულებების კვლევიდან არის აღებული. საბედნიეროდ, ჩვენ შევძელით მოგვეპოვებინა საქართველოში CRRC-ს ზედამხედველობით GORBI-ს მიერ ჩატარებული მსოფლიო ღირებულებების კვლევის (world value survey) შედეგად მიღებული მონაცემები, რომლებიც „სამოქალაქო საზოგადოების ალმასის“ შესადგენად გამოვიყენეთ. თუმცა, ზოგიერთი კითხვა, რომელსაც ეყრდნობა სივიკუსის კვლევა, არ იყო წარმოდგენილი ზემოხ-

სენებულ ღირებულებების კვლევაში. ამ პრობლემის დასაძლევად დამატებითი კვლევა შევუკვეთეთ მარკეტინგული კვლევის კომპანიას ACT. ამან კიდევ ერთი თავსატეხი გაგვიჩინა: მაინც რომელი მონაცემები უნდა აგვეღო ცალკეული შემთხვევების მაჩვენებლების შესადგენად?[7]

ორგანიზაციების კვლევის (CSI OS 2009) მიზანია ფაქტებზე დამყარებული ინფორმაციის შეგროვება სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა დამოკიდებულების შესახებ ისეთი საკითხის მიმართ, როგორიცაა ორგანიზაციული პრაქტიკა, ხელისუფლებასთან ურთიერთობა, საკუთარი წარმატების შეფასება და ა.შ. ჩატარდა სტრუქტურირებული ინტერვიუები ასი ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის უმაღლეს წარმომადგენლებთან. ამ კვლევის მომზადებისას უმთავრეს დაბრკოლებას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების შესახებ არ არსებობდა სრულყოფილი მონაცემთა ბაზა. ამიტომ არსებულ ინფორმაციასთან ერთად გამოვიყენეთ ე.წ. „თოვლის გუნდის“ (snowball) მეთოდი სხვადასხვა კატეგორიის ორგანიზაციების შესარჩევად. თითოეული სფეროს წარმომადგენელს ვეკითხებოდით ამ სფეროში ცნობილი ორგანიზაციების შესახებ. თითოეული სექტორიდან კვლევაში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ორგანიზაცია შევარჩიეთ. ამ მიდგომის უპირატესობა იყო ორგანიზაციების წარმომადგენლობითი შერჩევის შექმნის შესაძლებლობა. ამასთან, შერჩევის შემადგენლობის განსასაზღვრად გამოვიყენეთ ექსპერტთა შეფასებები სხვადასხვა ჯგუფის წონის დასადგენად.

გარემო აღქმის კვლევა (CSI EPS) გამოვიყენეთ, რათა შეგვეფასებინა ფართო საზოგადოების და გადაწყვეტილების მიმღებთა დამოკიდებულებები და შეხედულებები სამოქალაქო საზოგადოების აქტივობის და მათი ზემოქმედების შესახებ. ჩვენი კითხვარის რესპონდენტები იყვნენ ჟურნალისტები, პოლიტიკოსები, ინტელექტუალები, ბიზნესმენები და სხვა – სულ 25 ადამიანი. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი კატეგორიის რესპონდენტის გამოკითხვა გაძნელდა (უმეტესად, ასეთები იყვნენ სხვადასხვა სამინისტროს წარმომადგენლები), მაინც შევძელით სხვადასხვა ელიტური ჯგუფის ჩართვის გზით წარმოგვეჩინა რეპრეზენტატიული შეხედულებები.

კონკრეტული შემთხვევის კვლევები (case study). რაოდენობრივ მონაცემებთან ერთად სამოქალაქო საზოგადოების ინდექსის კვლევა ასევე

[7] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორი კვლევის შედეგებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ ყოფილა დაფიქსირებული.

მოიცავდა ხუთ ხარისხობრივ „ქეის სთადის“ კვლევას „ალმასის“ თითოეული განზომილებისთვის. ამ კვლევების თემები პროქტის ადგილობრივ პერსონალთან და სივიკუსის სსი-ს ჯგუფთა კონსულტაციების შედეგად შეირჩა. ამის შედეგად გამოვყავით განსაკუთრებული გამოწვევის მქონე პრობლემები საქართველოში. ამ კვლევების უმრავლესობა ეყრდნობა სიღრმისეულ ინტერვიუებს და მეორად მონაცემებს. ერთ-ერთი კვლევისას გამოვიყენეთ ელექტრონული და ვიზუალური მედია, კერძოდ, წამყვანი ქართული ტელევიზიების (*საზოგადოებრივი მაუწყებელი*, *რუსთავი 2* და *იმედი*) ახალი ამბების პროგრამები.

რაოდენობრივი და „ქეის სთადი“ კვლევების შემდეგ ჩატარდა **რეგიონული ფოკუს-ჯგუფები**. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ათი ფოკუს-ჯგუფი ჩატარდა, თითოეულში 13-25 წარმომადგენლის მონაწილეობით. შეხვედრებზე განხილულ და ურთიერთგაზიარებულ იქნა კვლევის პირველადი შედეგები; ეს საფუძვლად დაედო სამოქალაქო საზოგადოების მდგომარეობის დახასიათებას და მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელი ქმედებების შესახებ რეკომენდაციების შემუშავებას. უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა რეგიონის წამომადგენელთა შეხედულებებს შორის რამე თვალსაჩინო განსხვავებას არ ჰქონია ადგილი, რაც ქვეყანაში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების, ძირითადად, მსგავს წუხილებზე და სოციალურ პოზიციებზე მეტყველებს.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა უმრავლესობა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები იყვნენ. თუმცა, ფოკუს-ჯგუფებს მცირე ოდენობით ადგილობრივი ხელისუფლების, ბიზნესის და მეცნერების/განათლების სფეროს წარმომადგენლებიც ეწრებოდნენ. ფოკუს-ჯგუფებმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ მსგავსი შეხვედრების სიმწირის გამო, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილზე მეტი დრო დასჭირდათ, რათა ერთმანეთის მიმართ „გახსნილიყვნენ“ და საკუთარი პროექტები განეხილათ.

მრჩეველთა საბჭოს მეორე შეხვედრა. ემპირიული კვლევის შედეგები წარედგინა მრჩეველთა საბჭოს მეორე შეხვედრაზე. შეხვედრამდე მონაცემთა მატრიცა ყველა მონაცემით დაეგზავნათ მრჩეველთა საბჭოს წევრებს. ეროვნული გუნდის მუშაობა დადებითად შესრულდა; შემოთავაზებულ იქნა ზოგიერთი მოსაზრება. ასევე, შეფასდა მონაცემთა სანდოობა, ხოლო ზოგიერთი ინდიკატორი არასანდოდ იდენტიფიცირდა.

ეროვნული შეხვედრა. მონაცემები და ალმასის მოდელი წარედგინა საზოგადოების სავადასხვა დაინტერესებულ ჯგუფს და მედიას. ეროვ-

ნულ შეხვედრაზე სამოქალაქო საზოგადოების სამოცდახუთმა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. თითოეულმა სექტორმა წარმოადგინა უნიკალური მოსაზრება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ფრაგმენტირებულია სოციალური და პოლიტიკური საკითხები, შეხვედრის მონაწილეებს შორის გარკვეული ბალანსის დაცვა მაინც მოხერხდა. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, მონაწილეები, უმეტესად, ერთმანეთს ეთანხმებოდნენ მიღებული შედეგების ინტერპრეტაციაში. ეროვნულ შეხვედრაზე ეროვნული გუნდის წევრებმა ჩამოაყალიბეს **სამოქმედო გეგმა**, თუ როგორ შეუძლია სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს, წვლილი შეიტანოს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებასა და კონსოლიდაციაში. ცხადია, შეხვედრაზე განსხვავებული მოსაზრებებიც იყო მოსმენილი და განხილული. ამან ხელი შეუწყო საინტერესო დისკუსიის გამართვას სამოქალაქო საზოგადოების წინაშე მდგარ პრობლემებზე.

4. სსი-ს შეზღუდვები

უნდა აღინიშნოს წინამდებარე კვლევასთან დაკავშირებული ორი შეზღუდვა. პირველი უკავშირდება შერჩევის პროცესს. შერჩევის პროცესი საკმაოდ გაართულა იმ გარემოებამ, რომ არ არსებობდა შერჩევის ჩარჩო. ეს პრობლემა რომ გადაგვეწყვიტა, შევადგინეთ სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა სექტორის ორგანიზაციების დეტალური სია და შერჩევა მოხდა „თოვლის გუნდის“ მეთოდით თითოეული იდენტიფიცირებული კატეგორიის შიგნით. სივიკუსის სამოქალაქო საზოგადოების ინდექსის გუნდმა მოგვიანებით მოიწონა მეთოდოლოგიის ეს არჩევანი. აღნიშნული მეთოდის წყალობით, მოცულ იქნა სამოქალაქო ორგანიზაციების ფართო სპექტრი, რამაც აამაღლა მთლიანად კვლევის სანდოობა. ამასთან, ამ მიდგომის სირთულეები უკავშირდება შერჩევის არასტატისტიკურ ხასიათს. კვლევის შედეგების განზოგადების შესაძლებლობები მხოლოდ იმ შემთხვევებით შემოიფარგლება, რომლებშიც სწორი სტატისტიკური პროცედურები იყო გამოყენებული.

მეორე შეზღუდვა ეხება კვლევის შედარებით ბუნებას. როგორც ექსპერტებმა აღნიშნეს, ზოგიერთი ინდიკატორი არ ასახავს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების რეალურ მდგომარეობას. მათი აზრით, ამის ძირითად მიზეზს კითხვების ფორმულირება/სტრუქტურირება წარმოადგენს. ზოგჯერ კვლევითი კითხვის არაადეკვატურმა ფორმულირებამ შეიძლება არასწორი სოციალური სურათი მოგვცეს. მაგალი-

თად, კითხვაზე, ჰყავს თუ არა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას გამგეობა ან სხვა მმართველი ორგანო, რესპონდენტთა უმრავლესობამ დადებითად უპასუხა. ექსპერტთა აზრით, სინამდვილეში, ბევრი ორგანიზაციის რეალობა ისაა, რომ გამგეობა მხოლოდ ფურცელზე არსებობს (სხვადასხვა მიზეზის გამო), ხოლო გადაწყვეტილების მიღება ორგანზიაციის შიგნით არაფორმალურ სტრუქტურას ეფუძნება. შესაძლოა კარგი ყოფილიყო დამაზუსტებელი კითხვები, მაგრამ პასუხები ამ კითხვებზე არ შეიძლება და არც უნდა იყოს გამოყენებული შედარებითი ანალიზისას.

სამოქალაქო საზოგადოების ანალიზისას თვალშისაცემი ხდება მთელი რიგი მონაცემების ურთიერთშეუთავსებლობა. გარე აქტორების (მოსახლეობა, სახელმწიფო, ბიზნესი) დამოკიდებულება სამოქალაქო საზოგადოებისადმი, სამოქალაქო საზოგადოების შიგნით სხვადასხვა სეგმენტის ურთიერთდამოკიდებულება ან თუნდაც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა თვითშეფასება ხშირად წინააღმდეგობრივია. ჩვენთვის ამოსავალი იყო მოსახლეობის კვლევის შედეგები, მაგრამ იქვე ვაფიქსირებდით სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა უმრავლესობის (ეროვნული შეხვედრის მონაწილეები და ექსპერტები) ხშირად საკმაოდ სკეპტიკურ მოსაზრებებსაც, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების აქტორების მიერ საკუთარი ხედვების, მეტწილად, არაადეკვატურ დასაბუთებასაც.

კიდევ ერთ უმთავრეს პრობლემას მონაცემთა სანდოობის ხარისხი ქმნის, განსაკუთრებით, ეროვნული სტატისტიკის სფეროში. შედარებით დამაჯერებელია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, თუმცა ხშირად ისიც ურთიერთწინააღმდეგობრივია და ხელაღებით არც მისი ნდობა შეიძლება.

II. სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში

1. ქართული სამოქალაქო საზოგადოების კონცეპტი

სამოქალაქო საზოგადოების კონცეპტის განსაზღვრებასთან დაკავშირებით საქართველოში დიდი კამათი ჯერჯერობით არ ყოფილა, ვინაიდან თავად ტერმინი „სამოქალაქო საზოგადოება“ პოსტტოტალიტარულ ქვეყნებში შედარებით გვიან შემოვიდა ხმარებაში. სამოქალაქო საზოგადოების, კერძოდ, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები სამოქალაქო საზოგადოებას განსაზღვრავენ ისე, როგორც ამას სივიკუსი განსაზღვრავს – ესაა „ადგილი ოჯახის, სახელმწიფოს და ბაზრის გარეთ, რომელიც შექმნილია ინდივიდუალური და კოლექტიური ძალისხმევის შედეგად ორგანიზაციების და ინსტიტუტების მიერ გაზიარებული ინტერესების განსახორციელებლად/მისაღწევად“. თვით სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა საუბარში სამოქალაქო საზოგადოების შესახებ მოხმობილია ისეთი ტერმინები, როგორებიცაა დემოკრატია, ჩართულობა, აქტიურ მოქალაქეთა ერთობა, სიტყვის თავისუფლება, გამჭვირვალობა, სამართლებრივი გარემო. სამოქალაქო საზოგადოების განსაზღვრისას თვით ამ საზოგადოების წარმომადგენელთა მიერ დომინირებს განსაზღვრება „აქტიურ ადამიანთა ერთობლიობა“. ქვემოთ მოტანილი ცხრილი აჯამებს ორგანიზაციული გამოკითხვის პროცესში მიღებულ შედეგებს – როგორ ესმით რესპონდენტებს სამოქალაქო საზოგადოების რაობა.

ცხრილი. II.1.1. როგორ გესმით სამოქალაქო საზოგადოება? (%%, CSI OS 2009)

აქტიურ ადამიანთა ერთობლიობა	36.6
საზოგადოების ინტერესების გამომხატველი/დემოკრატიის დამცველი	16.9
მოქალაქეთა ერთობის ფორმა	14.9
საზოგადოების პასუხისმგებლობის მქონე ნაწილი	6.0
საკუთარი უფლებების მცოდნე საზოგადოება	5.9
პოლიტიკური ინსტიტუტების ერთობლიობა	4.0

საქართველოში საკმაოდ ძლიერია ლიბერალური განწყობები, რაც პოსტსაბჭოთა პერიოდის მოვლენად და სოციალისტური სისტემის მიუღებლობისა და მასზე რევანშის მცდელობად უნდა ჩაითვალოს. სამოქალაქო საზოგადოების ერთი ნაწილი სამოქალაქო საზოგადოებად არ მოიაზრებს ისეთი რადიკალური განწყობის მარგინალურ ჯგუფებს, როგორებიც არიან პოლიტიკური თუ რელიგიური ექსტრემისტები. უფრო მეტიც, სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი თავის წევრად არ მოიაზრებს პროფკავშირებსაც კი, რომლებიც საბჭოური მენტალიტეტის რელიქტებად არიან მიჩნეულნი.

კიდევ უფრო ვიწროვდება სამოქალაქო საზოგადოების გაგება, როცა ამ უკანასკნელის წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ იწყება საუბარი. მართალია, დისკუსიებისას სამოქალაქო საზოგადოებას განსაზღვრავენ ფართო გაგებით (პარტიები, ეკლესია, კავშირები, მედია, სსო) და მის როლს ქვეყნის განვითარების პროცესში დადებითად აფასებენ, მაგრამ კონკრეტულ კითხვებზე პასუხისას და ცალკეული საკითხების განხილვისას აქცენტი კეთდება მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა პრობლემებზე და სხვა სეგმენტებს ეხებიან იმდენად, რამდენადაც ეს მესამე სექტორს ეხება.

შესაბამისად, შეფასების მომზადებისას ძირითადი აქცენტი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა აღწერაზე გავაკეთეთ. სხვა სეგმენტები დაიფარა იმდენად, რამდენადაც მასალა იძლეოდა ამის საშუალებას.

2. სამოქალაქო საზოგადოების ისტორია

თუ შუა საუკუნეებში საქართველოში არსებულ რაინდულ ორდენებს, ხელოსანთა ამქრებს, სავაჭრო გილდიებს და ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას სამოქალაქო საზოგადოების კლასიკურ წარმომადგენლებად არ დავსახავთ, სამოქალაქო საზოგადოების ჩასახვის ხანად XIX საუკუნის შუახანები უნდა მივიჩნიოთ. საქართველოში, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, ისეთივე პროცესები ვითარდებოდა, როგორც აღმოსავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში (რუსეთის და ავსტრო-უნგრეთის იმპერიები). კერძოდ, ძლიერდებოდა ნაციონალური და საგანმანათლებლო მოძრაობა, რომლის მიზანსაც საზოგადოების ევროპული მოდერნიზაცია და ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა ან ფართო ავტონომიის მოპოვება წარმოადგენდა. 1879 წელს შეიქმნა „ქართველთა შორის წერა-კითხვის

გამავრცელებელი საზოგადოება“, რაც, ბევრის აზრით, პირველი თანამედროვე ტიპის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია იყო.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოში უკვე არსებობდა საკმაოდ აქტიურად მოქმედი სამოქალაქო საზოგადოება, რომლის საქმიანობაც საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავდა და პოლონეთის, ბალტიისპირეთისა და ფინეთის სამოქალაქო საზოგადოებებთან ერთად რუსეთის იმპერიის ყველაზე უფრო დემოკრატიულ სეგმენტს ქმნიდა.

სამოქალაქო საზოგადოების შემდგომი განვითარება რუსეთში ბოლშევიზმის გამარჯვებამ და რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) ოკუპაციამ შეაჩერა. საქართველოში, რომელიც 1922 წელს იძულებით იქნა შეყვანილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების მსგავსად, კვაზისამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესი დაიწყო.[8] საბჭოთა საქართველოს (1921-1991) არსებობის პერიოდში ქვეყანაში ყალიბდება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა უშიშროების (სუკ-ის) მიერ ტოტალურად კონტროლირებადი სამოქალაქო ორგანიზაციები (სპორტული კლუბები, მწერალთა თუ ხელოვანთა კავშირები, ფორმალურად არსებული პროფკავშირები და ა.შ.).

საბჭოთა კავშირში XX საუკუნის 80-იან წლებში დაწყებულმა რეფორმების პროცესმა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების მანამდე აკრძალული (პოლიტიკური პარტიები, დამოუკიდებელი მედია) ან შეზღუდული (ეკლესია, რწმენის თავისუფლება) სეგმენტების ხელახლა წარმოქმნას და/ან გაძლიერებას შეუწყო ხელი. გასული საუკუნის 80-90-იანი წლების სამოქალაქო საზოგადოების მთავარ ლოზუნგად საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და დემოკრატიული საზოგადოების ფორმირება იქცა.

სამწუხაროდ, ქვეყანაში დემოკრატიული მართვის გამოცდილების არარსებობის ფონზე სსრკ-ის დაშლის შემდეგ ადვილად აღმოცენდა სამოქალაქო, პოლიტიკური და ეთნიკური დაპირისპირებები. 1992 წელს მოხდა სახელმწიფო გადატრიალება; დაემხო საბჭოთა პერიოდის შემ-

[8] აღნიშნული გაერთიანებები იქმნებოდა ტოტალიტარული სახელმწიფოს მიერ როგორც საკუთარი მოსახლეობის, ისე საერთაშორისო საზოგადოების თვალში დემოკრატიულობის იმიჯის შესაქმნელად. ეს ორგანიზაციები ფორმალურად დამოუკიდებლები იყვნენ, მაგრამ, რეალურად, სახელმწიფოს პოლიტიკურ დაკვეთას ასრულებდნენ და მოწოდებულნი იყვნენ არ დაეშვათ საზოგადოებაში დამოუკიდებელ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა ჩამოყალიბება.

დეგ გამართული პირველი მრავალპარტიული არჩევნების შედეგად მოსული ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება. ქვეყანაში, რუსეთის სპეცსამსახურების ხელშეწყობითა და ხშირად პირდაპირი ჩარევით, სამოქალაქო ომი და ორი შეიარაღებული კონფლიქტი (ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიები) დაიწყო, რაც ქვეყნისათვის უმძიმესი პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და სოციალური შედეგებით დასრულდა.

აღნიშნულ პერიოდში სამოქალაქო საზოგადოების განვითარება შეფერხდა, თუ სამოქალაქო საზოგადოების სეგმენტად არ მივიჩნევთ პარამილიტარული, ნაციონალისტურ-კრიმინალური (ნარკომაფია, იარაღით ვაჭრობა) შეიარაღებული ფორმირებების ჩამოყალიბებას.

1992 წლიდან სახელმწიფოს სათავეში ედუარდ შევარდნაძის (1992-1995 წლებში „სახელმწიფოს მეთაური – პარლამენტის თავმჯდომარე", ხოლო 1995-იდან საქართველოს პრეზიდენტი) ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ქვეყანაში თანადათან დაიწყო სტაბილიზაციის პერიოდი. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის სათავეში ძველი კომუნისტური ნომენკლატურა მოვიდა, დასავლეთის ქვეყნების (აშშ და ევროგაერთიანება) დიდი ფინანსური, ეკონომიკური და პოლიტიკური მხარდაჭერის შედეგად ქვეყანაში თანადათან ძლიერდება სამოქალაქო სექტორი. პოლიტიკური პარტიებისა და დამოუკიდებელი მედიის გვერდით ჩნდება ახალი სეგმენტი: არასამთავრობო ორგანიზაციები.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განვითარების პროცესი საქართველოში XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე რამდენიმე ეტაპად შეიძლება დაიყოს:

1. ჩასახვისა და ადრეული საქმიანობის პერიოდი (1992-1995 წლები). ამ პერიოდში სახელმწიფოს არ ეცალა, კონტროლი დაეწესებინა დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე. თანაც, სექტორი, რომელიც ჯერ კიდევ სუსტი იყო საიმისოდ, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა, არ წარმოადგენდა რეალურ საფრთხეს კორუმპირებული ბიუროკრატიისათვის.

2. „ოაზისური" პერიოდი (1995-1999 წლები). დროის ამ მონაკვეთში მიმდინარეობს არასამთავრობო ორგანიზაციების რიცხვობრივი და ხარისხობრივი ზრდა. სახელმწიფო ამ ეტაპზეც არ ერევა მესამე სექტორის საქმიანობაში, თუმცა არასამთავრობოთა საქმიანობა ხელისუფლებას უკვე გარკვეულ პრობლემებს უქმნის, მაგრამ დასავლე-

თის თვალში დემოკრატიული იმიჯის შენარჩუნების სურვილი აშკარად ჭარბობს განსხვავებულ აზრზე ცენზურის დაწესების სურვილს.

3. მესამე სექტორის დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ძალად ჩამოყალიბების პერიოდი (1999-2003 წლები). მესამე სექტორის თანხმობამ, მონაწილეობა მიეღო საზოგადოებრივ პროცესებში, მთავრობის მხრიდან სექტორისადმი ნეგატიური დაინტერესების ზრდას შეუწყო ხელი. ამ დროს სამოქალაქო საზოგადოება აშკარად გამოდის საკუთარი ინტერესების დასაცავად.[9] ხელისუფლებამ ამ პერიოდიდან დაიწყო სამთავრობო მედიის საშუალებით მათი კომპრომეტაცია და გეგმაზომიერი შეტევა სამოქალაქო საზოგადოებაზე ფინანსური და პოლიტიკური ბერკეტების გამოყენებით. სამოქალაქო საზოგადოება ამ გამოწვევას ორგანიზებულად შეხვდა და 2003 წელს, ხელისუფლების მხრიდან საპარლამენტო არჩევნების შედეგების გაყალბების შემდეგ, განხორციელებული უსისხლო რევოლუციის („ვარდების რევოლუცია“) ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალად იქვა (Losaberidze, 2007: 194).

4. პოსტრევოლუციური პერიოდი (2003-2008 წლები) აღინიშნება სამოქალაქო საზოგადოების როლის ზრდით. სამოქალაქო საზოგადოების, დამოუკიდებელი მედიისა და დემოკრატიული პოლიტიკური ძალების მრავალი წარმომადგენელი ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში მოექცა. ქვეყანაში დაიწყო წარმატებული ბრძოლა XX საუკუნის 90-იან წლებში ჩამოყალიბებული კრიმინალურ-კორუფციული, ოლიგარქიული სტრუქტურების წინააღმდეგ. მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების სოციალური კაპიტალი და ხელისუფლების ეფექტურობა. ამავე დროს პოსტრევოლუციური ეიფორიის ფონზე ქვეყნის მმართველ ელიტაში გაჩნდა ე.წ. „დრაკონის სინდრომი“ (როცა დრაკონის დამამარცხებელი რაინდი თავად იქცევა დრაკონად). ხელისუფლების რადიკალურმა და მეტად ხისტმა პოლიტიკამ ქვეყანაში კვლავ გააჩინა გაუცხოების შეგრძნება საზოგადოებასა და პოლიტიკურ ისტებლიშმენტს შორის. ხელისუფლების მიერ დაშვებულმა შეცდომებმა (2007 წლის ნოემბერში მრავალათასიანი მშვიდობიანი მიტინგის დარბევა თბილისში, 2008 წლის

[9] მაგალითად, 2001 წლის ნოემბერში, როდესაც სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები დამოუკიდებელი ტელეკომპანიის „რუსთავი 2“-ის ოფისში შეიჭრნენ, დედაქალაქში მასობრივი საპროტესტო გამოსვლები დაიწყო. მრავალათასიანმა მიტინგმა პრეზიდენტი იძულებული გახადა გადაეყენებინა ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელები, რათა საზოგადოებრივი აზრი დაეშოშმინებინა.

ზამთარსა და გაზაფხულზე ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების სერიოზულმა გაყალბებამ ხელისუფლების სასარგებლოდ, 2008 წლის ზაფხულში სამხედრო ქმედებებმა სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთის რეგიონში, რამაც ქვეყანა რუსეთთან სამხედრო დაპირისპირებამდე და სამხედრო კატასტროფამდე მიიყვანა) საქართველოს ხელისუფლებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ დაუკარგა „დემოკრატიის შუქურის" იმიჯი.[10]

5. „გარდატეხის პერიოდი" (2008 წლიდან). სამოქალაქო სექტორი იწყებს ფიქრს ახალ სტრატეგიაზე. სამოქალაქო საზოგადოების მდგომარეობა ამ დროისათვის საკმაოდ მძიმეა: ელექტრონული მედია, ფაქტობრივ, სრულად კონტროლდება სახელისუფლებო ცენზურის მიერ; რევოლუციის შემდეგ დონორმა ორგანიზაციებმა შეამცირეს სამოქალაქო საზოგადოების დახმარება და რესურსების ძირითადი ნაწილი პროგრესული ხელისუფლების დასახმარებლად მიმართეს, რამაც ორსამ წელიწადში უარყოფითი შედეგი მოიტანა; სამოქალაქო საზოგადოების ბევრი წარმომადგენელი სახელმწიფო სტრუქტურებში ან ბიზნესში გადავიდა სამუშაოდ, ხოლო ნაწილმა ქვეყანა დატოვა; მათი ახალი ძალებით კი როტაციის პროცესი არ განხორციელებულა. მართალია, 2009 წლიდან იწყება დონორთა დახმარების ხელახალი ზრდა, მაგრამ თავად სამოქალაქო საზოგადოება, რომელმაც, გარკვეულწილად, შანსების ნაწილი ხელიდან გაუშვა, აღარ არის ისეთი ძლიერი და ურთიერთმსგავსი ღირებულებების გარშემო გაერთიანებული, როგორიც იგი თუნდაც 2001-2003 წლებში იყო.

3. სამოქალაქო საზოგადოების მეპინგი

სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში ქვეყანაში არსებული სხვადასხვა პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ძალების ურთიერთქმედების გარემოში ფუნქციობს. კვლევის ანალიზის პროცესში როგორც მრჩეველთა კომიტეტის, ისე ეროვნული შეხვედრის მონაწილეები და ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები გამოყოფდნენ იმ ძირითად სეგმენტებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობაზე (იხ. დიაგრამა II.3.1).

[10] „დემოკრატიის შუქურა" საქართველოს აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა უწოდა დემოკრატიული და უსისხლო „ვარდების რევოლუციის" (2003) შემდეგ (CNN, 10 May, 2005).

დიაგრამა II.3.1. სამოქალაქო საზოგადოების მეპინგი[11]



ყველაზე ხშირად ქართული საზოგადოების წევრები საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის გავლენის დეკლარირებას ახდენენ, რომელიც ტრადიციული ღირებულებების („მამული, ენა, სარწმუნოება“) დაცვის გარანტადაა მიჩნეული. მათთან ახლო მდგომად სამოქალაქო საზოგადოების ის სეგმენტები მიიჩნევა, რომლებიც ასევე ტრადიციული ღირებულებების დამცველის ფუნქციაზე აცხადებენ პრეტენზიას (დამოუკიდებელი და რეგიონული ტელევიზიები, ბეჭდვითი მედიის უდიდესი ნაწილი, რადიკალურად ან პატრიოტულად განწყობილი ოპოზიციური პარტიები, სხვა „ტრადიციული ეკლესიები“, მაგალითად, სომხური სამოციქულო ეკლესია, ეთნიკური უმცირესობების ინტერესების გამომხატველი ჯგუფები).

ცალკე უნდა გამოვყოთ ის აქტორები, რომლებიც თანამედროვე ლიბერალური და დემოკრატიული ღირებულებების აღმატებულობას აღიარებენ (საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა აბსოლუტური უმრავლესობა, ზოგიერთი პოლიტიკური პარტია – მაგალითად, რესპუბლიკელები). ამ ჯგუფის ზეგავლენა საზოგადოებაზე ბევრად სუსტია და მათი საქმიანობა ხშირად ინტელექტუალური დისკუსიების და თეორიების ფარგლებს არ სცდება.

ხელისუფლება უშუალოდ და მის მიერ სრულად კონტროლირებადი მედია (უპირატესად, საერთოევროპული მასშტაბის ტელეკომპანიები: საზოგა-

[11] წრეების სიდიდე შეესაბამება მოქმედი აქტორების დომინირებას საზოგადოებრივი დისკურსის პროცესში.

დოებრივი მაუწყებელი და ორი, ფორმალურად დამოუკიდებელი, ტელეკომპანია – *რუსთავი 2* და *იმედი*) შუალედურ ადგილს იკავებს და ორივე ღირებულებაზე აპელირებს, თუმცა პროექტის ფარგლებში გაკეთებული ანალიზის შედეგად მიღებული მონაცემები, რეალურად არსებული ძალებისა და გავლენების დახასიათებისას, განსხვავებულ სურათს იძლევა (იხ. დიაგრამა II.3.2).

დიაგრამა II.3.2. სოციალური ძალების ანალიზი



აქაც, ანალიზის პროცესში, ისე როგორც სამოქალაქო საზოგადოების მეპინგისას, აშკარად იკვეთება ინტერესების ორი წრე.

პირველი ჯგუფი მოიცავს „რუსულ ძალებს“: უშუალოდ რუსეთის ხელისუფლება (უმთავრესად, პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ პუტინის გარემოცვა), სეპარატისტული რეგიონები, რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიასთან დაკავშირებული ქართული მართლმადიდებლობა, „ოლიგარქები“ – საქართველოს უმდიდრესი მოქალაქეები, რომლებმაც თავისი კაპიტალი რუსეთში დააგროვეს და ამჟამადაც მჭიდროდ არიან ამ უკანასკნელთან დაკავშირებული.

მეორე ჯგუფს წარმოადგენს „დასავლური ვექტორი“: დიპლომატიური კორპუსი, საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციები (ნატო, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი), სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების უმეტესობა, პროდასავლურად განწყობილი პოლიტიკური დაჯგუფებები. ეს ძალები, ცალკე აღებული, გავლენით ჩამორჩებიან „რუსულ ძალებს“, მაგრამ ერთად მის საპირწონეს ქმნიან.

ქვეყანაში, თავისი გავლენით, პირველ ადგილზეა საქართველოს ხელისუფლება, კერძოდ, პრეზიდენტის ინსტიტუტი (მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ მმართველ პარტიასა და ბიუროკრატიასტან ერთად). ხელისუფლება, ერთი მხრივ, ლავირებს პროდასავლურ და პრორუსულ მიმართულებებს შორის, ხოლო მეორე მხრივ, როგორც ქვეყნის უმთავრესი ძალა, თავისი დამოუკიდებელი ინტერესების დაცვას ცდილობს.[12]

ასეთ პირობებში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების, უმთავრესად, სსო-ების გავლენა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე საკმაოდ შეზღუდულია.[13] სსო-ები (თინკ-ტენკები, ვოჩდოგები, პროფესიული და დარგობრივი ასოციაციები) საქმიანობის ფორმების გარეგნული მრავალფეროვნებისა და, ფორმალურად, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოქმედების მიუხედავად, საზოგადოებაზე მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენენ. რაც შეეხება ხელისუფლებაზე მოხდენილ ზეგავლენას, ხელისუფლებასთან დაახლოებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა ოპტიმიზმი სამოქალაქო საზოგადოების ბევრ წარმომადგენელს გადაჭარბებულად მიაჩნია. მრჩეველთა საბჭოს ექსპერტ გიორგი თარხან-მოურავის განცხადებით, რომელიც ეროვნული შეხვედრის მონაწილეების უმრავლესობამ გაიზიარა, ხელისუფლება მეორეხარისხოვან საკითხებში მიდის დათმობაზე (როგორც საკანონმდებლო, ისე ყოველდღიური პრაქტიკის დონეზე) სამოქალაქო საზოგადოების ზოგ ჯგუფთან, ამ უკანასკნელთა ლოიალობის სანაცვლოდ, მაგრამ, თუ საქმე პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების ნაწილის დათმობას ეხება (კონტროლი ძალოვან სტრუქტურებზე, ბიუჯეტის გამჭვირვალობა, ხელისუფლების დეცენტრალიზაცია), კონტაქტები დიალოგის დონეზეც კი წყდება.

---

[12] საქართველოს ეკონომიკის უდიდეს ნაწილს პრივატიზაციის პროცესის შედეგად რუსული კომპანიები აკონტროლებენ. ამის ნეიტრალიზება ხდება ქვეყანაში შემოსული დიდი დასავლური დახმარების ხარჯზე. ქვეყანაში, სადაც მსხვილი კომპანიები არ არსებობს, სახელმწიფო (ბიუჯეტი) წარმოადგენს უმთავრეს დამკვეთს. იგი სახელმწიფო სტრუქტურების მეშვეობით (ფინანსური პოლიცია, ძალოვანი სტრუქტურები და უსაფრთხოების სამსახურები) სრულად აკონტროლებს როგორც ეკონომიკას, ისე პოლიტიკურ სიტუაციას.

[13] ქვეყანაში 10.000-ზე მეტი ორგანიზაციაა დარეგისტრირებული, მაგრამ, სინამდვილეში მათი 10%-იც არ ფუნქციობს. არსებულთა უდიდესი უმრავლესობაც სრულადაა დამოკიდებული მხოლოდ დონორთა მიერ გაცემულ მცირე და არაპერმანენტულ დაფინანსებაზე.

III. სამოქალაქო საზოგადოების ანალიზი

1. სამოქალაქო ჩართულობა

ამ თავში აღწერილია საზოგადოების სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის ხარისხი, სიღრმე და საქმიანობის ფორმების მრავალფეროვნების ხარისხი, როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ დონეზე.

კვლევის მეთოდოლოგია გულისხმობს, რომ პოლიტიკური პარტიები სამოქალაქო საზოგადოების ნაწილს წარმოადგენს; მიუხედავად ამისა, გარეშეფასების კვლევაში მონაწილე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა და მრჩეველთა კომიტეტის აზრით, მმართველი პარტია საქართველოში არ წარმოადგენდა და არ წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების სეგმენტს; იგი უფრო სახელმწიფო სტრუქტურის ნაწილია და ამ უკანასკნელის ადმინისტრაციულ, ფინანსურ და პოლიტიკურ რესურსებს ეყრდნობა.[14] სწორედ ამიტომ, მისი შესწავლა სამოქალაქო საზოგადოების კვლევის კუთხით არ განხორციელებულა.

[14] ეს შეფასება თანაბრად ეხება როგორც საბჭოთა პერიოდის საქართველოს კომუნისტურ პარტიას, ისე დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ არსებულ სახელისუფლებო გაერთიანებებს: „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ (1990-1992), „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“ (1994-2003), „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობა“ (2003-დან დღემდე); ასევე, აჭარის რეგიონში 2004 წლამდე მოქმედ პარტიას „აღორძინება“. ამ ტიპის მმართველობისათვის დამახასიათებელია ერთპარტიული სისტემა (როცა მმართველი პარტია ფლობს მანდატების 2/3-იდან 100%-მდე) და ოპოზიციური ძალების სრული იგნორირება ან ხელისუფლების მიერ მართული, ფსევდოოპოზიციური პარტიებით დემოკრატიის ანტურაჟის შექმნა.

ცხრილი III.1.1. სამოქალაქო ჩართულობა

1	**მიმართულება: სამოქალაქო ჩართულობა**	**20.6**
1.1	სოციალური ჩართულობის ხარისხი	4.6
1.2	სოციალური ჩართულობის სიღრმე	17.8
1.3	სოციალური ჩართულობის მრავალფეროვნება	52.5
1.4	პოლიტიკური ჩართულობის ხარისხი	6.2
1.5	პოლიტიკური ჩართულობის სიღრმე	14.0
1.6	პოლიტიკური ჩართულობის მრავალფეროვნება	28.5

სამოქალაქო ჩართულობის დახასიათებისას თვალშისაცემია ფორმალურ დონეზე ჩართულობის ხარისხის (განსაკუთრებით, სსო-ებში მოხალისეობისა) დაბალი მაჩვენებელი.[15] ამასთან, სახეზეა ჩართულობის ხარისხის შემცირების ტენდენცია, რაც არც ადრე იყო მაღალი.[16] ეს განსაკუთრებით ითქმის სოციალურად ბაზირებულ ჩართულობაზე. აღნიშნული პრობლემა ნათლადაა გააზრებული სამოქალაქო საზოგადოების აბსოლუტური უმეტესობის მიერ და მის ერთ-ერთ წუხილს წარმოადგენს.

1.1 სოციალური ჩართულობის ხარისხი

სოციალურად ორიენტირებულ აქტივობებში მოქალაქეთა ჩართულობა განისაზღვრება ასეთ საქმიანობებში ფორმალურად თუ არაფორმალურად მონაწილე ადამიანთა ოდენობით.

მოქალაქეთა ჩართულობა, ზოგადად, და, კერძოდ, სოციალურად ორიენტირებული ჩართულობა საქართველოში მრავალრიცხოვნებით არ გამოირჩევა. ეროვნული შეხვედრის მონაწილეთა აზრით, მძიმე სოციალური და ეკონომიკური ფონი (უმუშევრობის მაღალი პროცენტი, ცხოვრების დონის მკვეთრი გაუარესება, არასტაბილური სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო, საზოგადოების ფართო ფენების ინტერესების უგულებელყოფა ხელისუფლების მიერ), რამაც მოსახლეობის ფართო ფენების მარგინალიზაცია გამოიწვია, ხელს უშლის ორგა-

[15] სამოქალაქო ჩართულობაში უმეტესად იგულისხმება მონაწილეობა სხვადასხვა ტიპის ჯგუფში (მათ შორის, პოლიტიკურ, რელიგიურ, გარემოსდაცვით და ა.შ.). კვლევისას ყურადღება მიექცა როგორც ასეთი ორგანიზაციების საქმიანობაში მონაწილე ადამიანების რაოდენობას, ისე მათი მონაწილეობის ინტესივობას.

[16] იხ. თავები 1.1 და 1.4.

ნიზებული ჯგუფების წარმოქმნას და ინსტიტუციური ქმედებების განხორციელებას.

მეორე ფაქტორი, რამაც შეაფერხა მოქალაქეთა ჩართულობის ზრდა, საქართველოში არსებული პოლიტიკური სიტუაციაა. „ვარდების რევოლუციის“ (2003) მომდევნო პერიოდის გააქტიურებას შემდგომ მოჰყვა მოსახლეობის დიდი ნაწილის იმედგაცრუება, რამაც სოციალურ სფეროში მოქალაქეთა სამოქალაქო ჩართულობა შეამცირა. თუ 2006 წლისათვის სამოქალაქო საზოგადოების აქტივობებში ჩართულობა, დაახლოებით, 10%-ს შეადგენდა, ამჟამად იგი 8.8%-ს არ აღემატება (VGS 2006; WVS 2009).

CSI პროექტის ფარგლებში გაზომილი ჩართულობის სტრუქტურა 3.1.2. ცხრილშია წარმოდგენილი.

ცხრილი III.1.2. სოციალურზე ბაზირებული ჩართულობა (WVS 2009)

მონაწილეობა	აქტიური წევრები	არააქტიური წევრები	მოხალისეები
ეკლესია და რელიგიური ორგანიზაციები	1.7	3.9	2.0
ხელოვნების, მუსიკის, საგანმანათლებლო ორგანიზაციები	1.1	1.2	1.1
სპორტი და სარეკრეაციო ორგანიზაციები	0.6	0.2	0.7
მომხმარებელთა ორგანიზაციები	-	0.1	-

ყველაზე მასობრივია ეკლესიასა და რელიგიურ ორგანიზაციებში ჩართულობა. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია საზოგადოებაში საკმაო ავტორიტეტით სარგებლობს. სამწუხაროდ, კვლევის მონაცემები არ იძლევა საშუალებას, გავარკვიოთ, რა იგულისხმება ეკლესიის წევრობაში: ეკლესიის მრევლი, სხვადასხვა დიაკონურ (საქველმოქმედო-რელიგიურ) ორგანიზაციათა წევრები თუ სხვა. ამასთან, აღსანიშნავია ამ ტიპის საქმიანობაში ჩართულობის მატება ბოლო წლების მანძილზე (1.3%-იდან 5.6%-ამდე[17]). ნებისმიერ შემთხვევაში ეს სეგმენტი ჩართულობის ხარისხით მნიშვნელოვნად აღემატება სხვა მიმართულების გაერთიანებებს, თუნდაც მომხმარებელთა ულებების დამცველ გაერთიანებებს, რომლის მცირე (0.1%) მაჩვენებელიც კი გადაჭარბებული ჩანს (WVS 2009).

[17] იგულისხმება როგორც აქტიური (1.7%), ისე პასიური (3.9%) მონაწილეობა საეკლესიო სახის საქმიანობაში.

ინსტიტუციური გაერთიანებებისაგან განსხვავებით, საქართველოში შედარებით მაღალია სათემო (როგორც წესი, არაინსტიტუციური) ჩართულობის დონე (7.1%). საქართველოში, სადაც ფორმალური სტრუქტურებისადმი ნდობა არასოდეს ყოფილა მაღალი, ტრადიციულად, ძლიერი იყო სამეზობლო, სამეგობრო ან მსგავსი ტიპის არაფორმალური გაერთიანებები.

1.2 სოციალური ჩართულობის სიღრმე

ქვეთავის მიზანია წარმოჩნდეს სოციალურად-ორიენტირებულ საქმიანობაში ჩართულთა აქტივობათა სიხშირე და ხარისხი, მიუხედავად ჩართული ადამიანების რაოდენობისა.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მონაცემები აჩვენებს, რომ ინსტიტუციურ სტრუქტურებში მოხალისეობის ინსტიტუტი შედარებით მცირეა, ვიდრე წევრების რიცხვი (შესაბამისად: 4.7% და 5.3%). საქმე ისაა, რომ, როგორც წესი, სსო-ებში საქმიანობას ამ უკანასკნელთა წევრები სამსახურად აღიქვამენ; მოხალისეობა, როგორც არაანაზღაურებადი საქმიანობა, ქვეყანაში არსებულ მძიმე სოციალურ ფონზე, მიმზიდველად ნამდვილად არ ჩანს. აღნიშნულის დადასტურებაა ისიც, რომ გამოკითხულ სსო-თა 33.3%-ს მოხალისეები საერთოდ არა ჰყავს (WVS 2009).

ბევრად მაღალია მოსახლეობის ის პროცენტი (43.5%), რომელიც თვეში ერთხელ მაინც ერთვება სხვადასხვა ტიპის სოციალურ (სპორტული კლუბები, სხვადასხვა ფორმალური თუ არაფორმალური გაერთიანებები) საქმიანობაში. კვლევისას რესპონდენტებმა არ დააკონკრეტეს, თუ რა სახისაა ეს ჩართულობა: მაგალითად, იგულისხმება თუ არა ამაში გასართობ და სპორტულ ღონისძიებებზე ფანების როლში დასწრება ან რომელიმე საქველმოქმედო ორგანიზაციის მიერ სოციალურად დაუცველილი პირებისათვის მოხალისეობრივ საწყისებზე პროდუქტის შეგროვება.

ამავე დროს კითხვაზე – ვისთან ატარებთ დროს? – მოქალაქეთა აბსოლუტური უმეტესობა აცხადებს, რომ ამჯობინებს, თავისუფალი დრო მშობლების, ნათესავებისა და მეგობრების გარემოცვაში გაატაროს (იხ. ცხრილი 3.1.3).

ცხრილი III.1.3. ვისთან ატარებენ ადამიანები თავისუფალ დროს (WVS 2009)

ვისთან ატარებთ დროს	ყოველკვირა	1 ან 2 თვეში	წელიწადში რამდენჯერმე	არასოდეს
მშობლები, ნათესავები	44.1	25.0	22.5	8.4
მეგობრები	41.5	31.0	14.7	12.8
თანამშრომლები, კოლეგები	11.3	10.0	8.1	70.6
თქვენი მრევლი	14.9	27.7	30.3	27.1
სპორტული კლუბები, მოხალისეთა ორგანიზაციები	1.6	1.5	4.0	92.9

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ქართული პატრიმონიალური საზოგადოების ღირებულებებიდან გამომდინარე, ადამიანები ნაკლებ ენდობიან ფორმალიზებულ ურთიერთობებს. სამწუხაროდ, ძნელი დასადგენია, რას გულისხმობენ ისინი, როცა საკუთარი მრწამსის მქონე ადამიანებთან/მრევლთან ურთიერთობაზე საუბრობენ. სავარაუდოდ, მათ მხედველობაში აქვთ ეკლესიაში სიარული.

კვლევის პროცესში ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა ისიც აღნიშნეს, რომ სამოქალაქო საზოგადოების ფორმალიზებული ჯგუფების მიერ განხორციელებული აქციების თემატური სიმწირეც არ უწყობს ხელს მოქალაქეთა მონაწილეობის ზრდას.

1.3 სოციალური ჩართულობის მრავალფეროვნება

სოციალურ აქტივობებში ჩართულ ადამიანთა ოდენობასა და მათი აქტივობის ხარისხთან ერთად მნიშვნელოვანია, თუ რამდენად წარმომადგენლობითია ეს ჩართულობა და რამდენად ფარავს იგი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტს.

სამოქალაქო საზოგადოება, კერძოდ, სსო-ები საკმაოდ წარმომადგენლობითია. მართალია, მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხი მაღალი არ არის, მაგრამ იმ ნაწილში, რომელიც აქტიურად არის ჩართული ამა თუ იმ სახის სოციალურად ორიენტირებულ ქმედებებში, სხვადასხვა ტიპის სოციალური ჯგუფები საკმაოდ ფართოდ არის წარმოდგენილი (52.5) (CSI მონაცემთა მატრიცა (1.3.1)). ამ მხრივ, რაიმე სახის დისკრიმინაციას სამოქალაქო საზოგადოებაში ადგილი არ აქვს და გარიყული, მარგინალური ჯგუფები, დეკლარირების დონეზე მაინც, არ არსებობენ. კონკრეტულად, სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლობა ასე გამოიყურება (WVS 2009):

- ეთნიკური უმცირესობები. საქართველოში ეთნიკური უმცირესობები მოსახლეობის 13%-ს შეადგენენ, სსო-ს აქტიურ წევრებს შორის – 8.3%-ს. შედარებით დაბალი მაჩვენებელი გამოწვეულია დიდ ქალაქებში მოსახლე ეთნიკური უმცირესობების სოციალური პასიურობით, რის კომპენსაციასაც ახდენს ეთნიკურ ანკლავებში (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი) მცხოვრებთა საკმაოდ დიდი სამოქალაქო აქტივობა.
- ასაკობრივი სტრუქტურა. სსო-თა ძირითად ნაწილს (93.3%) ახალგაზრდები და საშუალო ასაკის (25-64 წელი) პირები შეადგენენ; ხოლო ხანდაზმულები, რომლებიც მოსახლეობის 17.5%-ია, მხოლოდ 6.8%-ით არიან წარმოდგენილნი, რაც ტოტალიტარული ეპოქის თაობის მოქალაქეთა შედარებით დაბალი სამოქალაქო აქტივობის დონით უნდა ავხსნათ.
- მთლიანად სამოქალაქო საზოგადოებაში (ეკლესიისა და რელიგიური ორგანიზაციების ჩათვლით) ქალები (მოსახლეობის 54.5%) შედარებით ნაკლებად, 39.4%-ით არიან წარმოდგენილი (WVS 2009). თუმცა, უშუალოდ, სსო-ებში ქალები 60%-ზე მეტს შეადგენენ, საკმაოდ მაღალია მათი წარმომადგენლობა სსო-თა მმართველ რგოლშიც – 29% (გაფრინდაშვილი, 2003).
- რეგიონული დანაწილება. მართალია, სსო-თა უმრავლესობა ქალაქებშია დაფუძნებული, მათ შორის, თბილისში მოქმედებს ქვეყანაში არსებული ათი ათასზე მეტი სსო-ს – დაახლოებით 60%; თუმცა უნდა ითქვას, რომ რეგიონები, კერძოდ, სოფლის ტიპის დასახლებები უფრო აქტიურობენ. სოფლებში (ქვეყნის მოსახლეობის 49.4%) სამოქალაქო საზოგადოების წევრია 54.2%. ასევე მაღალია რეგიონების (მოსახლეობის – 75.5%) აქტივობაც – 79.7%. დედაქალაქის ასეთი „პასიური“ როლი შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ თბილისში თვითრეალიზაციის სხვა საშუალებები (ბიზნესი, სახელმწიფო სამსახური) ბევრად მეტია, ვიდრე სასოფლო ზონებში (WVS 2009).
- მონაწილეობა სოციალური სტატუსის მიხედვით. სამოქალაქო საზოგადოების წევრთა შორის უმეტესობას საშუალო ფენა (მოსახლეობის 61.5%) ქმნის – 86.4%, ხოლო დაბალი სოციალური ფენები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი; ამ უკანასკნელთ, სავარაუდოდ, სამოქალაქო საზოგადოებაზე უფრო მეტად თვითგადარჩენის პრობლემა აწუხებთ (WVS 2009).

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოება არ ახდენს სხვადასხვა სოციალური ჯგუფეს დისკრიმინაციას, ამ ჯგუფთა შორის თანამშრომლობის ხარისხი მეტად დაბალია. ყველა ამ ჯგუფს თავისი ნიშა უკავია და ისინი ერთმანეთთან (მაგალითად, ორთოდოქსი რადიკალები და გარემოსდაცვითი ორგანიზაციები) შეხებაში ნაკლებად მოდიან.

1.4 პოლიტიკური ჩართულობის ხარისხი

არსებული მონაცემების თანახმად, ბოლო წლების მანძილზე მნიშვნელოვნად შემცირდა პოლიტიკური ჩართულობის დონე, თუმცა იზრდება ერთჯერადი პოლიტიკური აქციების მონაწილეთა რიცხვი. თუ ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ პოლიტიკურად ორიენტირებულ საქმიანობაში 5.4% იყო ჩართული, ამჟამად ეს მაჩვენებელი 1.3%-ს შეადგენს (VGS 2006; WVS 2009). რამდენად ზუსტია ეს ინფორმაცია, ძნელი სათქმელია. ეროვნული შეხვედრის მსვლელობისას გამოითქვა მოსაზრება, რომ ბევრმა რესპონდენტმა შიშის გამო არ განაცხადა პოლიტიკურ საქმიანობაში თავისი ქმედებების შესახებ. თუ გავითვალისწინებთ ქვეყანაში არსებულ სიტუაციას, ეს მოსაზრება საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება.[18]

ცხრილი III.1.4. პოლიტიკური სახის აქტივობებში მონაწილეობა (WVS 2009)

მონაწილეობა	აქტიური წევრები	არააქტიური წევრები	მოხალისეები
პროფკავშირები	0.3	1.8	0.3
პოლიტიკური პარტიები	0.3	0.6	0.5
გარემოსდაცვითი ორგანიზაციები	-	-	-
პროფესიული ასოციაციები	0.2	0.4	0.2
საქველმოქმედო ორგანიზაციები	0.1	0.1	-

სამაგიეროდ, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად იმატა ბოიკოტებში (2.2%-იდან 2.8%-ამდე) და დემონსტრაციებში (8.0%-იდან 14.5%-ამდე) მონაწილეთა ოდენობამ, რაც საზოგადოებაში ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკისადმი ნეგატიური დამოკიდებულების ზრდაზე მიუთითებს (VGS 2006; WVS 2009). ამავე დროს, აღარ აღინიშნება ისეთი აქტივობა, როგორიცაა გაფიცვა (2005 წლის-

[18] იხ. თავი 5.2. სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტი

თვის მასში მონაწილეთა რიცხვი 4.9%-ს შეადგენდა). მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის ფონზე ეს გარემოება მხოლოდ არსებული, თუნდაც ცუდი ხარისხის, სამუშაოს დაკარგვის შიშით შეიძლება აიხსნას.

რაც შეეხება პოლიტიკურ პარტიებს, საქართველოში მოქმედი ოპოზიციური პარტიების აბსოლუტური უმრავლესობისათვის დამახასიათებელია: ორგანიზაციული განვითარების სუსტი დონე; პატრიარქალური მენტალობა (თუმცა, ზოგიერთი პარტიის ლიდერებს ქალები წარმოადგენენ); ეთნიკური უმცირესობების და დაბალი სოციალური ფენების ნაკლები წარმომადგენლობა მმართველ რგოლში; პოლიტიკური პროგრამების სისუსტე; ახალი წევრების მიზიდვის გამართული სისტემის არარსებობა. მაგალითისათვის მოვიტანთ პარტიათა მიერ ახალგაზრდა წევრების რეკრუტირების სქემას: როგორც წესი, ახალი წევრების/მოხალისეების მოზიდვა წინასაარჩევნო პერიოდში ან საპროტესტო აქციების მსვლელობისას ხდება. პარტიის რიგით წევრებს ევალებათ, ნაცნობებს შორის გამონახონ პოტენციური თანამოაზრენი სხვადასხვა ბენეფიტის დაპირებით („კარგი ხალხის“ გაცნობა, საზოგადოების წინაშე ვალის მოხდის შესაძლებლობა, გარკვეული სახის აქტივობით თვითშეფასების ხარისხის ამაღლება, სოციალური სტატუსის ზრდა, კარიერული დივიდენდები, გაკვეული სოციუმის წევრობის გზით დაცულობის განცდის შექმნა და ა.შ.). როგორც წესი, ახალი წევრები მიტინგებზე მეთვალყურეობით ან საარჩევნო პლაკატების გაკვრით არიან დაკავებულნი და მათი უმრავლესობა ერთ-ორ წელიწადში ტოვებს პარტიას ან, ფორმალურად, მის წევრად რჩება, მაგრამ ენთუზიაზმი განელებული აქვს.

სამოქალაქო საზოგადოების, კერძოდ, სსო-თა დამოკიდებულება პოლიტიკური პარტიების მიმართ ნეიტრალურია. ჩვეულებრივ, სსო-ები მიზანშეწონილად არ მიიჩნევენ უშუალოდ რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან (ისე როგორც ხელისუფლებასთან) დაკავშირებას, ვინაიდან საზოგადოების თვალში ეს ფაქტი დადებითად არ აღიქმება. ამავე დროს, სსო-თა წევრები ინდივიდუალურად საკმაოდ კარგ ურთიერთობაში არიან პოლიტიკურ პარტიებთან ან სულაც ამა თუ იმ პარტიის წევრებს წარმოადგენენ. როგორც წესი, ასეთი კუთვნილების რეკლამირება არ ხდება, პირიქით, ოპონენტები ხშირად აპელირებენ თავიანთი კონკურენტების ამა თუ იმ პარტიისადმი კუთვნილებაზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თუ წინა წლებში პოლიტიკური აქტივობისა და პოლიტიკური დისკუსიის შედარებით მაღალი

დონე ფიქსირდებოდა, ხელისუფლების მხრიდან ადეკვატური პასუხის მიუღებლობამ და გაწბილებამ, ერთი მხრივ, ზოგადად საზოგადოების ფრუსტრაციას, მეორე მხრივ, აქტივობათა შედარებით რადიკალიზაციას შეუწყო ხელი.

1.5 პოლიტიკური ჩართულობის სიღრმე

მოქალაქეთა პოლიტიკური ჩართულობის სიღრმის ანალიზი კიდევ ერთხელ ადასტურებს ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებებს, რომ მაღალია საზოგადოებრივი ნიჰილიზმის ხარისხი და არსებულ შეთავაზებებზე უფრო მეტია მოთხოვნილება: ადამიანებს არ აკმაყოფილებთ პოლიტიკური ჩართულობის ამჟამინდელი ფორმები.

ცხრილი III.1.5. პოლიტიკური ჩართულობის სიღრმე (WVS 2009)

წევრობა პოლიტიკურ ორგანიზაციებში	5.0
მოხალისეობა პოლიტიკურ ორგანიზაციებში	8.2
ინდივიდუალური აქტივობა	28.9

პოლიტიკური პროფილის ერთზე მეტ ორგანიზაციაში ჩართული ადამიანების რიცხვი აღემატება პოლიტიკური პარტიების წევრების ოდენობას, რაც საზოგადოებაში არსებული პრობლემების გადაწყვეტის შესაძლო გზების ძიებით არის გამოწვეული.

ამასთან, ბევრად მეტია იმ მოქალაქეთა ოდენობა, რომლებიც ნაკლებად ენდობიან პოლიტიკურ პარტიებს და ორგანიზაციებს და ინდივიდუალურად მონაწილეობენ სხვადასხვა სახის საპროტესტო გამოსვლებში (28.9%).

თუ გადავხედავთ განვითარების ტენდენციას, არ შეიძლება არ შევნიშნოთ არსებული მდგომარეობით უკმაყოფილო კრიტიკული მასის ზრდის პროცესი, რომელიც უკვე ნაკლებ ენდობა ინსტიტუციებს და ინდივიდუალურად, საკმაოდ რადიკალური ფორმით ცდილობს თავისი პრობლემების მოგვარებას.

1.6 პოლიტიკური ჩართულობის მრავალფეროვნება

ინდიკატორი გვიჩვენებს, რამდენად წარმომადგენლობითია ჩართულობა და რამდენად მოიცავს საზოგადოებაში არსებულ ფენებს, თუ ჯგუფებს.

პოლიტიკური ჩართულობის დონე ქვეყანაში საკმაოდ მრავალფეროვანია (28.5%). სხვადასხვა სოციალური ჯგუფი აღნიშნული სახის საქმიანობებში კიდევ უფრო ფართოდაა წარმოდგენილი, ვიდრე სოციალური სახის აქტივობებში. WVS 2009 წელს მიღებული მონაცემების თანახმად:

- ქალები შეადგენენ სხვადასხვა სახის აქტივობაში ჩართულთა 70%-ს.
- სოფლებთან შედარებით, ბევრად მაღალი პოლიტიკური აქტივობაა ქალაქებში (დაახლოებით 80%).
- უფრო აქტიური არიან რეგიონები, კერძოდ, ქალაქები და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული ანკლავები (დაახ. 85%).
- აქტიურ მოქალაქეთა 95%-ზე მეტს შეადგენს საშუალო კლასი. ასეთ საქმიანობაში დაბალი სოციალური ფენების ჩართულობა თითქმის ნულის ტოლია.

ზოგადად, ჩართულობის ხარისხთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს სამი სოციალური ჯგუფი, რომლებიც ან სამოქალაქო საზოგადოების ან მთლიანად მოსახლეობის თვალში შედარებით მარგინალიზებულად მიიჩნევიან:

- ორთოდოქსული და/ან ნაციონალისტურად განწყობილი მცირერიცხოვანი ჯგუფები, სამოქალაქო საზოგადოების სხვა ჯგუფების მხრიდან მუდმივად ხდება მათ მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების დეკლარირება.
- რელიგიური სექტების (ე.წ. „არატრადიციული რელიგიები“, განსაკუთრებით – „იეღოვას მოწმეები“) წევრები. მათ მიმართ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი აშკარად ნეგატიურად არის განწყობილი, თუმცა, მცირე რადიკალური ჯგუფების გამოკლებით, მათ მიმართ ამ განწყობას აგრესიული ქმედებებით არ გამოხატავს. როგორც წესი, ასეთ დაპირისპირებას ხშირად პოლიტიკური სარჩული უდევს და სხვადასხვა პოლიტიკური ძალა ამ საკითხის წინწამოწევით ცდილობს თავისი მიზნების მიღწევას.
- სექსუალური უმცირესობების საკითხი ტრადიციულ ქართულ საზოგადოებაში ბოლო დრომდე ტაბუდადებული იყო, თუმცა ბოლო დროს დაიწყო ღია დისკუსიები. ეროვნული შეხვედრის მონაწილეთა განცხადებით, საზოგადოების ამ ჯგუფის მიმართ საზოგადოების თით-

ქმის ყველა ფენა (სსო-თა დიდი ნაწილის გარდა) ნეგატიურად და აგრესიულად არის განწყობილი.[19]

დასკვნა

საქართველოში როგორც სოციალური, ისე, განსაკუთრებით, პოლიტიკური ჩართულობის ხარისხი საკმაოდ დაბალია. ეს გამოიხატება როგორც მოქალაქეთა შედარებით მცირე რიცხვის აქტიურობით, ისე ჩართულობის სიღრმისა და მრავალფეროვნების შედარებითი სიმწირით. არსებული მძიმე სოციალური და პოლიტიკური ფონი ასევე არ იძლევა ფართო საზოგადოებრივი აქტივობის გამოვლენის საშუალებას. ასეთ პირობებში შედარებით მაღალია არფორმალური ჩართულობის ხარისხი: ადამიანები ნაკლებად ენდობიან ფორმალურ, ინსტიტუციურ სტრუქტურებს. თუ განვითარება ამ მიმართულებით წავა, შესაბამის მომენტსა და გარემოებაში მოსალოდნელია სამოქალაქო ცხოვრების ფრუსტრაციის მდგომარეობიდან საკმაოდ რადიკალურ ფორმებზე გადასვლა.

2. ორგანიზაციული დონე

ამ თავში მოცემულია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (არასამთავრობო გაერთიანებების) ორგანიზაციური და ინსტიტუციური მდგრადობის დახასიათება: სტრუქტურა და შესაბამისი რესურსები, რომელთა საშუალებითაც სსო-ები მოღვაწეობენ. კერძოდ, განხილულია: რამდენადაა აპრობირებული მმართველობის კოლექტიური ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღება და რამდენად რეალისტურია ეს პრაქტიკა; რამდენად და რა ხარისხით თანამშრომლობენ სსო-ები ერთმანეთთან და სხვა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა გაერთიანებებთან; რა მდგომარეობაა ადამიანური რესურსების სფეროში; როგორია საქართველოს სსო-თა ფინანსური და ტექნიკური ბაზა; რამდენადაა ჩართული ქართული ორგანიზაციები საერთაშორისო ქსელების საქმიანობაში.

ქვემოთ ცხრილში ნაჩვენებია ამ მიმართულების ქვემიმართულებათა დაჯამებული ქულები.

---

[19] მსოფლიო ღირებულებათა კვლევის (2009) მონაცემების თანახმად, ჰომოსექსუალები სრულიად მიუღებელნი არიან მოსახლეობის 90%-თვის.

ცხრილი III.2.1. სსო-თა ორგანიზაციული განვითარების დონე

2	**მიმართულება: ორგანიზაციული დონე**	**64.5**
2.1	შიდა მართვა	94.1
2.2	ინფრასტრუქტურა	69.3
2.3	შიდასექტორული ურთიერთობები	83.7
2.4	ადამიანური რესურსები	43.0
2.5	ფინანსური და ტექნიკური რესურსები	91.1
2.6	საერთაშორისო კავშირები	6.1

ორგანიზაციული კვლევის კითხვაზე: რამდენად ორგანიზებული და უნარიანია სამოქალაქო საზოგადოება? – ერთგვაროვანი პასუხი არ არსებობს. ერთი მხრივ, აშკარაა სსო-თა თვითშეფასების მაღალი დონე, მეორე მხრივ, თვით სსო-თა წარმომადგენლებს ეპარებათ ეჭვი საკუთარი უნარების სიძლიერეში და ფიქრობენ, რომ, რეალურად, სსო-თა უნარები დეკლარირებულზე მნიშნელოვნად დაბალია.

2.1 შიდა მართვა

ქვეთავში აღწერილია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა ორგანიზაციული სტრუქტურა, ნაჩვენებია, რამდენად დემოკრატიულად ხდება მათი მართვა.

ორგანიზაციების შიდა მართვის ფორმალური მხარე სსო-ებში სავსებით დამაკმაყოფილებელია. ორგანიზაციების 94.1%-ს ჰყავს მმართველობის კოლექტიური ორგანოები (აღმასრულებელი საბჭო, დირექტორთა გამგეობა) (CSI OS 2009). უფრო მეტიც, სულ უფრო და უფრო მეტი ორგანიზაცია ქმნის ე.წ. გარე საბჭოებს ან მრჩეველთა კომიტეტებს, რომელთა წევრებიც არ არიან ამ ორგანიზაციების თანამშრომლები და სამოქალაქო საზოგადოებაში მეტ-ნაკლებად ცნობილ პირებს წარმოადგენენ; ისინი მოწოდებულნი არიან შექმნან ორგანიზაციული განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიები. პირველ რიგში, ეს ეხება განვითარებულ, მუდმივმოქმედ ორგანიზაციებს, რომელთაც რამდენიმე ათეული წევრი (ან მეტი) ჰყავთ, და რომელთა მართვა თანამოაზრეთა მცირე ჯგუფის მიერ, პირდაპირი დემოკრატიის ფორმებით, პრაქტიკულად, მეტად გაძნელდება.

ამავე დროს, ეს ორგანოები პრაქტიკაში ნაკლებ მუშაობენ. უნდა აღინიშნოს, რომ, ასეთი სტრუქტურების შექმნა განპირობებულია არა

შიდა განვითარების მოთხოვნით, არამედ ნაკარნახევია დონორთა მიერ. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ორგანიზაციათა მნიშვნელოვანი ნაწილი არსებობის ხუთ წელზე მეტ ხანს ითვლის, ეს გარემოება არც თუ ისე დადებითად ახასიათებს სამოქალაქო ორგანიზაციებს.[20] რაც შეეხება გარე პირთაგან დაკომპლექტებულ მრჩეველთა საბჭოებს, როგორც წესი, მოწვეული პირები საკმაოდ დაკავებულნი არიან საკუთარი ორგანიზაციების საქმეებით და მომწვევი ორგანიზაციის განვითარების ხედვების შემუშავებას დროს თითქმის ვერ უთმობენ (The Political Landscape of Georgia, 2006).

2.2 ინფრასტრუქტურა

ორგანიზაციული კვლევის მონაცემთა თანახმად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების 69.3% არის ამა თუ იმ ქსელის, კოალიციისა თუ სხვა სახის გაერთიანების წევრი. უნდა ითქვას, რომ, მცირე გამონაკლისის გარდა, მუდმივმოქმედი ქოლგა ორგანიზაციები ქვეყანაში არ საქმიანობს. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს გარემოსდაცვით ორგანიზაციათა ქსელი (CEEN), რომელიც სხვა სფეროებში მომუშავე სსო-ებისთვისაც კარგადაა ცნობილი.

კოალიციათა ცალკე ჯგუფს ქმნიან ისეთი ტიპის ორგანიზაციული გაერთიანებები, რომლებიც ხელისუფლების მიერ გახმოვანებული ინიციატივების (საარჩევნო პროცესში ჩართულობა, სოციალური პროგრამები) მხარდაჭერას გულისხმობენ. ასეთი გაერთიანებები ხელისუფლების აშკარა ან ფარული მხარდაჭერით სარგებლობენ, თუმცა სხვა სსოთა შორის მათ მაღალი ნდობა არ აქვთ.

სხვა შემთხვევაში ქსელები შედარებით მსხვილი პროგრამების ფარგლებში იქმნება, თუ დონორები აქცენტს ქსელურ პროექტებზე აკეთებენ. ასეთი კოალიციები და ქსელები (თუნდაც წარმატებულნი) პროგრამის დასრულებამდე მოღვაწეობენ და შემდეგ მდგრადი განვითარების მწირი შესაძლებლობის გამო მალევე იშლებიან ან მხოლოდ ფორმალურად აგრძელებენ არსებობას.

კოალიციებს ხშირად, გარკვეული პოლიტიზაციის დონე („პროსახელისუფლებო“ და „არასახელისუფლებო“) ახასიათებთ და ურთიერთშეფასებისას ხშირია ასეთი ჯგუფების „ჩვენიანებად“ და „სხვისიანებად“ მოხსენიება.

---

[20] ორგანიზაციული კვლევის მონაცემთა თანახმად, გამოკითხული ორგანიზაციების 79.2% 1996-2004 წლებშია დაარსებული.

სახელმწიფოს დამოკიდებულება, ზოგადად, სსო გაერთიანებებისადმი ნეიტრალურია. დროდადრო სახელისუფლებო წრეებში ჩნდება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა საქმიანობის მაკოორდინირებელი სახელმწიფო სტრუქტურის შექმნის იდეა. ასეთი იდეები სსო-თა დიდი ნაწილის სკეპტიციზმს ან ნეგატიურ დამოკიდებულებას აწყდება და შედეგი არ აქვს.[21]

2.3 შიდასექტორული ურთიერთობები

ქსელური წევრობისგან განსხვავებით, შიდასექტორული კომუნიკაცია საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებაში უფრო მაღალია როგორც ფორმალურად, ისე პრაქტიკაშიც. ორგანიზაციული კვლევის თანახმად, ორგანიზაციათა 85.1%-მა კვლევამდე ბოლო სამი თვის განმავლობაში შეხვედრა ჩაატარა თავისსავე სფეროში მომუშავე სხვა ორგანიზაციებთან, ხოლო ამავე პერიოდში 82.2%-მა ერთმანეთში გაცვალა სხვადასხვა სახის (დოკუმენტები, ანგარიშები, მონაცემები) ინფორმაცია. სულ, სექტორული კომუნიკაციის მაჩვენებელი 83.7 ქულას შეადგენს (CSI OS 2009).

ასეთი კონტაქტები მიმდინარე პროექტებზეა დამოკიდებული და საკუთარი საქმიანობის წარმატებას ემსახურება.

სსო-თა თანამშრომლობისა და კოალიციური საქმიანობის წარმატებულ მაგალითს წარმოადგენდა USAID-ის მიერ 2002-2005 წლებში მხარდაჭერილი სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამა; თუმცა ამ უკანასკნელის დასრულების შემდეგ თანამშრომლობაც შეწყდა.

ეროვნული შეხვედრის მონაწილეთა განცხადებით, სსო-თა ურთიერთთანამშრომლობის ნეგატიურ მხარეს წარმოადგენს ის, რომ აქცენტი ნაკლებად კეთდება სამიზნე ჯგუფებზე და უშუალო ბენეფიციარებზე; უმეტესად, ცდილობენ, რომ დონორთა თვალში საკუთარი საქმიანობა წრმატებულად წარმოაჩინონ.

პოზიტიურ მხარედ უნდა ჩაითვალოს სსო-თა (თინკ-ტენკები, ტრენინგ-პროვაიდერები – პარტნიორები-საქართველო, CTC) ურთიერთდახმარება ისეთი სახის საქმიანობებში, როგორიცაა კონსალტინგი და შედარებით სუსტად განვითარებული ორგანიზაციების თანამშრომელთათვის სხვადასხვა სახის ტრენინგის ორგანიზება. ბოლო ხანებში გამოიკვეთა ინფორმაციის გაცვლისა და საერთო საქმიანობების მუდმივმოქ-

[21] სახელმწიფოს მხრიდან ასეთ მცდელობებს ადგილი ჰქონდა როგორც წინა ხელისუფლების, ისე ამჟამინდელი ხელისუფლების მმართველობის პერიოდში.

მედ ქსელებად ჩამოყალიბების ტენდენცია. ეს ინიციატივა ერთსა და იმავე სფეროში მომუშავე სსო-თაგან წამოვიდა დონორთა მხრიდან მხარდაჭერის გარეშე.[22] თუ ასეთი ტენდენცია უფრო გაძლიერდა, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში შეიძლება ახალი, შედარებით მაღალგანვითარებული ეტაპი დაიწყოს.

2.4 ადამიანური რესურსები

ადამიანური რესურსების სფერო ნებისმიერი ინსტიტუციის საფუძველს წარმოადგენს. ქვეთავი მოკლედ ახასიათებს სსო-ებში ამ მხრივ არსებულ სიტუაციას.

ორგანიზაციული კვლევის თანახმად, მდგრადი ადამიანური რესურსების მქონე ორგანიზაციებს, სადაც დასაქმებული პირები (მოხალისეებთან შედარებით) 75%-ზე მეტია, ორგანიზაციათა საერთო რიცხვის 43.0%-ს შეადგენს (CSI OS 2009).

მოხალისეობა, როგორც ზემოთ აღინიშნა, წევრობაზე სუსტადაა განვითარებული.[23] ორგანიზაციათა 33%-ს, საერთოდ, არ ჰყავს არც ერთი მოხალისე, ხოლო 38%-ში მოხალისეთა რიცხვი მცირეა (ორიდან ოც პირამდე). უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ტერმინი „მოხალისეები" ხშირად არასწორადაა გაგებული და ამ ტერმინის ქვეშ პროექტის ბენეფიციარები იგულისხმებიან.

მდგრადი ადამიანური რესურსების შექმნას აბრკოლებს ის გარემოებაც, რომ სსო-ებმა საქმიანობა დაიწყეს როგორც თანამზრახველთა ჯგუფებმა; ვინაიდან ბევრი ორგანიზაცია ახლაც მცირერიცხოვანია, ახალი თანამშრომლების აყვანა, მცირე გამონაკლისის გარდა, არა კონკურსის წესით, არამედ პირადი ნაცნობობით ხდება; სსო-თა ხელმძღვანელები კონკურსის წესით შერჩევას ამჯობინებენ ის პირები აიყვანონ, რომელთაც წინა საქმიანობიდან იცნობენ. თუმცა, ბოლო ხანებში შედარებით მსხვილი ორგანიზაციები სულ უფრო და უფრო ხშირად მიმართავენ ახალ თანამშრომელთა კონკურსით აყვანის წესს (Khapava, 2010).

უნდა აღინიშნოს, რომ „ვარდების რევოლუციის" შემდეგ სამოქალაქო საზოგადოებიდან მრავალი ადამიანი გადავიდა სამუშაოდ სახელმწიფო სექტორში ან წავიდა ბიზნესში. ვინაიდან ახალი კადრებით მათი

---

[22] ასეთი მცდელობების მაგალითს წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში მომუშავე ორგანიზაციების მიერ კოალიციის *ადგილობრივი თვითმმართველობისა და დემოკრატიისათვის* ჩამოყალიბება 2009 წელს.

[23] იხ. თავები 1.1 და 1.4.

ჩანაცვლების პროცესი შენელდა, სსო-ებში გაჩნდა კვალიფიციური კადრების დეფიციტი. სექტორიდან კადრების გადინების პროცესი კიდევ უფრო გააღრმავა სამოქალაქო საზოგადოების დაფინანსების შემცირებამ და სხვა სექტორებში (ძირითადად, სახელმწიფო ინსტიტუტებში) ხელფასების მკვეთრმა ზრდამ.[24]

როგორც ფოკუს-ჯგუფების მსვლელობისას სსო-თა წარმომადგენლებმა აღნიშნეს, ზემოაღნიშნული გახდა იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ერთ პიროვნებაზე – ორგანიზაციის ლიდერზე გადავიდა ბევრი უფლებამოსილება. ამ საკითხზე ქვემოთ, გადაწყვეტილების მიღების დემოკრატიული ფორმის აღწერისას ვისაუბრებ.[25]

2.5 ფინანსური და ტექნიკური რესურსები

აქ განხილულია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა ფინანსური და ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხები და ამ სფეროში არსებული ძირითადი ტენდენციები.

ორგანიზაციული კვლევის თანახმად, ფინანსური და ტექნიკური რესურსების საშუალო მაჩვენებელია 91.1%, მათ შორის ფინანსური მდგრადობისა – 89.0%, ხოლო ტექნიკური რესურსებისა – 93.1% (CSI OS 2009).

ფინანსური რესურსები. სსო-თა თვითშეფასებით, ორგანიზაციათა ფინანსური მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი III.2.2. ორგანიზაციათა წლიური ბიუჯეტი (CSI OS 2009)

	გაიზარდა	იმავე დონეზეა	შემცირდა
შემოსავალი წინა წელთან შედარებით	26	41	26
ხარჯი წინა წელთან შეადრებით	22	55	15
დაფინანსება ბოლო 5 წლის მანძილზე	24	31	37

[24] XX საუკუნის 90-იან წლებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მიმზიდველნი იყვნენ, ვინაიდან აქ, კორუმპირებული სახელმწიფო სტრუქტურებისაგან განსხვავებით, ბევრად იოლი იყო თვითრეალიზაცია ისე, რომ პიროვნებას შეენარჩუნებინა საკუთარი ღირებულებები. ამავე დროს, მძიმე სოციალური ფონის პირობებში დასავლური გრანტების წყალობით, სსო-ებში ხელფასები მნიშვნელოვნად უფრო მაღალი (დაახლოებით 100-200 აშშ დოლარი) იყო, ვიდრე მაშინდელი საშუალო ხელფასი ქვეყანაში. ბოლო წლებში სახელმწიფო სტრუქტურებში ხელფასების მკვეთრმა ზრდამ, საერთაშორისო დონორების მხრიდან დაფინანსების შესუსტებამ და სახელმწიფოს მხრიდან იგნორირების პოლიტიკამ სსო-ებს ძველი მიმზიდველობა დაუკარგა.

[25] იხ. თავი 3.1.

მონაცემების თანახმად დაფინანსება ბოლო ხუთი წლის მანძილზე უფრო შემცირდა, ვიდრე ბოლო, 2008 წლის განმავლობაში (შესაბამისად, 37% და 26%); ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს სსო-თა წუხილს, რომ 2003 წლიდან მოყოლებული დაფინანსების წყაროები შემცირდა. გარდა ამისა, დონორი ორგანიზაციების ოდენობისა და მათ მიერ დაფინანსებული სფეროების ჩამონათვალის შემცირება აღინიშნებოდა ყველა ფოკუს-ჯგუფში. ასევე აღინიშნებოდა ნეგატიური ტენდენციაც – შემცირებული რესურსების ფონზე ორგანიზაციები უსიტყვოდ ემორჩილებიან დონორთა მიერ დეკლარირებულ პრიორიტეტებს და დაფინანსების მისაღებად მუშაობას იწყებენ ისეთ სფეროებში, სადაც მათ დიდი გამოცდილება არ გააჩნიათ (მაგალითად, გენდერული ორგანიზაციები – ეკოლოგიურ საკითხებზე და ა.შ.). ვინაიდან დონორთა უმეტესობა პროექტისათვის ითხოვს ძლიერ, გამოცდილ ორგანიზაციას, განვითარების სულ უფრო მცირე შესაძლებლობები რჩებათ ახლად შექმნილ ორგანიზაციებს. ძნელდება მუშაობა რეგიონული ორგანიზაციებისათვის, რადგან დონორი მათ, ძირითადად, თბილისური ორგანიზაციების გავლით აფინანსებს.

საერთაშორისო დონორები წარმოადგენენ ქართული სსო-ების დაფინანსების უმთავრეს წყაროს: ორგანიზაციათა 37.4%-ისათვის დონორი ორგანიზაციებისაგან მიღებული დაფინანსება შემოსავლის 100%-ს შეადგენს, 54.6%-სათვის – 70%-ზე მეტს, ხოლო 58.6%-სათვის – 50%-ზე მეტს.

ამ ფონზე ბევრად მოკრძალებულია დაფინანსების სხვა წყაროების ხვედრითი წილი. სსო-თა 88%-ს არასოდეს მიუღია სახელმწიფო (ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება) დაფინანსება, 95%-ს – დაფინანსება ბიზნესიდან, ხოლო 83.2%-ს – კერძო პირებისგან. საკუთარი სერვისების გაყიდვით მიღებული შემოსავალი (თუნდაც მიზერული), საერთოდ არ აქვს 82.8%-ს (CSI OS 2009).

აღნიშნულთან, ერთი შეხედვით, წინააღმდეგობაში მოდის ორგანიზაციათა ბიუჯეტების საერთო მაჩვენებლები. სსო-თა 29.6%-ის წლიური ბიუჯეტი 250 ათასი ლარიდან 4 მილიონ ლარამდე ფარგლებში მერყეობს, ხოლო 23.5%-ისა – 50-250 ათასი ლარის ფარგლებში (WVS 2009).[26] აქ გასათვალისწინებელია ორი გარემოება: ჯერ ერთი, ორგანიზაციები, საკუთარი ფინანსური მდგრადობის საჩვენებლად ხშირად გადაჭარბებით აჩვენებენ შემოსავლებს; მეორეც, ვინაიდან გასულ წლებში

[26] ქართული ვალუტის – ლარის კურსი საკმაოდ მერყევია; 1 აშშ დოლარის რეიტი ვარირებს 1.4-დან 1.9 ლარამდე.

ბევრმა, განსაკუთრებით, მცირე ორგანიზაციამ, რეალურად, არსებობა შეწყვიტა, ფინანსები გადანაწილდა გადარჩენილ, შედარებით მსხვილ ორგანიზაციებზე.

ტექნიკური რესურსები. ტექნიკური ბაზის სიძლიერე წლების მანძილზე წარმოადგენდა სახელმწიფო თუ ბიზნეს-სექტორების შურის საგანს. იმ დროს, როდესაც ამ უკანასკნელთ ხშირად არ გააჩნდათ თანამედროვე აღჭურვილობა, სსო-ები, გრანტების წყალობით, ბოლო მოდელების აღჭურვილობას იძენდნენ (Kipiani, 2003). ამას განაპირობებდა პრაგმატული მოტივაცია: უახლესი ტექნიკა შედარებით გვიან ძველდებოდა და საჭირო აღარ იყო მათი ხშირი (ორ-სამ წელიწადში ერთხელ) განახლება. დღეს სსო-თა 87.1%-ს ხელი მიუწვდება ინტერნეტზე, 74.3%-ს – ფაქსზე და 91.1%-ს – კომპიუტერზე (CSI OS 2009).

დონორთა მხრიდან დაფინანსების შემცირებამ, რაც, პირველ რიგში, ორგანიზაციული სახის მხარდაჭერას შეეხო, თანადათან გამოიწვია არსებული ტექნიკის ცვეთა. ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია დღეს უკვე ხუთი-ათი წლის წინ შეძენილი საოფისე ტექნიკით სარგებლობს და ხშირად უჩნდება პრობლემა ახალ პროგრამების (მაგალითად, ბოლო ვერსიის ვორდი, ექსელი და ა.შ.) ფორმატში შექმნილი ინფორმაციის დამუშავებასთან დაკავშირებით. ბევრ რეგიონში ამ პრობლემას ემატება ინტერნეტის სუსტი გამტარობა ან საერთოდ არარსებობა.

ზოგადად, ქვეყანაში, საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებით, ინტერნეტით მოსარგებლეთა რაოდენობა იზრდება (მოსახლეობის 23.78% 2008 წელს) და მნიშვნელოვან პროგრესს განიცდის (Internet Users, World Bank Data, 2008).

სამწუხაროდ, ასევე ძალზე მაღალია პირატული პროგრამული უზრუნველყოფის ხვედრითი წილი. 2009 წელს საქართველო მეკობრეობის დონით მსოფლიოში პირველ ადგილზე გავიდა 95%-ით და მნიშვნელოვნად გადაუსწრო ბოლო ხუთეულის სხვა წევრებს (ზიმბაბვე – 92%, ბანგლადეში – 91%, მოლდოვა – 91%, სომხეთი – 91%) (Business Software Alliance, 2009).

ეს გარემოება, ერთი მხრივ, მეტყველებს ტექნიკური ბაზის სწრაფ განვითარებაზე, მაგრამ ამავე დროს მომხმარებლებს სულ უფრო და უფრო ხშირად ექმნებათ პრობლემები პირატული და არაპირატული პროგრამების ურთიერთშეუთავსებლობის გამო. გასათვალისწინებელია

ეთიკური მხარეც: სსო-ები მოწოდებულნი არიან, კანონის უზენაესობა იქადაგონ, ყოველდღიურ საქმიანობაში კი პირატულ საქონელს იყენებენ. გარკვეულწილად, ამის გაგება შეიძლება, ვინაიდან ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფა მეტად ძვირია.

2.6 საერთაშორისო კავშირები

ინდიკატორი წარმოაჩენს საერთაშორისო კავშირების სიძლიერეს და ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსათვის მის ხელმისაწვდომობას.

საერთაშორისო ასოციაციების კავშირის მონაცემთა მიხედვით, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციათა წილი 6.09% შეადგენს.[27] ქვეყანაში მოქმედებს მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების განყოფილებები. ეს ორგანიზაციები მუშაობენ ისეთ სფეროებში, რომლებიც ქვეყნისათვის ყველაზე აქტუალურია (ლტოლვილთა დახმარება, სოციალური პროგრამები და სხვა).

საყურადღებოა ადგილობრივი ორგანიზაციების საერთაშორისო ქსელებში მონაწილეობის ხარისხიც. ამ მხრივ, უახლესი მონაცემები ხელმისწვდომი არაა; 2003 წლის მონაცემების თანახმად, ქართული სამოქალაქო ორგანიზაციები 766 საერთაშორისო ორგანიზაციის წევრები იყვნენ, რაც საქმიანობის საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავდა (მაგალითად, გაეროს ასოციაციები, პარტნიორები დემოკრატიული ცლილებებისათვის, პასოსი და სხვა). ამ მაჩვენებლით საქართველო პირველობდა კავკასიის რეგიონში, მაგრამ მნიშვნელოვნად (ერთიორად და მეტად) ჩამორჩებოდა აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის ქვეყნებს.

დასკვნა

- დემოკრატიული ინსტიუტები (არჩევითი ორგანოები) ქართულ სსოებში, მეტწილად, ფორმალურ ელფერს ატარებს. ეს განსაკუთრებით ითქმის მრჩეველთა საბჭოების საქმიანობაზე. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა განმარტებით, პირდაპირი მმართველობის ფორმები თითქმის არ გამოიყენება.

---

[27] მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი და სივიკუსი მადლობას უხდის საერთაშორისო ასოციაციათა კავშირს სსი პროექტში მისი მონაწილეობისა და აღნიშნული მონაცემების მოწოდებისათვის.

- სსო-თა ინფრასტრუქტურა საკმაოდ განვითარებულია, თუ მას შევადარებთ რეგიონის სხვა ქვეყნების ანალოგიურ მონაცემებს; და მაინც ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს.
- ადამიანური რესურსების მხრივ, საკმაოდ არასახარბიელო სურათი გვაქვს. სახეზეა სხვა სფეროებში კადრების გადადინების პროცესი, რასაც არ მოსდევს ახალი კადრებით ძველთა ჩანაცვლება.
- არასახარბიელო მდგომარეობაა ტექნიკური და ფინანსური მდგრადობის მხრივაც. სსო-თა ტექნიკური ბაზა, რომელიც თავის დროზე საკმაოდ მაღალ სტანდარტებს შეესაბამებოდა, მოძველებულია. ბოლო წლებში დონორი ორგანიზაციების მხრიდან შესუსტებულია როგორც ყურადღება, ისე დაფინანსება, ეს მაშინ, როცა თითქმის არ არსებობს დაფინასების სხვა წყაროები. ამგვარი ვითარება სექტორს საკმაო სირთულეებს უქმნის.
- აქვე უნდა ითქვას, რომ ბოლო ხანებში შეინიშნება სსო-თა ურთიერთთანამშრომლობის ხარისხის ზრდა, რაც განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ასვლის მაჩვენებელია.
- სასურველია საერთაშორისო კავშირების მეტად გაძლიერება, ვინაიდან არსებული მდგომარეობა დღევანდელობის მოთხოვნებს არ შეესაბამება.

3. ღირებულებების შიდა პრაქტიკა

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი აჯამებს სამოქალაქო საზოგადოების ღირებულებების პრაქტიკის სხვადასხვა ქვემიმართულებას. მიმართულების ჯამური ქულა 64.5%-ია, მაგრამ მიუხედავად დეკლარირებული მაღალი მაჩვენებლებისა, რეალური მონაცემები ბევრად უფრო მოკრძალებულად გამოიყურება. აქაც, ისევე როგორც ორგანიზაციული განვითარების დონის შეფასებისას, მრავალი ურთიერთგამომრიცხველი მონაცემი ფიგურირებს. როგორც ეროვნული შეხვედრის მონაწილეების მიერ გამოთქმული მოსაზრებების, ისე სსო-თა მიერ ფაქტების კონსტატაციის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მატრიცაში მოტანილი მონაცემები ასახავენ არა რეალურ სურათს, არამედ იმას, თუ როგორ აღიქვამენ ამ საკითხს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები.

ცხრილი III.3.1. სსო-თა შიდა ღირებულებები და ქცევის ნორმები

3	**მიმართულება: ღირებულებების შიდა პრაქტიკა**	**64.7**
3.1	დემოკრატიული მართვა	82.2
3.2	შრომის რეგულირება	36.5
3.3	ქცევის კოდექსი და გამჭვირვალობა	87.7
3.4	გარემოსდაცვითი სტანდარტები	80.2
3.5	სამოქალაქო საზოგადოების ღირებულებები	37.0

3.1 დემოკრატიული მართვა

ქვეთავში აღწერილია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა მართვის დემოკრატიულობის ხარისხი, ანუ რამდენად იძლევა არსებული მართვის წესი ეფექტური გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას.

ორგანიზაციების 82.2% აცხადებს, რომ გადაწყვეტილებას იღებენ დემოკრატიულად (CSI OS 2009). მათ შორის: 49.5%-ში გადაწყვეტილებას იღებს არჩეული ლიდერი, ხოლო 25.7%-ში – არჩეული საბჭო. შედარებით მცირეა პირდაპირი დემოკრატიის განხორციელების მაგალითი, როცა გადაწყვეტილება მიიღება ორგანიზაციის ყველა წევრის მიერ (3%). სსო-თა ეს მონაცემები ეჭვქვეშ დააყენეს ეროვნული შეხვედრის მონაწილეებმა. მათი აზრით, სინამდვილეში, დემოკრატიულად გადაწყვეტილებებს იღებენ ორგანიზაციათა დაახლოებით 30%-ში. აღნიშნულს ისიც ემატება, რომ, როგორც წესი, არ ხდება საბჭოს ძველ წევრთა როტაცია: საბჭოები და გამგეობები ან ფორმალურად არსებობენ ან ამ უკანასკნელთა წევრები თავად წარმოადგენენ ორგანიზაციის წამყვან, „შეუცვლელ“ წევრებს.

ბოლო წლებში, სსო-თა მიმართ დონორთა ყურადღების შემცირების ფონზე გამოიკვეთა კიდევ ერთი უარყოფითი ტენდენცია: ხელახალი რეგისტრაციისას, რაც, 2005 წლიდან ქვეყნის კანონმდებლობის მოთხოვნაა და, ფორმალურად, სსო-თა საქმიანობის შემდგომ ხელშეწყობას ისახავს მიზნად, ნაწილი იმ ორგანიზაციებისა, რომელთაც ადრე მმართველი საბჭოები ჰყავდა, უკვე ფორმალურადაც გადადის ერთპიროვნული მმართველობის სისტემაზე – ორგანიზაციის ლიდერი ამავე დროს ორგანიზაციის დამფუძნებელი და

მისი ერთპიროვნული მმართველი (გადაწყვეტილების ერთადერთი მიმღები) ხდება.[28]

აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი ორგანიზაციების რიგითი წევრები ცვლილებებს ინდიფერენტულად ხვდებიან. იმ პირობებში, როცა, მათივე განცხადებით, სსო-თა დაფინანსებისა და სტაბილური განვითარების პროცესი გარკვეულ სირთულეებს აწყდება, მათ ურჩევნიათ, „გამოცდილმა ლიდერმა“ პირადად მოაგვაროს ორგანიზაციის პრობლემები; ორგანიზაციათა წარმომადგენლების 87.7% აცხადებს, რომ ისინი კმაყოფილნი არიან მენეჯმენტით და მხოლოდ 3.1% აფასებს მმართველი რგოლის მუშაობას არადამაკმაყოფილებლად (CSI OS 2009). თუმცა, აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ მცირე ორგანიზაციებში ორგანიზაციის წევრების უმეტესობა თავადვე წარმოადგენს მმართველ რგოლს და კითხვას „კმაყოფილი ხართ თუ არა მენეჯმენტით?“ თვითშეფასებად აღიქვამს.

3.2 შრომის რეგულირება

შრომითი რეგულაციების სფეროში, ისე როგორც მთელ რიგ ზემოხსენებულ საკითხებში, ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება ყოველდღიური პრაქტიკა და ფორმალური, იურიდიული მხარე. როგორც წესი, პრაქტიკაში შრომითი რეგულირება ნათლად გაწერილი რეგულაციების გარეშე ხდება, თუმცა ეს აუცილებლად არ ნიშნავს დისკრიმინაციას. გენდერული ან სხვა სახის ღია დისკრიმინაციის შემთხვევები სსო-თა საქმიანობაში არ ფიქსირდება. რაც შეეხება ფორმალურ რეგლამენტირებას, იურიდიულად, ბევრი საკითხი რეგულაციის მიღმა რჩება (CSI OS 2009). სხვადასხვა სფეროს მიხედვით ეს საკითხი შემდეგნაირად გამოიყურება:

- ორგანიზაციების განცხადებით, სსო-თა მხოლოდ 17.8%-ს აქვს დაწერილი რეგულაცია ქალთა დასაქმების თანასწორ შესაძლებლობებზე და/ან თანასწორ ანაზღაურებაზე, თუმცა, ეროვნული შეხვედრის მონაწილეთა შეფასებით, ეს მაჩვენებელი 5%-ს არ აღემატება. აღ-

[28] სსო-თა ნაწილის ასეთი ქმედება გარკვეულწილად „იმეორებს“ სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებს, სადაც 2004 წლიდან მოყოლებული, უკვე კონსტიტუციურად ფორმდება აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელის – პრეზიდენტის კომპეტენციაში მთელი რიგი უფლებამოსილებების კონცენტრაცია. ასე რომ, ხშირად ის სსო-ები, რომლებიც ქვეყნის ხელისუფლების ერთ ხელში კონცენტრაციას ნეგატიურად აფასებენ, შიდა მართვის პროცესში ანალოგიურად იქცევიან.

ნიშნული დისკრიმინაციაზე კი არა, უფრო სსო-თა სტრუქტურული განვითარების სისუსტეზე (როგორც წესი, შიდა რეგულაციების არარსებობა) მეტყველებს.

- გამოკითხვის მიხედვით, ორგანიზაციათა ანაზღაურების მქონე თანამშრომლების 24.1% პროფკავშირების წევრია, ამავე დროს, ორგანიზაციების ადმინისტრაციული პერსონალის 89% არ შედის არც ერთ პროფკავშირში. ეროვნული შეხვედრის მონაწილეებმა ამ მონაცემის სისწორეშიც შეიტანეს ეჭვი. ქვეყანაში პროფკავშირული გაერთიანებების ოდენობა და მათი წევრების რიცხვი მიზერულია; უშუალოდ სსო-თა წევრებისათვის არც ერთი პროფკავშირი არ მუშაობს, ამიტომ მათთვის გაურკვეველია, სად არიან ისინი გაწევრიანებულნი.
- ახალი თანამშრომლებისათვის შრომით უფლებებზე ტრენინგებს, თვითშეფასების მიხედვით, ატარებს სსო-თა 18.8%, ხოლო ეროვნული შეხვედრის მონაწილეთა ემპირიული შეფასებით, ეს რიცხვი 1%-ზე ნაკლებია.
- თვითშეფასების მიხედვით, შრომითი სტანდერტების საჯაროდ ხელმისაწვდომ პოლიტიკას ატარებს 85.1%. ეროვნული შეხვედრის მონაწილეთა ემპირიული შეფასებით, რეალურად, პოლიტიკა ამ სფეროში 5%-ზე ნაკლებს აქვს. მაღალი მაჩვენებლის მიზეზად შეხვედრის მონაწილეებმა დაასახელეს ზოგი დონორის მოთხოვნა ამ სფეროში, რაც სსო-ებს აიძულებს განაცხადონ, რომ ამ მხრივ მათთან ყველაფერი წესრიგშია.

ამავე დროს, საკმაოდ ხშირია შემთხვევა, როცა ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულ პირს, სამუშაოზე უარს ეუბნებიან იმ მოტივით, რომ ეს ადგილი უკვე დაკავებულია. სახელმწიფოში არსებული ლიბერტერიანული შრომითი კანონმდებლობა არ იძლევა ასეთ გადაწყვეტილებებზე რეაგირების საშუალებას.

3.3 ქცევის კოდექსი და გამჭვირვალობა

კვლევის შედეგების მიხედვით გამჭვირვალობის გასაშუალებული მაჩვენებელი არის 87.7, აქედან, ეთიკის კოდექსის ხელმისაწვდომობა – 82.2%-ს, ხოლო ფინანსური გამჭვირვალობა – 93.1%-ს აღწევს (CSI მონაცემთა მატრიცა (3.3); CSI OS 2009).

ეთიკის კოდექსის ხელმისაწვდომობა. ეროვნული შეხვედრის მონაწილეთა აზრით, საჯაროა მხოლოდ ორგანიზაციათა დაახლოებით 20%-ის ეთიკის კოდექსი; ამასთან, ამ კოდექსების აბსოლუტური უმრავლესობა ფორმალურია. თვთშეფასების მონაცემთა გადაჭარბებას თვითონ კითხვარიც ადასტურებს:

- ორგანიზაციათა 33.3% ფიქრობს მომავალში ეთიკის კოდექსის მიღებას, რაც ნონსენსია იმ შემთხვევაში, თუ 82.2%-ს ის უკვე მიღებულ აქვს.
- იმ ორგანიზაციებიდან, რომლებიც აცხადებენ, რომ მათი ქცევის კოდექსი საჯაროა, 79.1% ინფორმაციას გასცემს მხოლოდ მოთხოვნის შემთხვევაში. ეს აფიქრებინებს ეროვნული შეხვედრის მონაწილეებს, რომ დონორების მოთხოვნისას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, სინამდვილეში, უმოქმედო კოდექსს წარადგენენ ხოლმე.

კვლევის ცალკეული ქეისების მონაცემთა თანახმად, ადგილობრივ სსო-თა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი ერკვევა ანგარიშვალდებულების პრინციპებსა და ფორმებში. ბევრად უკეთესად არც საერთაშორისო ორგანიზაციებშია საქმე, თუმცა ზოგჯერ ცალკეულ სფეროებში დაწერილი სტანდარტები რეალურად მოქმედებს. ამ სტანდარტებს შორის უნდა აღინიშნოს ჰუმანიტარული ანგარიშვალდებულების პარტნიორობის (HAP) სტანდარტები (გაწევრიანებულია ხუთი ორგანიზაცია), სტიქიით დაზარალებულთათვის გაწეული დახმარების ხარისხის ამაღლების, ჰუმანიტარული ორგანიზაციებისა და სახელმწიფოების ანგარიშვალებულების გაზრდის SPHERE სტანდარტები (1997), წევრი ორგანიზაციების ეფექტიანობისა და პროფესიული შესაძლებლობების დახვეწის InterAction PVO სტანდარტები – (საქართველოში გაწევრიანებულია ათი ორგანიზაცია). (HAPInternational, 2007; Codes of conduct, 2009) მიუხედავად მცირე ოდენობისა, თავისთავად ასეთი სტანდარტების არსებობა დადებითად უნდა შეფასდეს.

უარყოფითი მომენტებიდან აღსანიშნავია გადაწყვეტილების მიღების პროცედურების გაუმჭვირვალობა, მათ შორის, დონორ ორგანიზაციებშიც. ყოფილა შემთხვევები, როცა დონორის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე გამარჯვებულ ორგანიზაციას, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, უარი ეთქვა დაფინანსებაზე სხვა, კონკურსში შედარებით დაბალი ქულამიღებული ორგანიზაციის სასარგებლოდ.

ფინანსური გამჭვირვალობა. ფინანსური ინფორმაციის საჯაროობასაც ეროვნული შეხვედრის მონაწილენი კრიტიკულად აფასებდნენ. მათი სიტყვით, არათუ 93.1%, არამედ 20%-იც კი გაზრდილ მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ. საკუთარი ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ღიაობის პრინციპი მხოლოდ ფორმალურადაა დაცული. როგორც წესი, ეს გამოიხატება დონორთათვის ფინანსური ანგარიშების მიწოდებაში და, საუკეთესო შემთხვევაში, წლიური ანგარიშების გამოცემაში, სადაც შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის მხოლოდ უმთავრესი პუნქტებია მოცემული. უბრალო ემპირიული დაკვირვების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ბევრი სსო-ს თანამშრომელთა უმრავლესობა (მეტწილად, ეს ეხება შედარებით მსხვილ ორგანიზაციებს) არ ფლობენ ინფორმაციას საკუთარი ორგანიზაციის შემოსავლებისა და მმართველი რგოლის მიერ გატარებული ფინანსური პოლიტიკის შესახებ.

სამწუხაროდ, ამის მაგალითს ხშირად ქვეყანაში მოქმედი ზოგიერთი, როგორც სერვის-პროვაიდერი, ისე დონორი, საერთაშორისო ორგანიზაცია იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ადგილობრივ სსო-ებს მოუწოდებენ გამოაქვეყნონ ფინანსური ინფორმაცია უმცირესი დეტალების (მაგალითად, ხელფასების ოდენობის) მითითებით, თვითონ არავითარ საჯარო ინფორმაციას არ გასცემენ ზოგად ბიუჯეტზეც კი, დეტალიზებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. უფრო მეტიც, ხშირად ერთობლივი პროექტები ისე ხორციელდება, რომ ადგილობრივი პარტნიორებისათვის პროგრამის ბიუჯეტი არაა ცნობილი.

კიდევ უფრო მკაცრად შეზღუდულია იმ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ინფორმაციის გამოთხოვა, რომლებიც სახელმწიფო სექტორთან თანამშრომლობენ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განცხადებით, ბრიუსელში დონორთა კონფერენციამ (2008) არ გასცა ინფორმაცია, 2008 წლის საქართველო-რუსეთის სამხედრო კონფლიქტის შემდეგ საქართველოში ლტოლვილთა დასახმარებლად გამოყოფილი დახმარების სტრუქტურის შესახებ. დახმარება ხუთჯერ აღემატება 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის გამოყოფილ თანხას და თუ მას ცალკეულ ადამიანებზე გადავანაწილებთ, სულზე დაახლოებით 3.000 აშშ დოლარი გამოვა. არც საქართველოს ხელისუფლება და არც დონორები არ იძლევიან ინფორმაციას, თუ როგორ უნდა განაწილდეს სოციალური სექტორის განვითარებისათვის გამოყოფილი 700 მილიონი დოლარი.

ეროვნული შეხვედრის მონაწილეთა შეფასებით, საქართველოში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების სეგმენტებისათვის კარგადაა ცნობილი ანგარიშვალდებულების პრინციპების არსი, პრაქტიკაში კი, ზოგჯერ მერკანტილური ინტერესების, უფრო ხშირად კი ერთიანი სტანდარტების არარსებობის გამო ეს პრინციპები ირღვევა ხოლმე.

3.4 გარემოსდაცვითი სტანდარტები

გარემოსდაცვითი სტანდარტების პოლიტიკა, გამოკითხულ სსო-თა თვითშეფასების თანახმად, ორგანიზაციათა 80.2%-ს (CSI OS 2009) აქვს. როგორც ზოგიერთი სხვა მაჩვენებლის დახასიათებისას, ამ მონაცემთა სისწორეც ეჭვს იწვევს, ვინაიდან იმავე ორგანიზაციათა 44.4% ფიქრობს სტანდარტების მიღებაზე. ეროვნული შეხვედრის მონაწილეთა ემპირიული შეფასებით, საუკეთესო შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი 20%-ს არ აღემატება.

პრაქტიკაში ასეთი სტანდარტების გამოყენების მაგალითები იშვიათად გვხვდება. უპირველეს ყოვლისა, არ ჩანს, რა იგულისხმება ამ სტანდარტებში. ეროვნული შეხვედრის მონაწილეთა ვარაუდით, ზოგიერთი რესპონდენტი ამაში გულისხმობს მოწევის აკრძალვას ოფისებში (ან მათ ნაწილში), ასევე, ქაღალდის დასაზოგად პრინტერებზე შეზღუდვების დაწესებას. ასეთი პრაქტიკაც, უმეტესწილად, ძირითადად, საერთაშორისო ორგანიზაციებშია დანერგილი, თუმცა ბოლო ხანებში სულ უფრო და უფრო მეტი ადგილობრივი სსო მიმართავს ანალოგიურ ქმედებას.

სხვა, უშუალოდ გლობალურ გარემოსდაცვით პრობლემებთან დაკავშირებული ქმედებები (მაგალითად, ნახშირბადის, CO_2-ის შემცირების სტანდარტებთან მიმართება და ა.შ.), რეალურად არ გვხვდება.

პოზიტიურ გამონაკლისს ამ სფეროში წარმოადგენს გარემოსდაცვითი ორგანიზაციები, რომლებიც, მათი საქმიანობის სფეროდან გამომდინარე, მთელ რიგ გარემოსდაცვით ღონისძიებებს ატარებენ. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ტიპის ორგანიზაციები უფრო ცალკე „კასტას“ წარმოადგენენ და სხვა ტიპის (თინკ-ტენკები, პროფესიული ასოციაციები, ვოჩდოგები, სათემო ორგანიზაციები და ა.შ.) სსო-ებთან მათი კავშირი საკმაოდ სუსტია; ეს გასაგებიცაა, ვინაიდან მათი საქმიანობის სფერო მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა ტიპის ორგანიზაციათა საქმიანობისაგან.

3.5 სამოქალაქო საზოგადოების ღირებულებები

ამ ნაწილში მიმოხილულია სსო-თა დამოკიდებულება მათ მიერ აღიარებული ისეთი ღირებულებებისადმი, როგორებიცაა: არაძალადობა, შიდა დემოკრატიული მენტალობა, დამოკიდებულება კორუფციასთან და ტოლერანტულობის ხარისხი. ქვემოთ მომყავს რამდენიმე უმთავრესი ღირებულებისადმი სსო-თა დამოკიდებულება (CSI OS 2009):

- **არაძალადობა.** ორგანიზაციული კვლევის თანახმად, ძალები, რომლებიც საკუთარ საქმიანობაში იყენებენ ძალადობის სხვადასხვა ფორმას, სამოქალაქო საზოგადოების 35.1%-ს შეადგენენ; კითხვარების თანახმად, ზოგადად, ასეთი ქმედებების მხარდამჭერი 50.5%-ია. ეროვნული შეხვედრის მონაწილენი ეთანხმებიან ბოლო მონაცემს იმ დეფინიციით, რომ მასში შეჰყავთ არა მარტო ის ძალები, ვინც ასეთ ქმედებას ახორციელებს, არამედ ისინიც, ვინც ამის სურვილს ამჟღავნებს. ამ ტიპის ძალებს განეკუთვნებიან როგორც რადიკალური ორთოდოქსული და/ან ნაციონალისტური, ისე ლიბერტერიანული ჯგუფები. ეროვნული შეხვედრის მონაწილეთა განცხადებით, მათ რიცხვს ეკუთვნის ზოგიერთი ვოჩდოგის ტიპის ორგანიზაციაც. მართალია, ასეთი რადიკალური ხედვები სსო-თა თანამეგობრობის თვალში მარგინალიზებული და მცირერიცხოვანია, მაგრამ განსხვავებული ხედვებია ამ ძალების გავლენასთან დაკავშირებით: სსო-თა 38.6% ფიქრობს, რომ ეს მნიშვნელოვანი, მასობრივი ორგანიზაციებია, 33.3%-ის აზრით, სამოქალაქო საზოგადოებაში ძალადობა მეტად იშვიათად გვხვდება, 26.3%-ს შუალედური პოზიცია უკავია.

- **შიდა დემოკრატია.** დემოკრატიული გადაწყვეტილებების მიღების წესის დანერგვაში სამოქალაქო საზოგადოების როლის მოლოდინი საკმაოდ მაღალია (43.5%). ამ მონაცემს კიდევ უფრო ზრდიან ეროვნული შეხვედრის მონაწილეები (50%-ზე მეტი); მათი განცხადებით, სამოქალაქო საზოგადოებას ასეთი მისია უნდა ჰქონდეს. მიუხედავად ამისა, ორგანიზაციული კვლევის რესპონდენტთა 51.1% თვლის, რომ სამოქალაქო საზოგადოების როლი შიდა დემოკრატიის დამკვიდრების პროცესში შეზღუდულია და მხოლოდ 23.9% მიიჩნევს ამ როლს მნიშვნელოვნად.

- **კორუფცია.** კვლევის თანახმად, კორუფციული ხარისხის აღქმა მნიშვნელოვნად დაბალია (14.0%), ეროვნული შეხვედრის მონაწი-

ლეები ამ მონაცემს 50%-მდე ზრდიან.[29] მათი განმარტებით, მართალია, თანხებთან დაკავშირებული კორუფცია თითქმის არ აღინიშნება, მაგრამ არაფინანსური კორუფციის ხარისხი (პოლიტიკური ანგაჟირების ან პირადი სიმპათიების მიხედვით მხარდაჭერა) საკმაოდ მაღალია.

- **არატოლერანტულობა.** კითხვარის მიხედვით, 66.2% აღიარებს, რომ არატოლერანტულობის გამოვლენის გარკვეული ოდენობის შემთხვევები მართლაც სახეზეა (CSI OS 2009). XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე ქვეყანაში მოქმედი ნაციონალისტური და, განსაკუთრებით, რადიკალური რელიგიური, ორთოდოქსული ჯგუფები, რომლებიც, ძირითადად, საქართველოში ახლად გაჩენილი რელიგიური სექტების შევიწროებით იყვნენ დაკავებულნი, „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ახალი ხელისუფლების მიერ სწრაფად აილაგმნენ. სამაგიეროდ, არატოლერანტულობამ, გარკვეულწილად, თავი იჩინა ახალი ხელისუფლების მხარდამჭერ, ულტრალიბერალურად განწყობილ ჯგუფებში, რომლებიც არასწორად და ლამის დანაშაულებრივად მიიჩნევენ ნებისმიერი განსხვავებული აზრის არსებობას.

რაც შეეხება სამოქალაქო საზოგადოების როლს არაძალადობისა და მშვიდობის დანერგვაში, ეროვნულ შეხვედრაზე ითქვა, რომ ეს უფრო მოლოდინები და სურვილებია, ვიდრე რეალობა. 2008 წლისათვის სამოქალაქო საზოგადოების მრავალმა წევრმა იცოდა, რომ მიმდინარეობდა ქვეყნის გადაჭარბებული მილიტარიზაცია და გრძნობდა ომის მოახლოებას, მაგრამ ეს საკითხი განზე რჩებოდა, რადგან პაციფისტური იდეები იმ დროს არაპოპულარული ჩანდა. არაძალადობის რეკლამირებაში სამოქალაქო საზოგადოების როლს უმნიშვნელოდ ან შეზღუდულად აფასებს 50%, ხოლო მნიშვნელოვნად – მხოლოდ 12.2%.

დასკვნა

კვლევები ადასტურებს, რომ, ზოგადად, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და, კერძოდ, სსო-ების მნიშვნელოვანი ნაწილი დეკლარირებულ ფასეულობებს ყოველთვის არ ემსახურებიან კონიუქტურული მოსაზრებებისა თუ სხვა მიზეზების გამო; ეს თვით სსო

[29] სსი მეთოდოლოგია აჩვენებს დაბალ ქულას, მაღალია კორუფციის მოლოდინის დონე.

თანამეგობრობის შიგნით მთელი რიგი პრობლემების არსებობაზე მეტყველებს.

სსო-თა ყოველდღიური საქმიანობის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ:

- ბოლო წლებში საკმაოდ გაძლიერდა სსო-ებში ერთპიროვნული მმართველობის ტენდენცია, რასაც არსებული პრობლემების სწრაფი გადაწყვეტის მოტივით ამართლებენ;
- შრომის უფლებები საკმაოდ შეიზღუდა და კვლავ შემცირებას განაგრძობს, რაც ქვეყანაში არსებული სურათის (შრომის კანონმდებლობის მკვეთრი გაუარესება) ადეკვატურ რეაქციად უნდა ჩაითვალოს;
- სსო-ები აღიარებენ ქცევის კოდექსისა და ფინანსური გამჭვირვალობის დიდ მნიშვნელობას, თუმცა პრაქტიკაში ამ პრინციპების რეალიზაცია ფერხდება;
- სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა ხედვით, მათ არ შეუძლიათ რეალური გავლენა მოახდინონ საზოგადოებრივ აზრზე, რომელშიც საკმაოდ ძლიერდება დესტრუქციული, არაჰუმანური განწყობები (ძალადობისა და არატოლერენტულობის გამოვლენა განსხვავებულთა მიმართ).

4. ზემოქმედების ხარისხი

ამ თავში განხილულია იმ გავლენის ხარისხი, რომელსაც სსო-ები ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე ახდენენ. კერძოდ, რამდენად ადეკვატურად რეაგირებენ სსო-ები ქვეყნის მოსახლეობის წინაშე მდგარ სოციალურ და პოლიტიკურ გამოწვევებზე და როგორია მათი გულისხმიერების ხარისხი; რა გავლენას ახდენენ ისინი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე და რამდენად ცვლიან ამა თუ იმ საკითხისადმი (ადამიანთა მიმართ ნდობა, ტოლერანტობა) მოსახლეობაში არსებულ დამოკიდებულებებს; რით განსხვავდება სსო-თა ღირებულებები საერთო განწყობებისაგან და როგორ აფასებენ საქართველოს მოქალაქეები მათ საქმიანობას. ანალიზში მოცემულია როგორც უშუალოდ სსო-თა თვითშეფასება, ისე მათი შეფასება გარე აქტორებისა თუ ექსპერტების მიერ.

ცხრილი III.4.1. სსო-თა მიერ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე მოხდენილი გავლენის ხარისხი

4	**მიმართულება: ზემოქმედების ხარისხი**	**30.3**
4.1	გულისხმიერება (შიდა აღქმა)	33.0
4.2	სოციალური გავლენა (შიდა აღქმა)	49.5
4.3	გავლენა პოლიტიკაზე (შიდა აღქმა)	40.7
4.4	გულისხმიერება (გარე აღქმა)	20.3
4.5	სოციალური გავლენა (გარე აღქმა)	25.0
4.6	გავლენა პოლიტიკაზე (გარე აღქმა)	23.3
4.7	სამოქალაქო საზოგადოების გავლენა დამოკიდებულებებზე	20.2

აშკარად იკვეთება, რომ თვითშეფასების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მაღალია გარე შეფასების მონაცემებზე. ამავე დროს შედეგი ორივე შემთხვევაში ბევრად ნაკლებია, ვიდრე ამას ორგანიზაციული განვითარებისა და ღირებულებების აღწერის საკმაოდ მაღალი, დეკლარირებული მაჩვენებლებიდან გამომდინარე შეიძლება მოველოდეთ.

4.1 გულისხმიერება (შიდა აღქმა)

ინდიკატორი გვიჩვენებს, რომელი პრობლემა/პრომლემები აწუხებს საზოგადოებას და როგორია ამ პრობლემებისადმი სსო-თა დამოკიდებულება თავად ამ უკანასკნელთა შეფასებით.

უმთავრესს ქვეყანაში არსებული სიღარიბე წარმოადგენს – 87.9% (WVS 2009). სხვა პრობლემები (ერთად ჯამში – 12.1%) თავისი აქტუალობით სიღარიბის პრობლემას მნიშვნელოვნად ჩამორჩება და მათი შედარება მეორადი არჩევანისას შეიძლება (გარემოს დაბინძურება – 31.0%, არაადეკვატური განათლება – 27.8%, არადამაკმაყოფილებელი ჯანდაცვა – 26.7% და ა.შ.). შესაბამისად, ამ საკითხთა შორის გარემოს დაბინძურებას მეორე ადგილი უკავია (WVS 2009).

კითხვაზე, თუ რამდენად ახდენს გავლენას სამოქალაქო საზოგადოება აღნიშნული პრობლემების მოგვარებაზე, პირველ შემთხვევაში (სიღარიბე) – 22.7%, ხოლო მეორე შემთხვევაში (გარემოს დაბინძურება) – 25.8% დასახელდა (CSI OS 2009). ორგანიზაციული კვლევის პროცესში სსო-თა წარმომადგენლები ორივე საკითხის განხილვისას აღიარებდნენ სამოქალაქო საზოგადოების საკმაოდ შეზღუდული ზემოქმედების ხარისხს:

- სიღარიბის დაძლევის პროცესში გავლენა საერთოდ არ არსებობს (29.9%) ან მეტად შეზღუდულია (47.4%). მნიშვნელოვანი გავლენის არსებობას უმნიშვნელო ნაწილი (2.1%) თუ აღიარებს.
- გარემოს დაბიძურებასთან ბრძოლაში ეს მონაცემები, შესაბამისად, არის 36.1%, 38.1% და 9.3%.

საყურადღებოა, რომ მეორე პრობლემის განხილვისას უფრო მეტია როგორც გადაჭარბებული პესიმიზმის, ისე გადაჭარბებული ოპტიმიზმის ხარისხი. ეს იმას ადასტურებს, რომ მეორე საკითხში, რომელიც შედარებით ნაკლებ აქტუალურია და პოლიტიკურადაც ნაკლებ სენსიტიური, წარმატების მოლოდინიც და ზეგავლენის აღქმაც უფრო მაღალია. რაც შეეხება სიღარიბეს, უმეტესობის აზრით, ამ პრობლემის გადაწყვეტა სსო-ებს ნაკლებ ხელეწიფებათ და ეს უფრო ეკონომიკის, ბიზნესის სფეროა.

ამავე დროს სსო-ები შეძლებისდაგვარად ცდილობენ ხელი შეუწყონ ამ საკითხთა გადაწყვეტას. ხშირად ხდება (განსაკუთრებით, შედარებით ძლიერ ორგანიზაციებში), რომ პროექტის დასრულების შემდეგ, მიუხედავად ფინანსური რესურსების არარსებობისა, სსო-თა წარმომადგენლები მოხალისეობრივ საფუძველზე აგრძელებენ მუშაობას ყოფილ ბენეფიციარებთან, თუმცა ეს მაინც სპონტანურ ქმედებებს წარმოადგენს და სერიოზული, გრძელვადიანი ეფექტი არ შეიძლება ჰქონდეს.

4.2 სოციალური გავლენა (შიდა აღქმა)

მნიშვნელოვანია ვნახოთ, როგორ აფასებს თავის როლს სამოქალაქო სექტორი სოციალურ სფეროში. ამ გაგებით, სოციალურ სფეროზე გავლენა ორ ნაწილად იყოფა: ერთი მხრივ, ზოგადად სსო-თა, ხოლო მეორე მხრივ, საკუთარი ორგანიზაციის მიერ მოხდენილი გავლენა. პირველ შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 34%-ს შეადგენს, ხოლო მეორე შემთხვევაში – 65%-ს (CSI OS 2009).

თვითშეფასების მიხედვით, სიღარიბესთან ბრძოლის პროცესში სსო-ები ან საერთოდ ვერ ახდენენ გარემოზე ზემოქმედებას (14%) ან ძალზე უმნიშვნელო გავლენა გააჩნიათ (51%). გარკვეული გავლენის არსებობას აღიარებს 32%, ხოლო გავლენის მაღალ დონეზე გამოკითხულთა მხოლოდ 1% საუბრობს (CSI OS 2009). დაახლოებით ასეთსავე სურათს ვხედავთ გარემოს დაცვის საკითხებთან მიმართებაში: არ არის გავლენა – 14%, გავლენა ძალზე სუსტია – 53%, გარკვეული გავლენაა – 32%, არის დიდი გავლენა – 1%.

სურათი მნიშვნელოვნად იცვლება, როცა საკუთარი ორგანიზაციის გავლენის შეფასებას იწყებენ. სიღარიბესთან ბრძოლის შემთხვევაში სუსტ გავლენაზე საუბრობს – 33%, გარკვეული ზემოქმედების ხარისხზე – 57%, მნიშვნელოვან გავლენაზე – 8%. თითქმის ასეთივე სურათია ბუნების დაცვაზე საუბრისას.

საკუთარი ორგანიზაციის მიერ პრობლემებზე მოხდენილი გავლენის შეფასებისას პირველ პრობლემასთან (სიღარიბე) მიმართებაში საქმიანობის უმთავრეს ფორმად სამოქალაქო განათლება (33.7%) და ღარიბთა და მარგინალური ფენების მხარდაჭერა სახელდება (21.8%), ხოლო მეორე პრობლემაზე (გარემოს დაბიბნძურება) საუბრისას საქმიანობის რომელიმე ცალკე სფერო გამოკვეთილი არ არის და აქტივობის ფორმები საკმაოდ დივერსიფიცირებულია.

ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ:

- საზოგადოებისათვის ყველაზე მტკივნეული პრობლემის გადაწყვეტის გზად სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, უმთავრესად, სამოქალაქო განათლება და ჰუმანიტარული აქციები მიაჩნიათ. ამით აღიარებენ, რომ ამგვარი პრობლემების მოგვარებაში მათ გადამწყვეტი როლი არ ეკუთვნით. რაც შეეხება სხვა, ნაკლებად სენსიტიურ, სფეროებს, სსო-თა საქმიანობა საკმაოდ მრავალფეროვანია.
- თვითშეფასებისას საკუთარი ორგანიზაციის წვლილი უფრო მაღალ მაჩვენებლებში ვლინდება, ვიდრე მთლიანად სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ მოხდენილი გავლენა. ამით სსო-თა წარმომადგენლები ხაზს უსვამენ საკუთარი ორგანიზაციების მნიშვნელობას.

ეროვნული შეხვედრისას აღინიშნა სოციალურ სფეროში სსო-თა როლის ზრდის ტენდენცია; საქმე ისაა, რომ სოციალური პროგრამების განხორციელება ბოლო ორი წლის (2008-2010) მანძილზე სახელმწიფოს პრიორიტეტად იქცა. პოლიტიკურ სფეროსთან (ადამიანის უფლებების დაცვა, საზოგადოებრივი ფინანსების მონიტორინგი, ქვეყანაში არსებულ კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებული საკითხები) შედარებით, სოციალურ სფეროში სამოქალაქო საზოგადოებას საქმიანობის უფრო მეტი შესაძლებლობა მიეცა.

4.3 გავლენა პოლიტიკაზე (შიდა აღქმა)

სოციალური სფეროს გარდა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ზემოქმედებენ ან ცდილობენ ზემოქმედებას ამა თუ იმ სფეროში პოლიტიკის ფორმირების პროცესზე. რამდენად ეფექტურია ეს ზემოქმედება თვით სსო-თა წარმომადგენლების შეფასებით?

პოლიტიკაზე სამოქალაქო საზოგადოების გავლენა, ორგანიზაციების თვითშეფასების მიხედვით, 33.9-ია, რაც ზოგადი გავლენის, ამ გავლენის თვითაღქმის, ორგანიზაციის წარმატების ხარისხის და საქმიანობის ფორმების შეფასების გასაშუალებულ მონაცემებს წარმოადგენს. სამოქალაქო საზოგადოების ზოგადი გავლენის შეფასება 22.2%-ია (CSI მონაცემთა მატრიცა – 4.3.1). სსო-თა თვითშეფასების თანახმად, 8.1%-ის აზრით, სსო-თა გავლენა პოლიტიკის ფორმირებაზე არ არსებობს, 69.7% კი თვლის, რომ ეს გავლენა მიზერულია; გარკვეული გავლენის არსებობას აღიარებს 20.2% და მხოლოდ 2.0% მიიჩნევს, რომ ეს გავლენა ძალზე მაღალია.

მიუხედავად ასეთი ნეგატიური მაჩვენებლებისა, ბოლო ორი წლის მანძილზე სსო-თა 55.6%-მა სცადა ცალკეული პოლისების ადვოკატირება და ლობირება, რაც სამოქალაქო საზოგადოების საკმაო აქტივობაზე მეტყველებს, თუმცა აქაც შეიძლება სხვადასხვა ეტაპი გამოიყოს.[30]

სამწუხაროდ, ძნელია საუბარი იმაზე, თუ როგორი შედეგი მოჰყვა ამ აქტივობებს. არსებული მონაცემები ურთიერთგანსხვავებულ სურათს იძლევა.

მიუხედავად იმისა, წარმატებულია თუ წარუმატებელი პოლიტიკების სფეროში სსო-თა საქმიანობა, მათ მიერ გამოყენებული ფორმები, უპირველეს ყოვლისა, მოიცავს: საჯარო განხილვებში მონაწილეობას

---

[30] მაგალითად, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ორი-სამი წლის განმავლობაში მასწავლებელთა პროფკავშირებს, რომელიც ახალი ხელისუფლების აქტიურ მხარდამჭერს წარმოადგენდა, საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდა განათლების სისტემის რეფორმის პროცესში. 2006 წლის ბოლოდან, როცა ხელისუფლებამ თანადათან შეამცირა კონსულტაციები სამოქალაქო საზოგადოებასთან, პროფკავშირთა გავლენაც მნიშვნელოვნად შესუსტდა. მათი განცხადებით, ხელისუფლება ცდილობს მოახდინოს განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების გარიყვა; თუ ადრე ათამდე საკანონმდებლო ცვლილება კონსულტაციების რეჟიმში იქნა მიღებული და ამოქმედებული, 2008 წელს კანონმდებლობის სრული დაცვით (საქართველში არსებული სკოლების დაახლოებით 50%-იდან მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე 60 ათასი ხელმოწერის შეგროვება და საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენა) პარლამენტს განსახილველადაც არ მიუღია, რაც კონსტიტუციის დარღვევად უნდა შეფასდეს.

(სსო-თა 72.3%), კონსულტაციებს (67.3%) და ერთობლივი პროექტების განხორციელებას (60.4%), ანუ მთავრობის მიერ უკვე დამტკიცებულ პროგრამებთან მუშაობას. შედარებით იშვიათად გამოიყენება ადვოკატირება/ლობინგი და პროექტების ერთობლივი მომზადების ფორმა (იყენებს სსო-თა 18.0%-მდე) – ე.ი. ის ფორმები, რომლებიც ხელისუფლებასთან ერთად ახალი პროგრამების შექმნას ისახავს მიზნად (CSI OS 2009).

ყველა მონაცემის შეჯერება ორი დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს:

- პოლიტიკის ფორმირებაში ზეგავლენის პროცესში საკუთარ საქმიანობას უფრო წარმატებულად აფასებენ ის ორგანიზაციები, რომლებიც ემხრობიან ხელისუფლების მიერ გატარებულ პოლიტიკას. ხშირად ისინი თავის წარმატებად მიიჩნევენ იმას, რომ ხელისუფლების მიერ განხორციელებული პროგრამებს საზოგადოებაში უკეთებენ რეკლამირებას. რაც შეეხება ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილ ორგანიზაციებს, ისინი აპელირებენ ხელისუფლებაში თანამშრომლობის ნების არქონაზე და, ჩვეულებრივ, უფრო ნეგატიურად აფასებენ სსო-თა საქმიანობას.
- გარკვეულ წარმატებებს სსო-ებმა მართლაც მიაღწიეს, თუმცა ეს ეხება ისეთ საკითხებს, რომლებიც საფრთხეს არ უქმნიან მმართველი ელიტის პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ძალაუფლებას. პოლისები, რომლებიც ძალაუფლების და/ან სხვადასხვა სახის რესურსის გარკვეულ, თუნდაც ნაწილობრივ განაწილებას და ძალაუფლების დეცენტრალიზაციას ეხება, როგორც წესი, არა თუ არ დაუმტკიცებიათ, არამედ განსახილველადაც არ ყოფილა მიღებული.

4.4 გულისხმიერება (გარე აღქმა)

ეს ქვეთავი იმავე საკითხს აღწერს, რასაც ანგარიშის 4.1 ნაწილი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში შეფასებას არა სსო-ები, არამედ გარე ექსპერტები აკეთებენ.

საზოგადოების წუხილებზე სამოქალაქო საზოგადოების გულისხმიერების გარე (გარეშეფასების ექსპერტთა მიერ) შეფასება მნიშვნელოვნად განსხვავდება თვითშეფასებისაგან.[31]

[31] იხ. თავი 4.1.

უმთავრეს პრობლემაზე – სიღარიბეზე (მონაცემთა მატრიცის მიხედვით – 17.2%) სსო-თა რეაგირებას ვერ ხედავს 20.7%, ძალზე მცირე გავლენას აფიქსირებს – 62.1% და მხოლოდ ექსპერტთა 3.4% მიიჩნევს, რომ გულისხმიერება აღნიშნული პრობლემის მიმართ ძალზე მაღალია – 3.4%. რაც შეეხება მეორე პრობლემას – გარემოს დაბინძურებას, და მასზე რეაგირებას (მონაცემთა მატრიცის მიხედვით – 23.3%), ექსპერტთა შეფასებით მონაცემები, შესაბამისად, 46.7%, 30.0% და 3.3%-ს შეადგენს (CSI EPS 2010).

გარე შეფასება, არსებითად, იზიარებს თვითშეფასების შედეგად გამოთქმულ მოსაზრებებს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აღნიშნავს სამოქალაქო საზოგადოების უფრო სუსტი რეაგირების ხარისხს, ვიდრე ეს თვითშეფასებისას იყო ნაჩვენები. კერძოდ:

- თუ თვითშეფასების მიხედვით, ქვეყანაში არსებული სიღარიბის მიმართ სამოქალაქო საზოგადოების გულისხმიერების სისუსტეს 47.4% აღიარებს, გარეშეფასების თანახმად, ეს მაჩვენებელი 62.1%-ს უდრის. ექსპერტები მიანიშნებენ, რომ თვითშეფასებისას გამოთქმული ოპტიმისტური ვარაუდი სსო-თა სურვილი უფროა, ვიდრე რეალობა. გარე შეფასებაც იზიარებს მოსაზრებას, რომ სიღარიბის დაძლევა ეკონომიკური განვითარების საქმეა და არა სამოქალაქო საზოგადოების ფუნქცია.
- გარემოს დაცვის სფეროში არსებული მდგომარეობის დახასიათებისას გარე და შიდა შეფასება შედარებით მსგავს სურათს იძლევა. გარე შეფასებაც აღიარებს ამ სფეროში სამოქალაქო საზოგადოების შედარებით უფრო კარგ მდგომარეობას, ვიდრე პირველი პრობლემის ანალიზისას.

როგორც შიდა, ისე გარე შეფასება აჩვენებს, რომ ქვეყანაში არსებულ, ყველაზე პრობლემურ, გამოწვევებზე სამოქალაქო საზოგადოების რეაგირება სუსტია.

4.5 სოციალური გავლენა (გარე აღქმა)

სოციალური გავლენის გარე შეფასება (25.0) ცალკეული სფეროებისა (33.3) და ზოგადი შეფასებების (16.7) გასაშუალებულს წარმოადგენს (CSI EPS).

როგორც გულისხმიერებასთან მიმართებაში, ისე სოციალურ სფეროში სსო-თა გავლენის შიდა (თვითშეფასება) და გარე (ექსპერტული) შეფასება ერთმანეთისაგან განსხვავდება.[32]

[32] იხ. თავი 4.2.

სიღარიბის დაძლევის მიმართულებით მოქმედი ორგანიზაციები, უმეტესად, ისეთ სფეროებში საქმიანობენ, როგორიცაა განათლება (30%), ღარიბი და მარგინალიზებული ფენების შემწეობა (16.7%), ასევე, ჰუმანიტარული დახმარება და ჰაუზინგი (თითო 10-10 %%) (CSI OS 2009). სსო-თა მიერ აღნიშნულ სფეროებში მოხდენილი გავლენა უმნიშვნელოდ მიაჩნია 63.3%-ს, გარკვეული შედეგების მომტანად – 33.3%-ს.

ეკოლოგიური პროფილის ორგანიზაციების საქმიანობის სფერო, გარე შეფასების მიხედვითაც, საკმაოდ ფართოა: პრიორიტეტულია ჰუმანიტარული დახმარება (23.3%) და სოციალური განვითარება (13.3%) და ა.შ. ამასთან, 30.0% მოდის სპეციფიკურ მიმართულებებზე (განათლება, საკვების უსაფრთხოება, დასაქმება და ა.შ.). ამ სფეროშიც სსო-ების მეტად სუსტ გავლენას აღნიშნავს 66.7%, ხელშესახებ შედეგს ხედავს – 30.0%.

სსო-თა საერთო სოციალური გავლენა ძალზე სუსტია: რესპონდენტთა 10.0% მიიჩნევს, რომ გავლენა საერთოდ არ არსებობს, მეტად უმნიშვნელო გავლენას აფიქსირებს 73.3%, შედარებით ხელშესახებს – 13.3% და მხოლოდ 3.3%-ს მიაჩნია, რომ ეს ზეგავლენა მაღალია.

იმ სფეროებში, სადაც ქვეყნის მოსახლეობის წუხილები ყველაზე მეტად იკვეთება, სსო-თა საქმიანობა მრავალფეროვნებითა და ზეგავლენის დიდი ხარისხით არ გამოირჩევა. სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტთა აზრით, ზოგადად, სოციალურ სფეროში ერთიორად უფრო მძიმე სურათია, ვიდრე ამას სსო-ები თვითშეფასებისას წარმოადგენენ (შდრ. ქულები: გარე შეფასება – 16.7% vs თვითშეფასება – 35.0%).

ეროვნული შეხვედრის მონაწილეებმა ისიც აღნიშნეს, რომ დონორთა მიერ ნაკარნახევი და სსო-თა მიერ გამოცხადებული პრიორიტეტები (მაგალითად, ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციისადმი მიმართული და გენდერული საკითხები) ხშირად არ ემთხვევა ფართო საზოგადოების ინტერესებს, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია სიღარიბის დაძლევა და სოციალური პროგრამები. აღნიშნული მხოლოდ სსო-ებს არ ეხება – არასწორ პრიორიტეტებს სამოქალაქო საზოგადოების სხვა სეგმენტებიც ხშირად წარმოაჩენენ ხოლმე.[33]

---

[33] ერთ-ერთ ფოკუს-ჯგუფში მაგალითად მოხმობილ იყო გორში სტალინის ძეგლის მისი სახლ-მუზეუმის სიახლოვეს გადატანასთან დაკავშირებით მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა მიერ გამართული აქციები; ამ დროს ქალაქის სიახლოვეს უკანონოდ ისე გაიჩეხა 20 ჰექტარი ტყე, რომ არავის, მათ შორის, არც მედიას და არც პოლიტიკურ პარტიებს, რეაგირება არ მოუხდენიათ.

4.6 გავლენა პოლიტიკაზე (გარე აღქმა)

ქვემოთ ნაჩვენებია, რამდენად პოზიტიურად თუ ნეგატიურად აფასებს გარე დამკვირვებელი პოლიტიკის/პოლიტიკების ფორმირებისა თუ განხორციელების პროცესში სსო-თა მიერ შეტანილ წვლილს.

პოლიტიკის სფეროში სსო-თა აქტივობის მაჩვენებელი 33.3-ს შეადგენს, ხოლო შედეგი – 13.3-ს, ანუ მიღებული შედეგები ჩატარებულ აქტივობაზე დაახლოებით 2.5-ჯერ მცირეა, რაც თავად ამ საქმიანობის არაეფექტურობაზე მეტყველებს (CSI მონაცემთა მატრიცა -4.6.1 და 4.6.2).

პოლიტიკის სფეროში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმოებული აქტივობებს შორის გარე შეფასება ასახელებს: ადამიანის უფლებათა დაცვას (26.7%), პოლისების შექმნას (20.0%), სასამართლო და პენიტენციალურ სფეროში საქმიანობას (პატიმართა უფლებების დაცვა) (თითოეული 13.3-13.3%%), მედიის გაძლიერებისაკენ მიმართულ საქმიანობას (10.0%) და ა.შ. (CSI EPშ)

რაც შეეხება ზემოაღნიშნული საქმიანობის შედეგებს, გამოკითხულთა 96.6%-ის აზრით, ამ ქმედებებს ან არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, ან მათი ბედი ჯერ კიდევ არ არის გარკვეული (CSI EPS).

ეროვნული შეხვედრის მონაწილენი ამ საკითხებზე მსჯელობისას, USAID-Georgia-ს მიერ მომზადებულ NGO Sustainability Index-2008-ის მასალებზე დაყრდნობით, იმავეს ასკვნიან, რაც თვითშეფასებისას გამოვლინდა – პოლიტიკაზე ზეგავლენის ხარისხი თითქმის ნულოვანია, თუ სსო-თა მოთხოვნა სახელმწიფო სტრუქტურების სისტემურ (პოლიტიკურ, ეკონომიკურ) ცვლილებებს გულისხმობს (NGO Sustainability Index – 2008, USAID-Georgia, 2008).

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ გარე და შიდა შეფასებები, ხედვების თვალსაზრისით, უმეტესად ემთხვევა ერთმანეთს, თუმცა შედეგების ხარისხისა და ოდენობის დახასიათებისას გარე შეფასება მნიშვნელოვნად უფრო მკაცრია თვითშეფასებასთან შედარებით.

4.7 სამოქალაქო საზოგადოების გავლენა დამოკიდებულებებზე

ქვეთავში აღწერილია, ერთი მხრივ, სსო-თა და, მეორე მხრივ, სახელმწიფოს, ბიზნესისა და მოსახლეობის ურთიერთდამოკიდებულება. სამოქალაქო საზოგადოების წევრებსა და არაწევრებს შორის დამოკიდებულების საილუსტრაციოდ მოვიტან ინდიკატორთა მატრიცის მონაცემებს.

ცხრილი III.4.2. დამოკიდებულება საზოგადოების სხვადასხვა აქტორს შორის

განსხვავება ნდობის ხარისხში სამოქალაქო საზოგადოების წევრთა და არაწევრთა შორის	1.8
განსხვავება ტოლერანტობის ხარისხში სამოქალაქო საზოგადოების წევრთა და არაწევრთა შორის	0.0
განსხვავება საზოგადოებრივი სიქველის ხარისხში სამოქალაქო საზოგადოების წევრთა და არაწევრთა შორის	33.4
ნდობა სამოქალაქო საზოგადოებისადმი	45.6

რაც შეეხება სამოქალაქო საზოგადოების მიმართ მოსახლეობის ნდობის დონეს, აშკარაა სხავადასხვა ინსტიტუტისადმი დამოკიდებულების სხვადასხვა ხარისხი.

ცხრილი III.4.3. სამოქალაქო საზოგადოების მიმართ მოსახლეობის ნდობის დონე

ნდობის დონე	ძალზე მაღალი	საკმაოდ მაღალი	არც ისე მაღალი	ნულოვანი	უძნელდება პასუხი
ეკლესია	62.4	24.5	4.1	1.2	5.5
პროფკავშირები	1.5	16.1	32.1	16.3	31.8
პოლიტიკური პარტიები	1.3	14.8	44.6	27.9	10.2
გარემოსდაცვითო ორგანიზაციები	3.5	31.8	33.0	9.7	20.8
ქალთა ორგანიზაციები	3.5	28.1	27.7	8.8	30.9
საქველმოქმედო ორგანიზაციები	6.7	34.4	28.4	9.3	20.1

გასულ წლებთან შედარებით აღინიშნება ეკლესიის ისედაც მაღალი გავლენის ზრდა: 54.1%-იდან (2006) 62.4%-ამდე (2009) (VGS 2006). საზოგადოება აგრეთვე ცნობს სამოქალაქო საზოგადოების მეორე აქტორს, პოლიტიკურ პარტიებს, რომელთა მიმართ პოზიტიური განწყობა ბოლო პერიოდში შემცირდა (22.8%-დან 16.1%-მდე – 2006-2009). მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სსო-თა მიმართ ნდობა (მაგალითისთვის, 2006 წელს მოსახლეობის 57.0% ნეგატიურად იყო განწყობილი, 2009 წლისთვის ეს მაჩვენებელი 39.0%-ამდე შემცირდა), თუმცა როგორც 4.2 და 4.5 ქვეთავებში აღინიშნა, სსო-თა გავლენა საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებზე კვლავ მიზერულია (VGS 2006).

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ:

- ექსპერტთა აზრით, როგორც ფართო საზოგადოებაზე, ისე სახელმწიფოზე სსო-თა გავლენა მიზერულია. ხელისუფლებაზე სსო-ები საერთაშორისო ორგანიზაციების საშუალებით ზემოქმედებენ.
- ხელისუფლება, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საკმაოდ აქტიურად თანამშრომლობდა სამოქალაქო საზოგადოებასთან, 2006-2007 წლებიდან მოყოლებული თანდათან დაშორდა მას და ამჟამად, საუკეთესო შემთხვევაში, რეალური თანამშრომლობა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დაგეგმილ პროგრამებში ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილ სსო-თა თანამონაწილეობაში გამოიხატება.
- მოსახლეობაში სსო-თა ცნობადობის ხარისხი და რეიტინგი საკმაოდ დაბალია. ექსპერტთა აზრით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს დადებითად აფასებენ მხოლოდ პროგრამების ბენეფიციარები, რომელთა რიცხვი არც ისე დიდია.

ამ თავში წარმოდგენილი მონაცემებისა და ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ, საზოგადოების წინაშე მდგარი გამოწვევების დასაძლევად მიმართული სსო-ების ძალისხმევა სუსტია. მიუხედავად იმისა, რომ უმთავრეს პრობლემას კარგად ხედავენ, სსო-ებს არ ხელეწიფებათ მათი გადაჭრა. მათი გავლენა სუსტია პოლიტიკის ფორმირების პროცესშიც. სახელმწიფო მათ სერიოზულ, თანასწორუფლებიან პარტნიორად არ აღიქვამს. პოზიტიური არ არის სამოქალაქო სექტორის მიმართ ბიზნესის დამოკიდებულებაც. მიუხედავად ზემოთქმულისა, სსო-ები ხშირად გადაჭარბებულად აფასებენ როგორც საკუთარ უნარს, ისე მათ მიერ მოხდენილ გავლენასაც, რასაც გარე აქტორები ნაკლებად იზიარებენ.

5. გარემო

საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების, კერძოდ სსო-თა წინაშე არსებული პრობლემები უფრო გასაგები გახდება, თუ განვიხილავთ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ კონტექსტში. საერთაშორისო ორგანიზაციების (ფრიდომ ჰაუსი, საერთაშორისო გამჭვირვალობა, მსოფლიო ბანკი, SWI, BCI, UNDP HDR და ა.შ.) მონაცემები აჩვენებენ ქართული სახელმ-

წიფოს და საზოგადოების სტაგნაციას ან გაუარესების ტენდენციებს საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ რიგ სფეროებში. გარემოს შეფასების ჯამური მაჩვენებელი 59.6%-ს შეადგენს.

გარემოს შეფასების კრიტერიუმებად აღებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი უმთავრესი მონაცემები:

- I ქვეთავში მოყვანილი მასალა აღებულია არა ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო წყაროებიდან. ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა შეფასდა საყოველთაოდ აღიარებული ისეთი კრიტერიუმებით, როგორებიცაა: ძირეული უნარების ინდექსის პარამეტრები, ჰუმანური განვითარების ინდექსი, საერთაშორისო გამჭვირვალობის კორუფციის აღქმის ინდექსი და ჯინის ინდექსი.
- II ქვეთავში საქართველოში არსებული პოლიტიკური სიტუაცია შეფასებულია *ფრიდომ ჰაუსის* კრიტერიუმების მიხედვით ისეთ საკითხებში, როგორებიცაა: პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები, კანონის უზენაესობა, მედიის თავისუფლება და დემოკრატიის ხარისხი. აქვეა ჩართული სამართლებრივი კონტექსტის სუბიექტური გამოცდილება და მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული სახელმწიფოს ეფექტიანობის ინდიკატორები.
- III ქვეთავი მოკლედ მიმოიხილავს ქართულ საზოგადოებაში არსებულ ღირებულებითა სისტემას და ამ უკანასკნელის მიმართებას: პიროვნებათშორისი ნდობის, ტოლერანტობისა და საზოგადოებრივი სიქველისადმი.

ცხრილი III.5.1. სამოქალაქო საზოგადოების გარშემო არსებული გარემო

5	**მიმართულება: გარემო**	**59.6**
5.1	სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტი	66.5
5.2	სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტი	57.0
5.3	სოციალურ-კულტურული კონტექსტი	52.8

5.1 სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტი

კვლევის პროცესში ჩართულ ჯგუფებში კამათი გამოიწვია ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ფონის შეფასების საკით-

ხმა – ვერ გაირკვა, იგი სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის ნეგატიურ თუ პოზიტიურ პირობად შეფასებულიყო: აღინიშნა, რომ, ერთი მხრივ, ცუდი გარემო უბიძგებს ადამიანს, ჩაერთოს პროცესებში, ამასთან, უმუშევრობის ფონზე თავისუფალი დროც ბევრი აქვს. მეორე მხრივ, ადამიანი, რომელსაც ყოველდღიური მძიმე პრობლემები აქვს მოსაგვარებელი და იბრძვის საარსებო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, სამოქალაქო ჩართულობისთვის მზაობას ნაკლებად ავლენს.

ძირეულია უნარების ინდექსი, ინდიკატორთა მატრიცის თანახმად, 89.4%-ის ტოლია. ამ ინდექსის მიხედვით, საქართველოს 89-ე ადგილი უკავია 176 ქვეყანას შორის და ადამიანური უნარების მაღალ დონეს აჩვენებს (BCI, 2007). მაგრამ ამავე დროს აღინიშნება მნიშვნელოვანი რეგრესიც, როგორც კონკრეტულად ბოლო წლების, ისე ბოლო ოცი წლის მანძილზე. უნდა ითქვას ისიც, რომ ზოგიერთ სფეროში XX საუკუნის 90-იანი წლების სრული კოლაფსის შემდეგ მნიშვნელოვან გაუმჯობესებას აქვს ადგილი (BCI, 2008).

არსებულ სურათს ავსებს UNDP-ის ჰუმანური განვითარების ინდექსის მონაცემები, რომლის თანახმადაც 2000-2007 წლებში საქართველოს ინდექსი იზრდებოდა წლიური 0.73%-ით (0.739-დან 0.778-მდე). დღეს ქვეყანას აქაც 89-ე ადგილი უკავია (182 ქვეყნიდან), რითაც ჩამორჩება როგორც OECD ქვეყნების, ისე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ასევე დსთ-ის ქვეყნების მაჩვენებლებს და უფრო ლათინური ამერიკისა და კარიბის ზონის ქვეყნებთან პოულობს საერთოს (UNDP HDR Georgia, 2009).

ჯანდაცვა და განათლება. 2008 წლის Social Watch Report-ის მიხედვით, მიუხედავად რეგრესისა, ადამიანური უნარების შედარებით მაღალი მაჩვენებელი ცალკეულ სფეროში ადრე არსებული მაღალი დონით უნდა აიხსნას. სწავლების მეხუთე წლამდე მიღწეული მოსწავლეების წილი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა 1999 წელთან შედარებით, მაგრამ ზოგადი ტენდენცია მაინც უარყოფითია – სწავლების პირველ საფეხურს ადრე ამთავრებდა 97.10% (1991), ამჟამად – 86.68% (2006). ამასთან, 1991 წლისათვის I დონედ ითვლებოდა არა ხუთწლიანი, არამედ რვაწლიანი განათლება, რის შემდეგაც 13-14 წლის ასაკის მოსწავლეთა ის ნაწილი, ვინც სკოლა დატოვა (თითქმის 99%) პროფესიულ სასწავლებლებში გადადიოდა, ამჟამად ხუთწლიანი I საფეხურის დასრუ-

ლების შემდეგ, 10-11 წლის ბავშვთა თითქმის მეხუთედი სწავლას აღარ აგრძელებს (Social Watch Report, 2008).

გაეროს მონაცემების თანახმად, 15 წელზე უფროსებს შორის წერა-კითხვის ცოდნის დონის (15-24 წლის ახალგაზრდა, ვისაც ყოველდღიური ცხოვრებისათვის აუცილებელი ფრაზების წერა შეეძლო) მიხედვით (100.0%), საქართველის მსოფლიოში პირველი ადგილი ეკავა და კუბასთან, ესტონეთთან და ლატვიასთან ერთად ლიდერთა ოთხეულს ქმნიდა (UNESCO Database, 2008). ბოლო წლებში სიტუაცია მნიშვნელოვან რეგრესს განიცდის. განათლების სისტემის ოპტიმიზაციის შედეგად პატარა სოფლებში მცირე სკოლების დახურვამ, რომელსაც სასოფლო ზონებში სასკოლო ავტობუსების დანიშვნა არ მოჰყოლია, უკვე გამოიწვია ის, რომ მოზარდთა გარკვეულმა ნაწილმა (ზოგიერთ ადმინისტრაციულ ერთეულში ასეთია უფროსკლასელთა 5-6%%) წერა-კითხვა არ იცის.[34]

ძირეული უნარების ინდექსის კიდევ ორ კრიტერიუმს წარმოადგენს ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის დონე და მშობიარობის პროცესს დასწრებული კვალიფიციური პერსონალის წილი. საქართველოში, პირველ შემთხვევაში, ბოლო წლებში ბავშვთა სიკვდილიანობამ იკლო (ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობა – 1990-2006 წლებში შემცირდა 39-იდან 28-ამდე ყოველ ათას ცოცხლად შობილზე, ხოლო ხუთ წლამდე ბავშვების სიკვდილიანობა იმავე პერიოდში – 46-იდან 32-ამდე ყოველ ათას ცოცხლად შობილზე), თუმცა არა ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის გაუმჯობესების, არამედ შობადობის კატასტროფული შემცირების ფონზე, როცა ბავშვის გაჩენა მხოლოდ მატერიალურად უზრუნველყოფილ ოჯახებს თუ შეუძლიათ (UNICEF, 2008).

ძირეული უნარების ინდექსის მეორე მაჩვენებლის მიხედვით, ადგილი აქვს რეგრესს: 96.0%-იდან (1990) 92.0%-ამდე (2006), რის მიზეზადაც ბოლო ოცი წლის განმავლობაში ქვეყანაში (განსაკუთრებით სასოფლო ზონებში) ჯანდაცვის სტრუქტურების მოშლა უნდა მივიჩნიოთ (Social Watch Report, 2008a).

შემცირდა სიცოცხლის ხანგძლივობის მაჩვენებელი (71.6 წელი – 2007 წელს), რითაც საქართველომ უკან, მსოფლიოში 90-ე ადგილზე გადაინაცვლა (ფილიპინებსა და იამაიკას შორის). დაბალი შობადობისა და სიკვდილიანობის ზრდის პირობებში ბუნებრივი ნამატი წლიური

[34] ექსპერტული ანალიზი და შეფასება გამოუქვეყნებელი (შიდამოხმერების) კვლევიდან.

0.6%-იდან (1990-1995) 0%-ამდე (2005-2010) დაეცა (Human Development Report – Georgia, 2009).

ჯანდაცვის სფეროებში სხვა ნეგატიური პროცესებიდან აღსანიშნავია ის, რომ: XX საუკუნის 20-იანი წლების შემდეგ ქვეყანაში პირველად აღინიშნა მალარიით დაავადების შემთხვევების (1990 – 0, 2003 – 0.1 შემთხვევა ყოველ 1.000 მცხოვრებზე); იმატა ტუბერკულიოზით დაავადებულთა ოდენობამ (1990-2005 წლებში 53-იდან 84 შემთხვევამდე ყოველ 100.000 მცხოვრებზე; ამასთან, ეს მონაცემი მხოლოდ რეგისტრირებულ ავადმყოფებს გულისხმობს); მშობიარობას გადაყოლილ დედათა ოდენობა ყოველ 100.000 ცოცხლადშობილზე გასამკეცდა – 22-დან (1995) 66-ამდე (2005) (World Health Organisation 2005 a, b,c).

ჯანდაცვის სფეროში მომუშავე ქართველი ექსპერტების შეფასებით, აღნიშნული რეგრესის მიზეზებია: ცხოვრების სტანდარტების ზოგადი გაუარესება (ეკოლოგიური გარემო, სოციალური ფონი), ჯანდაცვის სფეროში კვალიფიციური კადრების შემცირება (უცხოეთში გადინება, სხვა სფეროებში გადასვლა). გარდა ამისა, მშობიარე ქალები, ეკონომიური მოსაზრებით, ექიმს მხოლოდ ორსულობის ბოლო ეტაპზე მიმართავენ.

კორუფცია. საჯარო სექტორში აღქმული კორუფციის დონე, საერთაშორისო გამჭირვალობის თანახმად, 2008 წელს ათბალიან სისტემაში 3.9-ს წარმოადგენდა. ამ მონაცემით, საქართველო სვაზილენდსა და განას შორის დგას და კორუფციის საშუალოზე მაღალ დონეზე მიუთითებს. მიუხედავად ამისა, საქართველო და ხორვატია აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ოც ქვეყანას შორის (სადაც საზოგადოებრივ სექტორში კორუფცია სამაოდ მაღალია – 5 ქულამდე), მაინც უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებიან. მიუხედავად ომისა და ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისისა, მასობრივი კორუფცია არ გაზრდილა. თუმცა კვლავ მაღალია ელიტარული კორუფციის მოლოდინი და საზოგადოების უნდობლობის ხარისხი სახელმწიფოს ანტიკორუფციული პოლიტიკისადმი (Transparency International, 2009).

უთანასწორობა. ჯინის ინდექსი 40.8-ს შეადგენს (2005). წინა წლებთან შედარებით, სიტუაცია გაუმჯობესებული ჩანს (36.9 – 2001 და 38.9 – 2003 წელს) (Human Development Report, 2009a). ქვეყნის მცხოვრებთა 13.4%-ის დღიური შემოსავალი 1.25 აშშ დოლარზე

ნაკლებია, ხოლო 30.4%-ისა – 2 დოლარზე ნაკლები. 2000-2006 წლებში მოსახლეობის 54.5% სახელმწიფოს მიერ დადგენილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფებოდა (Human Development Report, 2009b). უნდა აღინიშნოს, რომ თვით საბჭოთა პერიოდშიც ცხოვრების ხარისხი დღევანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად მაღალი იყო. დღეს, XX საუკუნის 80-იან წლებთან შედარებითაც კი, სიტუაცია მკვეთრად გაუარესებულია.

სხვა ეკონომიკური მახასიათებლები. საგარეო ვალი მთლიანი ეროვნული შემოსავლის 10.8%-ს შეადგენს, რაც საქართველოს ტიპის ქვეყნისათვის არც თუ ისე ცუდ მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს; ამასთან, ეს მაჩვენებელი 1998 წელთან შედარებით, ერთიორად გაუმჯობესებულია (World Bank Database). მიუხედავად ამისა, საქართველო მსოფლიოში 135-ე ადგილზეა ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლით (2.313 აშშ დოლარი – 2007), რითაც 3.5-ჯერ ჩამორჩება გასაშუალებულ მსოფლიო მონაცემს, ხოლო 15.5-ჯერ ევროზონის მაჩვენებელს (Human Development Report, 2009b; World Bank, Statistics for Georgia; Human Development Report – Georgia, 2009).

5.2 სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტი

პოლიტიკური კონტექსტის დახასიათებისას როგორც საერთაშორისო ორგანიზაციები, ისე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები აღნიშნავენ სიტუაციის გაუარესების ტენდენციას, განსაკუთრებით, 2007 წლიდან მოყოლებული. „ვარდების რევოლუციის“ დროს გაჩენილმა ეიფორიამ საზოგადოების უდიდეს ნაწილში კვლავ ფრუსტრაციას დაუთმო ადგილი. ის გარკვეული წარმატებები, რაც ახალი ხელისუფლების მმართველობის პირველ წლებში განხორციელდა, მთელ რიგ სფეროებში სტაგნაციით და, გარკვეულწილად, რეგრესით შეიცვალა.

პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების ინდექსი, 40 ბალიან სისტემაში, 20-ს შეადგენს. სხვადასხვა სფეროში არსებული მონაცემები განვითარების აღნიშნულ ტენდენციებს ადასტურებს (Freedom House, 2008a).

ცხრილი III.5.2. პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები (ქულები, FH, 2009)

	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009
პოლიტიკური უფლებები				19	21	24	24	25	20	
სამოქალაქო უფლებები				32	32	34	37	37	34	
სასამართლოს დამოუკიდებლობა	4	4	4.25	4.5	4.5	5	4.75	4.75	4.75	4.75
პრესის თავისუფლება	47	53	53	54	54	56	57	57	60	60
მედიის დამოუკიდებლობა	3.75	3.5	3.75	4	4	4.25	4.25	4	4.25	4.25
კორუფცია	5	5.25	5.5	5.75	6	5.75	5.5	5	5	5
დემოკრატიის ქულა	4.17	4.33	4.58	4.83	4.83	4.96	4.86	4.68	4.79	4.93

როგორც ცხრილიდან ჩანს, მთელი რიგ სფეროებში, სადაც საკმაოდ მძიმე სურათი იყო, „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ წლებში შესამჩნევი პროგრესი იქნა მიღწეული, მაგრამ შემდეგ სიტუაცია კვლავ გაუარესდა. განსაკუთრებით მძიმე სურათია პრესის თავისუფლების სფეროში, სადაც საქართველო 60 ქულით ნაწილობრივ თავისუფალ ქვეყანად ითვლება და მჭიდროდ მიუახლოვდა არათავისუფალი ქვეყნების მაჩვენებელს (61 და ზევით) (Freedom House, 2008b).

„ფრიდომ ჰაუსის“ მონაცემებით, დაუბალანსებელი ხელისუფლება, ძლიერი აღმასრულებელი ფრთა და სუსტი ოპოზიცია აფერხებს დემოკრატიის განვითარებას; 2007 წლის შემდეგ შეიზღუდა საარჩევნო პროცესის თავისუფლება; აღინიშნება ძალადობა ოპოზიციონერთა მიმართ; შესუსტდა სამოქალაქო საზოგადოების კონტაქტები ხელისუფლებასთან; არ არსებობს დამოუკიდებელი ადგილობრივი დემოკრატიული მმართველობა; გაიზარდა სახელმწიფო სისტემის გაუმჭვირვალობის ხარისხი; მასობრივი კორუფციის შემცირების მიუხედავად, ელიტარული კორუფციის გამო, კორუფციის დონე კვლავ 2000 წლის მაჩვენებელს (5 ქულა) უტოლდება.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ, ფრიდომ ჰაუსის მონაცემების მიხედვით, 2009 წელს საქართველო უკვე აღარ წარმოადგენს არჩევით დემოკრატიას, რომელშიც, ჯერ კიდევ 2008 წელს, სხვა 119 ქვეყანასთან ერთად იმყოფებოდა (Freedom House, 2009).

კანონის უზენაესობა და პირადი თავისუფლებები (56.25). ხელისუფლების მხრიდან ხშირია კანონის უზენაესობის პრინციპის იგნორირება. სახეზეა განსხვავება კანონმდებლობასა და ყოველდღიურ პრაქტიკას შორის. იკვეთება კანონმდებლობის თანდათანობითი გამკაცრების ტენდენცია. მაგალითად ე.წ. „საპროცესო გარიგებები“ და ჯარიმები

კარგა ხანია იქცა სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ (Freedom House, 2008a).

ასოციაციებისა და ორგანიზაციული უფლებები (58.33). როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ამ სფეროშიც პროგრესი არ შეიმჩნევა. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ფრიდომ ჰაუსის, ისე მსოფლიო ბანკის მონაცემები ადასტურებენ სიტუაციის გაუარესებას, მაგრამ სამოქალაქო საზოგადოებისათვის ეს ნაკლებ შესამჩნევია სხვა (ფინანსური პრობლემები, ცუდი შიდა მენეჯმენტი, საზოგადოების მხრიდან ნდობის უქონლობა) პრობლემებთან შედარებით (Freedom House, 2008a).

სამართლებრივი კონტექსტის სუბიექტური გამოცდილება (40.2). ამ სფეროში სსო-თა განწყობები ერთმანეთისაგან განსხვავდება: გამოკითხულთა 31.3% მიიჩნევს, რომ კანონმდებლობა ძალიან ან საკმაოდ ზღუდავს სამოქალაქო საზოგადოებას, 54.5%-ს იგი ზოგადად მისაღებად მიაჩნია, ხოლო 14.1% – საკმაოდ მისაღებად თვლის. სამაგიეროდ ბევრად უფრო ხშირია ყოველდღიურ პრაქტიკაში ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლებების მხრიდან არაკანონიერი და სსო-თა უფლებების შემზღუდავი ქმედებების დაფიქსირება (87.0%). მიუხედავად ამისა, სსო-თა 53.5% მიიჩნევს, რომ დემოკრატია ქვეყანაში ვითარდება და მხოლოდ 14.9% თვლის, რომ იგი შეიზღუდა. მიუხედავად კრიტიციზმისა, სსო-თა 88.1% აცხადებს, რომ მონაწილეობას მიიღებს სახელმწიფო პროგრამებში, თუ სახელმწიფოს მხრიდან იქნება ასეთი შემოთავაზება (CSI OS 2009).

სახელმწიფოს ეფექტიანობა (47.4). უშუალოდ სახელმწიფო ფუნქციების შესრულების ეფექტიანობის ანალიზისას, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციები, ისე სსო-ები აღნიშნავენ სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის ეფექტიანობის მნიშვნელოვან ზრდას ბოლო წლებში. ამავე დროს, ქვეყანაში არსებული სიტუაციის გამო (2007 წლის პოლიტიკური კრიზისი, 2008 წლის კონფლიქტი რუსეთთან), კვლავ გაუარესდა პოლიტიკური სტაბილობის ხარისხი (Worldwide Governance Indicators, World Bank, 2008).

ცხრილი III.5.3. სახელმწიფოს ეფექტიანობა (Worldwide Governance Indicators, World Bank, 2008)

	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008
ანგარიშვალდებულება	34.1	35.6	42.8	44.7	42.8	40.9	40.4
პოლიტიკური სტაბილობა	10.6	7.2	16.8	25	20.7	23.6	16.3
მთავრობის ეფექტურობა	23.2	27.5	40.3	39.3	48.3	55.5	61.6
რეგულირების ხარისხი	19.5	20.5	31.7	29.3	44.9	58.7	68.6
კანონის უზენაესობა	7.6	9	24.8	26.2	34.8	41	44
კორუფციის კონტროლი	6.3	15	31.1	43.2	51.5	48.8	50.7

დაბოლოს, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს მთელ რიგ მაჩვენებლებში საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტის გაუარესება ბოლო სამი-ოთხი წლის მანძილზე. ამას განაპირობებდა როგორც ხელისუფლების მიერ განხორციელებული დარღვევები, ისე საზოგადოებაში ნიჰილისტური განწყობების ზრდა.

სახელმწიფოსადმი სამოქალაქო საზოგადოების დამოკიდებულებას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ის, თუ რამდენად ლოიალურია ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკისადმი ესა თუ ის ჯგუფი ან კონკრეტული ორგანიზაცია. ფოკუს-ჯგუფთა მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ, მართალია კანონმდებლობა იძლევა საშუალებას მოსახლეობა ფართოდ იყოს დემოკრატიულ პროცესებში ჩართული, მაგრამ პრაქტიკაში სახელმწიფოს მხრიდან ხშირია როგორც კანონის, ისე საზოგადოებრივი აზრის უგულებელყოფა. ეს კი საზოგადოებაში ნიჰილისტურ განწყობასა და ფრუსტრაციას იწვევს. სახელმწიფოს არ გააჩნია სამოქალაქო სექტორის განვითარების პოლიტიკა. თუ რამე დადებითი ხდება ამ მხრივ, მხოლოდ დასავლური სამყაროს ზეწოლით. საქართველოს პროდასავლური კურსი საშუალებას აძლევს სამოქალაქო სექტორს, არაპირდაპირი გზით ზეგავლენა იქონიოს ხელისუფლებაზე.

კიდევ უფრო ნაკლებშედეგიანია ბიზნესთან ურთიერთობა. საქართველოში ბიზნეს-რეიტინგის მიხედვით 12 საუკეთესო კომპანიის წარმომადგენლების აზრი კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის არსის მიმართ მეტად პოზიტიურია – მიუხედავად ამ სფეროში გამოცდილების სიმწირისა, ისინი ერთობ მნიშვნელოვნად მიიჩნევენ მთელ რიგ სოციალურ აქტივობებში მონაწილეობას და, გარკვეულწილად, მონაწილეობენ კიდეც (The Georgian Times, 2009). იმავეს ვერ ვიტყვით სსო-ებისადმი მათ დამოკიდებულებაზე: კომპანიების წარმო-

მადგენლები ან არ იცნობენ ამ უკანასკნელთა საქმიანობას ან მათ ძალისხმევას არაეფექტურად მიიჩნევენ. თანამშრომლობას ისინი სახელმწიფოსთან ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან ამჯობინებენ. ძალზე მცირეა ქართულ სსო-თან ერთად ქართული ბიზნესის მიერ განხორციელებული აქტივობების ოდენობა. ბიზნესის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ სსო-ების დაფინანსების უმთავრესი წყარო საერთაშორისო პროგრამებია; მათი შემცირების შემთხვევაში ისინი ვერ ხედავენ სსო-ებთან შემდგომი ურთიერთობის ვერც შესაძლებლობას და არც საჭიროებას.

5.3 სოციალურ-კულტურული კონტექსტი

ქართული საზოგადოებისათვის დამახასიათებელია ტრადიციული, გარკვეულწილად, პატრიმონიალური აზროვნების სტილი, რითაც იგი ხმელთაშუაზღვისპირეთის საზოგადოებებთან პოულობს საერთოს: მაღალია სახელმწიფო და ფორმალიზებული ინსტიტუტებისადმი უნდობლობის ხარისხი; უპირატესობა შედარებით ტრადიციულ, არაფორმალურ ურთიერთობებს ენიჭება. საზოგადოებაში, გარკვეულწილად, არსებობს მითოპოეტური აზროვნების მაღალი დონე: ქართველები ამაყობენ თავიანთი უძველესი ისტორიით და კულტურით, 3.500-წლოვანი სახელმწიფოებრიობით, ტრადიციული ტოლერანტობითა და იმით, რომ მრავალი საუკუნის მანძილზე საქართველო ჯერ ცივილიზებული სამყაროს განაპირა გუშაგს წარმოადგენდა ბარბაროსულ სამყაროსთან ბრძოლის პროცესში, ხოლო შემდეგ – ქრისტიანობის ყველაზე შორეულ ფორპოსტს, თან ისლამურ სამყაროსთანაც მჭიდროდ თანამშრომლობდა.

სსრკ-ის დაშლისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1991) ქვეყნის წინაშე გაჩენილი ახალი გამოწვევებისათვის არც სახელმწიფო და არც საზოგადოება მზად არ აღმოჩნდა. გაირკვა, რომ ბევრი პრობლემა (სახელმწიფოებრიობის მშენებლობასთან დაკავშირებული ეკონომიკური და უსაფრთხოების საკითხები), თავისი არსით, ძირეულად განსხვავდებოდა საზოგადოებაში არსებული აღქმებისაგან. დემოკრატიულ საზოგადოებად ჩამოყალიბების პროცესი მეტად მტკივნეულად მიმდინარეობს, რასაც ემატება პოლიტიკური ელიტის დაბალი დონე, ზოგადად პოლიტიკური კულტურის დეფიციტი და მოსახლეობის სამოქალაქო განათლების არასახარბიელო მდგომარეობა (WVS 2009).

პიროვნებათშორისი ნდობა (18.6). საზოგადოების 13%-ის აზრით, ადამიანთა უმეტესობის ნდობა შესაძლებელია, 44.3%-ის აზრით – საჭიროა სიფრთხილე, 30.1% ფიქრობს, რომ მხოლოდ ახლობელ ადამიანებს შეიძლება ენდო, ხოლო 8.8% მიიჩნევს, რომ მხოლოდ უახლოესი ნათესავების ნდობა შეიძლება (WVS 2009). ზოგადად, ადამიანებისადმი ნდობის ხარისხი ქართულ საზოგადოებაში საკმაოდ დაბალია.

ტოლერანტობა (47.1). საზოგადოება განსხვავებულ დამოკიდებულებას ავლენს სხვადასხვა სოციალური ჯგუფისადმი. კითხვაზე: ვის არ ისურვებდით თქვენს მეზობლად? ყველაზე უფრო არატოლერანტული დამოკიდებულება გამომჟღავნდა ჰომოსექსუალების (79.2%), ნარკომანების (77.5%), ლოთების (64.6%) და შიდსით დაავადებულთა მიმართ (37.8%). სხვა რელიგიის, რასის, ეთნიკური კუთვნილების ადამიანებისადმი დამოკიდებულება ბევრად ტოლერანტულია. გარდა ტრადიციული მენტალობისა, საზოგადოებაზე დადებითად მოქმედებს სახელმწიფოს პროპაგანდისტული პოლიტიკაც, რომელიც აპელირებს სწორედ ტრადიციულ ტოლერანტობაზე. რაც შეეხება ნარკომანებსა და ლოთებს, საზოგადოების დიდი ნაწილი უარყოფითად აღიქვამს მათ, როგორც პოტენციულ კრიმინოგენულ საფრთხეს, მით უმეტეს, ქვეყანაში ნარკომანიის ფართოდ გავრცელების პირობებში. გამონაკლისი ამ შემთხვევაში არიან ჰომოსექსუალები, რომელთა მიმართაც საზოგადოების უდიდესი ნაწილის განწყობა აშკარად ნეგატიურია (WVS 2009).

საზოგადოებრივი სიქველე (92.8). საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების მიხედვით, ქვეყანაში არსებობს საკმაოდ მაღალი საზოგადოებრივი სიქველის გრძნობა (WVS 2009). გამოკითხულთა 95.9% აცხადებს, რომ მიუღებელია სახელმწიფოსაგან მოტყუების გზით რაიმე სახის სარგებლის მიღება, 96.7%-ის აზრით – საზოგადოებრივი ტრანსპორტით უფასო მგზავრობა, 97.0%-ის აზრით – გადასახადების დამალვა, ხოლო 98.1%-ის აზრით – ქრთამის მიცემა.

ამ მონაცემთა ანალიზისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ რეალობა და განცხადებები ხშირად შეიძლება ერთმანეთს არ ემთხვეოდეს. მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ ძალზე კარგად იცის, რას წარმოადგენს საზოგადოებრივი სიქველე და ისიც, რომ ამ პრინციპთა დარღვევა საზოგადოებაში ცუდ ტონად ითვლება. ამავე დროს, გარკვეული წინაპირობების შექმნის შემთხვევაში, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნა-

წილი, სავარაუდოდ, შეეცდება გარკვეული სარგებელი მიიღოს არალეგალური ქმედებით. ამის მაგალითად შეიძლება დასახელდეს XX საუკუნის 90-იან წლებში, ენერგეტიკული კრიზისის დროს მოსახლეობის ქცევა: ბევრს არალეგალურად, მრიცხველების გვერდის ავლით, შეჰყავდა ელექტროქსელები საკუთარ ბინაში, ვინაიდან მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ელექტროენერგიის საფასურის გადახდის ეკონომიკური შესაძლებლეობა არ გააჩნდა.

დასკვნა

ძირითადად, საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ:

- სოციალური და ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით, საქართველო აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებს წააგავს, ხოლო ადამიანური კაპიტალის განვითარების დონით (ადრე არსებული განათლების დონე, ცხოვრების სტილი) – ევროზონის ქვეყნების ზოგიერთ მაჩვენებელს უახლოვდება.
- 2007 წელს მშვიდობიანი მანიფესტაციების დარბევამ, 2008 წელს ჩატარებულმა რიგგარეშე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებმა, რომელთა სამართლიანი ჩატარება დამკვირვებელმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა (ეუთო) კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს, 2008 წლის სამხედრო კონფლიქტმა რუსეთთან, რომლის პროვოცირებაშიც საერთაშორისო საზოგადოება რუსეთს ადანაშაულებს, მაგრამ დამწყებად ქართულ მხარეს მიიჩნევს (ფაქტების დამდგენი საერთაშორისო დამოუკიდებელი მისიის, ტალიავინის კომისიის ანგარიში, 2009 სექტემბერი) მნიშვნელოვნად შეარყია ხელისუფლების იმიჯი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ.
- მცირე გამონაკლისს გარდა, არ არსებობს ურთიერთობა ბიზნესთან. ბიზნესსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ნორმალური თანამშრომლობის ჩამოყალიბებას კიდევ დიდი ხანი დასჭირდება.
- ქართული საზოგადოება, ტრადიციული ღირებულებებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი სიქველის მაღალ დონეს აჩვენებს, მაგრამ, მათი რეალიზებისათვის შესაბამისი ინსიტუციური პირობების შექმნის გარეშე, ყოველდღიური ქცევის ნორმებში სერიოზულ პროგრესს არ უნდა ველოდოთ.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ თვალშისაცემია განსხვავება სამოქალაქო საზოგადოების მიერ სექტორში თუ, ზოგადად, ქვეყანაში არსებული სიტუაციის შეფასებასა და იმავე საკითხისადმი საერთაშორისო თანამეგობრობის დამოკიდებულებას შორის. ქართული სსო-ები, ხშირად გადაჭარბებით აფასებენ საკუთარ უნარებსა და ღირებულებებს, ასევე, შედარებით პოზიტიურად წარმოაჩენენ ქვეყანაში არსებულ სურათს. ბევრად უფრო მკაცრია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაკეთებული შეფასებები: ისინი ერთხმად მიუთითებენ ბოლო ხუთი წლის მანძილზე საქართველოში საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში არსებულ რეგრესზე.

IV. ქართული სამოქალაქო საზოგადოების ძლიერი და სუსტი მხარეები

ამ ნაწილში განხილულია სამოქალაქო საზოგადოების, კერძოდ, სსო-თა სუსტი და ძლიერი მხარეები, როგორც ამას პროგრამაში ჩართული ადამიანები (ფოკუს-ჯგუფებისა და ეროვნული შეხვედრების მონაწილენი) აღიქვამენ.

ფორმატის შეზღუდულობის გამო აქ მოცემულია მხოლოდ ძირითადი თეზისები. უფრო დაწვრილებით მათი განხილვა მოხდება ცალკე დოკუმენტში (იხ. სამოქმედო გეგმა):

სუსტი მხარეები:

- მიუხედავად მთელი რიგი დადებითი მახასიათებლებისა, ქართული სსო თანამეგობრობა არ წარმოადგენს წევრობაზე ორიენტირებულ სექტორს. წლების მანძილზე იგი ჩამოყალიბდა როგორც დასავლური დაფინანსების წყაროებთან დაკავშირებული, გარკვეულწილად, პრივილეგირებული კასტა, რომელიც საკმაოდ დაშორებულია მოქალაქეთა ყოველდღიურ ინტერესებს.
- სსო-ები ნამდვილად ვერ აკმაყოფილებენ თანამედროვე ორგანიზაციულ მოთხოვნებს. რეალურად, დაწერილი რეგულაციები სსო-ებში ძალზე ცოტაა, ამასთან, მეტწილად, ფორმალურ ხასიათს ატარებენ და პრაქტიკაში არ გამოიყენება. არ არსებობს სექტორიდან გასული კადრების როტაციის ნათელი და ეფექტური მექანიზმები.
- შიდა ღირებულებების სფეროში სსო-თა წინაშე მთელი რიგი პრობლემები იკვეთება. მიუხედავად დეკლარირებისა, პრაქტიკაში იშვიათად გამოიყენება გადაწყვეტილების მიღების დემოკრატიული მექანიზმები. გადაწყვეტილებებს, ძირითადად, მცირერიცხოვანი მმართველი ჯგუფები იღებენ და მათი გამჭვირვალობის ხარისხი აშკარად დაბალია. სსო-ები ასევე არ წარმოადგენენ პლურალიზმის არენას – საკმაოდ მაღალია მათი პოლიტიზაციის დონე და ორგანიზაციათა დაყოფა „ჩვენიანებად“ და „მოწინააღმდეგეებად“. საკმაოდ

მაღალია განსხვავებული ხედვებისადმი არატოლერანტული დამოკიდებულების ხარისხიც.

- მიუხედავად მთელი რიგი წარმატებებისა, სუსტია სსო-თა მიერ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე ზემოქმედების ხარისხი. ცალკეული წარმატებები ხელისუფლებასთან დიალოგში აღინიშნება იქ, სადაც შეთავაზებული ცვლილებები არ ამცირებს ხელისუფლების ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სხვა სახის გავლენებს. იქ, სადაც იწყება ძალაუფლების გადანაწილების ან ხელისუფლების საქმიანობის გამჭვირვალობის მოთხოვნა, წარმატების შანსი თითქმის არ რჩება. სიტუაციას ამძიმებს ის გარემოებაც, რომ სსო-ებს არ გააჩნიათ ძლიერი დასაყრდენი მოქალაქეთა ფართო ფენების სახით, ვინაიდან სამოქალაქო ჩართულობა სამოქალაქო სექტორში მეტად ვიწროა.
- ქვეყანაში არსებული მძიმე სოციო-ეკონომიკური ფონი აშკარად არ უწყობს ხელს სამოქალაქო სექტორის სწრაფ განვითარებას. ამას თან ერთვის საქართველოს ხელისუფლების საკმაოდ სკეპტიკური დამოკიდებულება სსო-თა საქმიანობისადმი.

ძლიერი მხარეები:

- ორგანიზაციული კუთხით, სსო-ები, სამოქალაქო საზოგადოების სხვა სეგმენტებთან შედარებით, უფრო განვითარებულნი არიან (იგულისხმება როგორც მენეჯმენტი, ისე ფინანსური და ტექნიკური რესურსები).
- ბოლო დროს, სულ უფრო და უფრო მეტი სსო აცნობირებს ცვლილებებისა და მსგავსი ძირეული ღირებულებების გარშემო კონსოლიდაციის აუცილებლობას.
- ბოლო ხანებში გამოიკვეთა პოზიტიური ტენდენციებიც: ხელისუფლება, საგარეო საზოგადოების თვალში არსებული იმიჯის გაუარესებისა და ქვეყნის შიგნით პოპულარობის მკვეთრი შემცირების პირობებში, კვლავ ავლენს სურვილს, მოუსმინოს განსხვავებულ აზრებს და გათვალისწინოს მათი ნაწილის; საზოგადოებაში სულ უფრო და უფრო იზრდება მოთხოვნა მოქალაქეთა ინფორმირებულობაზე და დემოკრატიულ ღირებულებებზე, რასაც სსო-ებმა შეიძლება საკუთარი სოციალური ბაზის გასაძლიერებლად გამოიყენონ.

V. რეკომენდაციები

ეროვნული შეხვედრის მონაწილეთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციები საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების, კერძოდ, სსო-თა გაძლიერებას, საზოგადოების ინტერესების შესაბამისად მათ საქმიანობას და ამ უკანასკნელის ეფექტიანობის ამაღლებას ისახავს მიზნად.

ქართული სსო-ების ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზზე და ჩატარებული კვლევების შედეგებზე დაფუძნებული რეკომენდაციების უფრო გაშლილი და დეტალური განხილვა სამოქმედო გეგმაში არის წარმოდგენილი.

უპირველეს ყოვლისა, ეროვნული შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ აუცილებელია ორი მიმართულებით მუშაობა: პირველი, ესაა აქტივობები, რომლებიც მიზნად ისახავენ საზოგადოების „გამოღვიძებას“ – ამ უკანასკნელის გააქტიურებასა და სამოქალაქო პროცესებში მაქსიმალურ ჩართვას, მეორე, საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლას, დაიწყოს/დააჩქაროს ქვეყნის დემოკრატიული გარდაქმნების პროცესი. ამავე დროს, საერთაშორისო საზოგადოება, რომელიც საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციების სახითაა წარმოდგენილი, ქართული სამოქალაქო საზოგადოების მიერ დასახული მიზნების მიღწევის პროცესში სტრატეგიულ პარტნიორად მოიაზრება.

ა. საზოგადოების ჩართულობა

ზოგადი მიზანი: სამოქალაქო ჩართულობის დონის ამაღლების ხელშეწყობა

კონკრეტული მიზნები: სსო-თა საქმიანობის მეტი გამჭვირვალობა; სამოქალაქო აქტივობაში ნაკლები გამოცდილების მქონე სოციალური ჯგუფების მხარდაჭერა

აქტივობები:

- არასამთავრობო ორგანიზაციების საჭიროებების კვლევა
- არაფორმალური კავშირების ფორმალურ ორგანიზაციებად ჩამოყალიბების ხელშეწყობა

- ადგილებზე მოხალისეობრივი საწყისების განვითარება
- მედიასთან ერთად ადვოკატირების პროგრამებში მონაწილეობა
- დემოკრატიული ღირებულებების გასავრცელებლად სამოქალაქო განათლების დიდი პროგრამების განხორციელება

აქტორები: ყველა სახის სსო, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების სხვა სეგმენტების მხარდაჭერით.

ბ. ორგანიზაციული განვითარება

ზოგადი მიზანი: სსო-თა ორგანიზაციული უნარების ზრდა

კონკრეტული მიზნები: ადამიანური რესურსების და ფინანსური მდგრადობის კორელირება

აქტივობები:

- წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციებისათვის სოციალური მეწარმეობის წახალისება
- სახელმწიფო დაკვეთებზე და ტენდერებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა
- ქველმოქმედების წამახალისებელი კანონმდებლობის მიღება
- თანამედროვე ორგანიზაციული სტანდარტების შემუშავება და პრაქტიკული განხორციელება
- დონორების მიერ წარმოებული პოლიტიკის დაგეგმვაში მონაწილეობა
- საერთაშორისო კავშირების გაფართოება (საერთაშორისო ქსელების ჩათვლით)
- ორგანიზაციული განვითარების ტრენინგების ციკლები

აქტორები: თინკ-ტენკები, დონორი ორგანიზაციები, ტრენინგ-პროვაიდერები, საზღვარგარეთ არსებული შესაბამისი კონსალტინგური ორგანიზაციები, მედია.

გ. ღირებულებები

ზოგადი მიზანი: ფასეულობებთან დაკავშირებული პრაქტიკის არსებული რეალობის გაუმჯობესება

კონკრეტული მიზნები: გადაწყვეტილების მიღების დემოკრატიული პრაქტიკის დამკვიდრება; სამოქალაქო საზოგადოების ფასეულობათა რევიზია და ახალ გამოწვევებთან მათი ადაპტირება; არატოლერანტული, ძალადობრივი და კორუფციული ძალების გავლენის არეალის შეზღუდვა

აქტივობები:

- ტრენინგები, ვორკშოპები და სემინარები სამოქალაქო განათლების სფეროში
- რეალისტური სტანდარტებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება და იმპლემენტაცია
- ქცევის, ეთიკისა და პროფესიული ღირსების კოდექსების შემუშავება
- სხვადასხვა (მათ შორის, მარგინალიზებული) სოციალური ჯგუფების ჩართვა დიდ პროგრამებში

აქტორები: სსო-ები, ხელისუფლება, სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფი, პროფესიული და თავისუფალი ასოციაციები, დონორი ორგანიზაციები

დ. გავლენა

ზოგადი მიზანი: სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებზე სსო-ების გავლენის ზრდა

კონკრეტული მიზნები: სწრაფი გავლენა სფეროებზე, სადაც ადვილად შესაძლებელია გავლენის მიღწევა (ნაკლებად პოლიტიზირებული სფეროები: კულტურა, სპორტი), მდგრადი ზემოქმედების შექმნა სფეროებზე, სადაც უკიდურესად რთულია/გაძნელებულია გავლენის მოხდენა (ადამიანის უფლებების დაცვა, სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის შეცვლა საზოგადოებაში არსებული რეალური მოთხოვნების დონეზე, კონფლიქტურ ზონებში დიალოგის წარმოება, ჯანდაცვის, განათლების, სოციალური პოლიტიკის ადაპტაცია ქვეყნის საჭიროებებთან)

აქტივობები:

- სსო-ების კონკრეტულ საკითხებზე ორიენტირებული ქსელების შექმნა
- არსებული ხედვების გასავრცელებლად საინფორმაციო კამპანიების წარმოება
- საგანმანათლებლო საქმიანობა – სამოქალაქო განათლების პროგრამები
- სამართლებრივი ბაზის სრულყოფის ლობირება

- ფანდრაიზინგის სისტემების გაძლიერება დაგეგმილი საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დონორებთან კონსულტაციების ინტენსივობის გაზრდა

აქტორები: სსო-ები და მთლიანად სამოქალაქო საზოგადოება, ხელისუფლება, საერთაშორისო ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოების აქტორები (მედია, პოლიტიკური პარტიები)

ე. გარემო

ზოგადი მიზანი: ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგრადობა, მსოფლიო სტრუქტურებში ქვეყნის ინტეგრაციის ხელშეწყობა, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება

კონკრეტული მიზნები: ქვეყნის ეკონომიკური უნარების გაზრდა; სამოქალაქო საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება; ინსტიტუციური განვითარება ყველა დონეზე; დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბება; მოსახლეობის სოციალური გააქტიურება; კანონის უზენაესობის პრინციპის რეალიზაცია; ეკოლოგიური კულტურის ჩამოყალიბება-განვითარება

აქტივობები:

- ერთობლივი (რეგიონული, საერთაშორისო, კონფლიქტების ზონების) პროექტების განხორციელება სხვადასხვა სფეროში
- მრავალეთნიკური და დივერსიფიცირებული კულტურის პოპულარიზაცია
- სხადასხვა სოციალური ჯგუფის სოციალური და კულტურული ინტეგრაციის ხელშეწყობა
- დემოკრატიულ პროცესებში ინსტიტუციური მექანიზმების განვითარება/გაძლიერება

აქტორები: მთლიანად სამოქალაქო საზოგადოება (ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ)

VI. დასკვნები

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ინდექსის კვლევისას (2008-2010) თვალშისაცემი იყო მონაცემთა სანდოობის დაბალი დონე, ასევე, სსო-თა წევრების, მეტწილად, გადაჭარბებული თვითშეფასება. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით იჩენს თავს ორგანიზაციული განვითარების დონისა (64.5%) და შიდა ღირებულებების (64.7%) დახასიათებისას. ეროვნული შეხვედრის (თბილისი, 2010 მარტი) მონაწილეებმა თავიდანვე ეჭვი შეიტანეს მონაცემთა სისწორეში და მაღალი ქულები მიაწერეს სსო-ების სურვილს, საუკეთესო მხრიდან წარმოეჩინათ საკუთარი ორგანიზაციები.

ასევე შეინიშნება განსხვავება გარემოს შეფასებისას. ქართული საზოგადოება შედარებით უკეთეს ფერებში ხატავს არსებულ სურათს, ვიდრე ამის საშუალებას საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემები იძლევა.

ნებისმიერ შემთხვევაში, ანალიზი საშუალებას გვაძლევს, რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა გავაკეთოთ:

- სამოქალაქო საზოგადოება, განსაკუთრებით, სსო-ები, საგრძნობლად დასუსტდნენ „ვარდების რევოლუციის“ (2003) შემდეგ, როცა ადგილობრივი თუ საერთაშორისო აქტორების ყურადღება უმთავრესად ხელისუფლებაზე და მის მიერ გატარებული პოლიტიკის მხარდაჭერაზე გადავიდა.
- ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებმა დემოკრატიზაციის სფეროში უკუპროცესები გამოიწვია. მთელი რიგი მაჩვენებლების მიხედვით, საქართველოში ახლა უფრო მძიმე სურათია, ვიდრე თუნდაც 2000 წელს იყო. სიტუაციას უფრო ამძიმებს ქვეყნის ხელისუფლებაში საზოგადოებასთან დიალოგის სურვილის არარსებობა.
- საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება, სინამდვილეში, 10-12 წლის წინანდელ დონეზე აღმოჩნდა და უწევს ხელახალ განვითარებაზე ფიქრი. სსო-ებმა საკუთარი კონფორმისტული ხედვებისა თუ ზოგადად საზოგადოებაზე და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე დაბალი

ზეგავლენის უნარის გამო ვერ მოახერხეს ზემოაღნიშნული პროცესების თავიდან აცილება; ამიტომ მათ თავიდან უწევთ საზოგადოებაში საკუთარი როლის გაზრება.

- ამჟამად, როცა უარყოფითისკენ იცვლება საზოგადოების დამოკიდებულება ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკის მიმართ, ჩნდება იმის წინაპირობა, რომ სსო-ებმა უფრო აქტიური როლი ითამაშონ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში.
- ამ მხრივ, სსო-ებს გარკვეული უპირატესობა აქვთ: ისინი, მიუხედავად მთელი რიგი სისუსტეებისა, მაინც უფრო ორგანიზებულ ძალას წარმოადგენენ და თუ სწორ პოლიტიკას გაატარებენ, შეუძლიათ მეტი გავლენა მოახდინონ როგორც ზოგადად საზოგადოებაზე, ისე ხელისუფლებაზეც.
- ქვეყანაში უფრო აქტუალური ხდება სოციალური საკითხები და დემოკრატიული ღირებულებები, რასაც ასევე ანგარიში უნდა გაუწიოს სამოქალაქო საზოგადოებამ.
- საერთაშორისო ორგანიზაციების (მათ შორის, დონორების) მიერ გატარებულ პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებები (დემოკრატიულ ღირებულებებზე მეტი ყურადღების გამახვილება) ასევე დამატებით სტიმულად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

იმისათვის, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა სწორი რეაგირება მოახდინონ ახალ გამოწვევაბზე, აუცილებელია:

- ჯერ თავად სსო-ების (და სამოქალაქო საზოგადოების სხვა სეგმენტები) შეთანხმდნენ იმ ძირითად ღირებულებებზე, რომლებიც გააერთიანებს მათ საქმიანობის პროცესში;
- სხვადასხვა აქტივობის მიხედვით ჩამოყალიბდეს ერთიანი (დარგობრივი, რეგიონული და ა.შ.) პლატფორმები, რომელთაც მხარი უნდა დაუჭირონ სხვადასხვა მიმართულების სსო-ებმა, მიუხედავად საკუთარი პოლიტიკური თუ სხვა სახის სიმპათია-ანტიპათიებისა;
- უნდა გაძლიერდეს ქსელური მუშაობა სსო-თა შორის და გაუმჯობესდეს თვით ამ ორგანიზაციათა მართვის ეფექტურობა და დემოკრატიულობის ხარისხი;
- ერთიანი პლატფორმებისა და ქსელების საშუალებით სსო-ებმა თავიანთი ხედვები მოსახლეობის რაც შეიძლება დიდი ნაწილს უნდა

გააცნონ და ხელი შეუწყონ ქვეყანაში პოზიტიური ცვლილებებისათვის ახალი საზოგადოებრივი დაკვეთების ფორმირების პროცესს.

მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი, გაიზარდოს სსო-ების პოზიტიური ზეგავლენა როგორც უშუალოდ ხელისუფლებაზე, ისე ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე.

დანართები

დანართი 1. მონაცემთა ინდიკატორების მატრიცა

1)	**განზომილება: სამოქალაქო ჩართულობის დონე**		**20.6**
1.1		საზოგადოებრივ ინიციატივებში ჩართული ადამიანების რაოდენობა	4.6
	1.1.1	საზოგადოებრივი ჯგუფების წევრობა	3.2
	1.1.2	მოხალისეობა საზოგადოებრივ ჯგუფებში	3.6
	1.1.3	სათემო ჩართულობა	7.1
1.2		საზოგადოებრივი აქტივობების სიღრმე	17.8
	1.2.1	საზოგადოებრივი ჯგუფების წევრობა 2	5.3
	1.2.2	მოხალისეობა საზოგადოებრივ ჯგუფებში 2	4.7
	1.2.3	სათემო ჩართულობა 2	43.5
1.3		საზოგადოებრივი აქტივობების მრავალფეროვნება	52.5
	1.3.1	საზოგადოებრივ ინიციატივებში ჩართული ჯგუფების მრავალფეროვნება	52.5
1.4		პოლიტიკურ აქტივობებში ჩართული ადამიანების რაოდენობა	6.2
	1.4.1	პოლიტიკურად ორიენტირებული ჯგუფების წევრობა	1.3
	1.4.2	მოხალისეობა პოლტიკურად ორიენტირებულ ჯგუფებში	1.0
	1.4.3	პოლიტიკური ორიენტაციის აქტივიზმი	16.4
1.5		პოლიტიკურ აქტივობებში ჩართულობის სიღრმე	14.0
	1.5.1	პოლიტიკურად ორიენტირებული ჯგუფების წევრობა 2	5.0
	1.5.2	მოხალისეობა პოლიტიკურად ორიენტირებულ ჯგუფებში 2	8.2
	1.5.3	პოლიტიკური ორიენტაციის აქტივიზმი 2	28.9
1.6		პოლიტიკურ აქტივობებში ჩართულობის მრავალფეროვნება	28.5
	1.6.1	პოლიტიკური ხასიათის ინიციატივებში ჩართული ჯგუფების მრავალფეროვნება	28.5
2)	**განზომილება: ორგანიზაციული განვითარების დონე**		**64.5**
2.1		შიდა მართვის მექანიზმები	94.1
	2.1.1	მართვა	94.1
2.2		ინფრასტრუქტურა	69.3
	2.2.1	დამხმარე/ქოლგა ორანიზაციები	69.3
2.3		ურთიერთობა სექტორის წარმომადგენელ სხვა ორგანიზაციებთან, ჯგუფებთან	83.7
	2.3.1	კომუნიკაცია მსგავს თემაზე მომუშავე ორგანიზაციებთან	85.1
	2.3.2	კომუნიკაცია მსგავს თემაზე მომუშავე ორგანიზაციებთან 2	82.2
2.4		ადამიანური რესურსები	43.0
	2.4.1	ადამიანური რესურსების მდგრადობა	43.0
2.5		ფინანსური და ტექნოლოგიური რესურსები	91.1
	2.5.1	ფინანსური მდგრადობა	89.0
	2.5.2	ტექნოლოგიური რესურსები	93.1

2.6		საერთაშორისო კავშირები	6.1
	2.6.1	საერთაშორისო კავშირები	6.1
3)	**განზომილება: ფასეულობებთან დაკავშირებული პრაქტიკა**		**64.7**
3.1		გადაწყვეტილების მიღების დემოკრატიული წესი	82.2
	3.1.1	გადაწყვეტილების მიღების დემოკრატიული წესი	82.2
3.2		შრომითი ურთიერთობების რეგულირება	36.5
	3.2.1	თანაბარი შესაძლებლობები	17.8
	3.2.2	პროფკავშირის წევრები	24.1
	3.2.3	ტრენინგი შრომით უფლებებში	18.8
	3.2.4	ყველასათვის მისაწვდომი შრომითი სტანდარტები	85.1
3.3		ქცევის კოდექსი და გამჭვირვალობა	87.7
	3.3.1	ყველასათვის მისაწვდომი ქცევის კოდექსი	82.2
	3.3.2	გამჭვირვალობა	93.1
3.4		გარემოსდაცვითი სტანდარტები	80.2
	3.4.1	ბუნებისდაცვითი სტანდარტები	80.2
3.5		სამოქალაქო საზოგაოდების შიგნით ფასეულობების აღქმა	37.0
	3.5.1	სამოქალაქო საზოგადოების შიგნით ძალადობის აღქმა	35.1
	3.5.2	სამოქალაქო საზოგადოების შიგნით დემოკრატიული ნორმების შესრულების აღქმა	43.5
	3.5.3	კორუფციის დონის აღქმა	14.0
	3.5.4	არატოლერანტობის აღქმა	33.8
	3.5.5	არატოლერანტური ჯგუფების წონის აღქმა	45.6
	3.5.6	სამოქალაქო საზოგადოების როლის აღქმა მშვიდობის დამკვიდრებაში	50.0
4)	**განზომილება: გავლენის აღქმა**		**30.3**
4.1		გულისხმიერება (შიდა შეფასება)	33.0
	4.1.1	გავლენა № 1 სოციალურ პრობლემაზე	22.7
	4.1.2	გავლენა № 2 სოციალურ პრობლემაზე	25.8
4.2		გავლენა სოციალურ სფეროზე (შიდა შეფასება)	49.5
	4.2.1	სამოქალაქო სექტორის სოციალური გავლენა	34.0
	4.2.2	საკუთარი ორგანიზაციის გავლენა	65.0
4.3		გავლენა პოლიტიკის სფეროზე (შიდა შეფასება)	40.7
	4.3.1	სამოქალაქო სექტორის გავლენა სახელმწიფო პოლიტიკაზე	22.2
	4.3.2	პოლიტიკის ფორმირებაზე ორიენტირებული საქმიანობა	55.6
	4.3.3	საკუთარი ორგანიზაციის გავლენა სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებაზე	44.4
4.4		გულისხმიერება სოციალური საკითხების მიმართ (გარე შეფასება)	20.3
	4.4.1	გავლენა № 1 სოციალურ პრობლემაზე	17.2
	4.4.2	გავლენა № 2 სოციალურ პრობლემაზე	23.3
4.5		გავლენა სოციალურ სფეროზე (გარე შეფასება)	25.0
	4.5.1	გავლენა საზოგადოებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხების გადაწყვეტაზე	33.3
	4.5.2	სამოქალაქო სექტორის სოციალური გავლენის დონე	16.7
4.6		გავლენა პოლიტიკის სფეროზე (გარე შეფასება)	23.3
	4.6.1	გავლენა სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ მიმართულებებზე	33.3
	4.6.2	სექტორის გავლენა ზოგადად სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებაზე	13.3

4.7		სამოქალაქო საზოგადოების გავლენა საზოგადოებრივ განწყობებზე	20.2
	4.7.1	განსხვავება ნდობის ხარისხში სამოქალაქო საზოგადოების წევრთა და არაწევრთა შორის	1.8
	4.7.2	განსხვავება ტოლერანტობის ხარისხში სამოქალაქო საზოგადოების წევრთა და არაწევრთა შორის	0.0
	4.7.3	განსხვავება საერთო სიკეთისადმი დამოკიდებულებაში სამოქალაქო საზოგადოების წევრთა და არაწევრთა შორის	33.4
	4.7.4	ნდობა სამოქალაქო საზოგადოების მიმართ	45.6
5) კონტექსტუალური განზომილება: გარემო			**59.6**
5.1		სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტი	66.5
	5.1.1	ძირეული უნარების ინდექსი	89.4
	5.1.2	კორუფცია	39.0
	5.1.3	უთანასწორობა	59.6
	5.1.4	ეკონომიკური კონტექსტი	78.0
5.2		სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტი	57.0
	5.2.1	პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები	50.0
	5.2.2	კანონის უზენაესობა და პიროვნების თავისუფლება	56.3
	5.2.3	შეკრების და გაერთიანების შექმნის თავისუფლება	58.3
	5.2.4	სამართლებრივი გარემოს აღქმა	40.9
	5.2.5	სახელმწიფოს ეფექტურობა	47.4
5.3		სოციალურ-კულტურული კონტექსტი	52.8
	5.3.1	ნდობა სამოქალაქო საზოგადოების მიმართ	18.6
	5.3.2	ტოლერანტულობა	47.1
	5.3.3	საზოგადოებრივი სიქველე	92.8

დანართი 2. ინდიკატორების სანდოობის შეფასება

პროექტის დასკვნით ეტაპზე მრჩეველთა საბჭოს წევრებმა შეაფასეს ჩატარებული გამოკითხვების შედეგად მიღებული მონაცემების სანდოობა. შეფასებისას გამოყენებულ იქნა ფერადი კოდები. თითოეულ ინდიკატორს მის სანდოობის ხარისხის შესაბამისად მიენიჭა ფერი.

დიაგრამა 1. სანდოობის შეფასების ფერადი კოდები და განმარტება

წყაროები, რომლის საფუძველზეც აღნიშნული დაანგარიშება გაკეთდა, სანდოდ არ შეიძლება იყოს მიჩნეული (მიკერძოებულია, მოძველებულია, ან სხვა მიზეზის გამო). შესაბამისად, დაანგარიშება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს არც სხვა ქვეყნებთან შედარებისთვის, არც ქვეყნის შიგნით სამოქალაქო საზოგადოების მდგომარეობის შესაფასებლად.	წყაროები ბოლომდე სანდოდ არ შეიძლება ჩაითვალოს. მონაცემები არ გამოდგება სხვა ქვეყნებში არსებულ მდგომარეობასთან შესადარებლად, თუმცა, გარკვეულწილად, შეიძლება იყოს გამოყენებული ქვეყნის შიგნით.	სანდოობის ხარისხი შედარებით დიდია. დაანგარიშება შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა ქვეყნებთან შედარებისთვის (თუნდაც კონტექსტის გათვალისწინებით) და შიდა შეფასებისთვის.	სანდოობის დონე მაღალია და მონაცემები შეიძლება იყოს გამოყენებული როგორც შიდა შეფასებისთვის, ასევე სხვა ქვეყნებთან შესადარებლად.

ქვემოთ იმ ინდიკატორების ჩამონათვალი არის მოცემული, რომლის სანდოობის ხარისხი შეფასებულ იქნა, როგორც არასანდო (წითელი კოდი) და საეჭვო (სტაფილოსფერი კოდი).

განზომილება: სამოქალაქო ჩართულობა

1.1.3 სათემო ჩართულობა
1.2.1 საზოგადოებრივი ჯგუფების წევრობა 2
1.2.2 მოხალისეობა საზოგადოებრივ ჯგუფებში 2
1.5.1 პოლიტიკურად ორიენტირებული ჯგუფების წევრობა 2
1.5.2 მოხალისეობა პოლიტიკურად ორიენტირებულ ჯგუფებში 2
1.5.3 პოლიტიკური ორიენტაციის აქტივიზმი 2

განზომილება: ორგანიზაციული განვითარების დონე

2.4.1 ადამიანური რესურსების მდგრადობა
2.5.1 ფინანსური მდგადობა
2.6.1 საერთაშორისო კავშირები

განზომილება: ღირებულებებთან დაკავშირებული პრაქტიკა
3.1.1 გადაწყვეტილების მიღების დემოკრატიული წესი
3.2.4 ყველასთვის ხელმისაწვდომი შრომითი სტანდარტები
3.4.1 ბუნებისდაცვითი სტანდარტები

განზომილება: გავლენის აღქმა
4.7.1 განსხვავება ნდობის ხარისხში სამოქალაქო საზოგადოების წევრთა და არაწევრთა შორის
4.7.2 განსხვავება ტოლერანტობის ხარისხში სამოქალაქო საზოგადოების წევრთა და არაწევრთა შორის

დანართი 3. სამოქალაქო საზოგადოების ინდექსის კვლევის ფარგლებში ჩატარებული შეხვედრების მონაწილეთა სია

პროექტის გუნდის წევრები

- თინა ტყეშელაშვილი – კოორდინატორი
- პაატა გურგენიძე – კოორდინატორი
- გია გოთუა – მკვლევარი
- დავით ლოსაბერიძე – სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტი
- მანანა სვიმონიშვილი – საზოგადოებასთან ურთერთობის კოორდინატორი

მრჩეველთა საბჭოს წევრები

- რამაზ აფციაური, საქართველოს გაეროს ასოციაცია
- კობა ლიკლიკაძე, რადიო *თავისუფლება*
- კამილა მამედოვა, სათემო ცენტრი *მარნეული*
- ბაკურ სულაკაური, *ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა*
- ლელა ქართველიშვილი, კონფლიქტების და მოლაპარაკებების ცენტრი
- მანანა ღურჭუმელიძე, პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი
- გია ხასია, ასოციაცია *ათინათი*

- თამარ ხიდაშელი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
- კახა ხიმშიაშვილი, შვედეთის საერთაშორისო დახმარების სააგენტო
- ნანა ჯანაშია, კავკასიის გარემოსდაცვითი ქსელი
- ემზარ ჯგერენაია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეგიონული ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა სია

თბილისი

- ირაკლი ქავთარაძე, საქართველოს პარლამენტი
- ზვიად ქორიძე, დამოუკიდებელი ჟურნალისტი
- ოლივერ რაისნერი, ევროპის კომისია
- მალხაზ სალდაძე, ფონდი *ღია საზოგადოება – საქართველო*
- ნინო ლეჟავა, ჰაინრიხ ბიოლის ფონდი
- კოტე კანდელაკი, სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი
- გიორგი შამუგია, ახალგაზრდა ქრისტიანთა ასოციაცია
- პაატა ბელტაძე, თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანება
- მანანა ქოჩლაძე, მწვანე ალტერნატივა
- მანანა ქარსელაძე, სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი
- ლევან ახვლედიანი, ასოციაცია ბიზნესი და პარლამენტი

ახალქალაქი

- მიხეილ კოლიკიდი, ჯავახეთის სამოქალაქო ფორუმი
- სამველ ხიდიკიანი, კავშირი *ხიდი*
- სამველ დარბინიანი, ბიზნესმენი
- ვაგარშაკ შახპეტიანი, მერსი კორპსი
- მიხეილ ქადოიანი, ახალგაზრდობის ჯგუფი
- ვალერი სტევმაკოვი, ადგილობრივი თვითმმართველობა
- შალვა გარდაფხაძე, ადგილობრივი თვითმმართველობა
- გაიოზ ხუციშვილი, ფერმერთა კოოპერატივი
- სოსო ბალახაძე, ფერმერი
- თამაზ გოგოლაძე, ბიზნესმენი
- დალი აღდგომელაძე, *ქალები ჯავახეთის მომავლისათვის*
- ლევონ ლევონიანი, სამოქალაქო ინიციატივების ცენტრი
- აიპნიკ აივაზიანი, გაზეთი *სამხრეთის კარიბჭე*
- არშაკ სიმონიანი, ახალგაზრდული ჯგუფი
- შორენა თეთვაძე, ახალქალაქის კოლეჯი

ბათუმი

- გივი მამალაძე, პატიმართა უფლებების დაცვის ორგანიზაცია
- გიული ხიმშიაშვილი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ნატალია ფანჯიკიძე, *პროგრესი*
- მერაბ ღოღობერიძე, ლეიბორისტული პარტია
- ირაკლი ბერიძე, „საქართველო“
- მაკა მაღრაძე, ადამიანის უფლებათ ცენტრი
- მარიკა ჩხობაძე, დემოკრატიის ინსტიტუტი
- სვეტლანა წუთბა, საქველმოქმედო ცენტრი
- როლანდ შანიძე, ევანგელისტური ეკლესია
- გიორგი მახარაშვილი ქრისტიანულ – დემოკრატული მოძრაობა
- გურამ წითლაძე, აჭარის ბუნების დაცვის სამინისტრო
- ხათუნა ნაკაშიძე, თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანება

ოზურგეთი

- ირაკლი დოლიძე, გაზეთი *გურიის მოამბე*
- მარიკა ტულუში, გაზეთი *ალიონი*
- ნინო ნიკოლაიშვილი, გაზეთი *ალიონი*
- მარიკა ახალაძე, გაზეთი *გურია ნიუსი*
- შორენა ღლონტი, გაზეთი *გურია ნიუსი*
- ელდერ სირაძე, დამოუკიდებელი ჟურნალისტი
- თამაზ ტრაპინაძე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
- ნანა თავდუმაძე, ადგილობრივი თვითმმართველობა
- რუსუდან რატიანი, ოზურგეთის საინფორმაციო ცენტრი
- თემურ მარშანიშვილი, ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი
- ქეთი გობრონიძე, ოზურგეთის ახალგაზრდული რესურს-ცენტრი
- ირკლი პაპავა, დემოკრატიული განვითარების კავშირი

რუსთავი

- ცირა თავშავაძე, საგანმანათლებლო ინიციატივების ასოციაცია
- მარიკა ვარდიაშვილი, ქვემო ქართლის მედია ჯგუფი
- მარინა გორშკოვა, ბოლნისის ენის სახლი
- ლელა აფციაური, ადგილობრივი თვითმმართველობა
- მარრიამ ბჟალავა, *ქალთა სამყარო*
- გიორგი დემურიშვილი, საჯარო საინფორმაციო ცენტრი
- შორენა წიკლაური, წითელი ჯვრის საზოგადოება

- ძაურ ჭყოიძე, *მომავლისათვის*
- ჯონდო ადუაშვილი, ფერმერთა კავშირი *ლორე*
- რუსტამ მაიდოვ, *ხიდი*
- მაკა მაჭავარიანი, ქვემო ქართლის მედია ჯგუფი

თელავი

- ლევან როსტომაშვილი, სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი
- ნათია გიორგაძე, ადგილობრივი თვითმმართველობა
- სოსო მიქელაძე, კახეთის ბიზნეს-ცენტრი
- თინა კანჯალეიშვილი, გაეროს განვითარების პროგრამა
- ეკა იმერლიშვილი, *ვორლდ ვიჟენი*
- გია ფურცელაძე, ადგილობრივი თვითმმართველობა
- ნანა ჭიპაშვილი, დამოუკიდებელი ჟურნალისტი
- გიორგი აბდამანაშვილი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
- გიორგი მელაშვილი, თელავის უნივერსიტეტის თვითმმართველობა
- ნათია დალეიშვილი, კახეთის საინფორმაციო ცენტრი
- ნათია ოსიბასვილი, რადიო *კახეთის ღირსება*
- თეონა ჭავლეიშვილი, რეგიონალური განვითარების სააგენტო
- ანა ჩხეტიანი, რეგიონალური განვითარების სააგენტო
- მაია ყალიბეგაშვილი, კახეთის მედია-ასოციაცია

ზუგდიდი

- მარინა დავითაია, სამეგრელოს მედია ასოციაცია
- გალინა ნაცვლიშვილი, ფსიქიატრი
- ნონა უბილავა, დევნილ ქალთა ორგანიზაცია
- ანა თოლორაია, *ათინათი*
- მადონა ჯაბუა, ადგილობრივი თვითმართველობა
- მაია ჩემია, სამეგრელოს მედია-ასოციაცია
- ხათუნა ბეწვაია, ცენტრი *თანაზიარი*
- ელისო რურუა, ცენტრი *აფხაზეთი*
- ნანა ჯიბლაძე, ცენტრი *თანადგომა*
- რუსუდან პაჭკორია, სამართლებრივი დაცვის ინსტიტუტი
- ნანა თოდუა, ქალთა ასოციაცია *მერკური*
- კობა ასკანავა, აფხაზთა და ქართველთა რეაბილიტაციის ცენტრი

- შორენა ქეცბაია, ქალ დევნილთა ასოციაცია *მშვიდობა*
- გიორგი ქარდავა, ადგილობრივი თვითმმართველობა

ქუთაისი

- გურამ კვანტალიანი NGO
- ანა ჭელიძე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
- მირანდა მამისეიშვილი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
- ჯულიეტა გვიშიანი, დევნილთა ასოციაცია *იმედი XXI*
- ვახტანგ აბულაძე, ადგილობრივი თვითმმართველობა
- ნათია აბულაძე, *აფხაზინტერკონტი*
- თენგიზ ასლანიკაშვილი, ადვოკატი
- პაატა შარაშენიძე, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო
- სერგო წურწუმია, *აფხაზინტერკონტი*
- ზაზა ჩაჩავა, აფხაზეთის მთავრობა დევნილობაში
- მარიამ ხახალეიშვილი, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო
- ნინო მაცკილაძე, *კოდორი 2010*
- ხათუნა ხურციძე, *საჩინო*
- ნათია ნემსაძე, *საჩინო*
- თიკო ენდელაძე, *აფხაზეთი*

გორი

- შორენა ელბაქიძე, დემოკრატიული განვითარების ინსტიტუტი
- ჯანა ადუაშვილი, ქსელი ძალადობის წინააღმდეგ
- საბა წიწიკაშვილი, გაზეთი *ქართლის ხმა*
- ეკა ქუთელაშვილი, *ბერიკა*
- ქეთევან ბიძინაშვილი, *ნაბიჯი მომავლისკენ*
- თეა თედიაშვილი, სამართლიანი არჩევნები
- ნონა ასკილაშვილი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
- ვასილ გულეური, *ქეარ კავკაზუსი*
- ზაზა ჭიპაშვილი, ცენტრი *აფხაზეთი*
- ნინო დალაქიშვილი, სახალხო დამცველის ოფისი
- ლეილა ჯავახაძე, *ქართლის დედა*
- ზურაბ რუსემაშვილი, ქრისტიანულ დემოკრატიული მოძრაობა
- თეა ოროპირიძე, გორის სადისკუსიო კლუბი

- დავით რაზმაძე, რესპუბლიკური პარტია
- ომარ ბარბაქაძე, სოციალური მუშაკი

ახალციხე

- ლელა ინასარიძე, გაზეთი „სამხრეთის კარიბჭე“
- ნუგზარ ატატეშვილი, საზოგადოებრივი განითარების ცენტი
- მაკა რუდაძე, ახალციხის ახალგაზრდული ცენტრი
- ლია ჩილაშვილი, ზრდასრულთა განათლების ცენტრი
- ზვიად მერაბიშვილი, ახალციხის უნივერსიტეტის თვითმმართველობა
- გურამ ჭინჭველაძე, ფერმერთა საკონსულტაციო ცენტრი
- იური ზარნიძე, ადგილობრივი თვითმმართველობა
- ქეთი ნარიმანაშვილი, საერთაშორისო განათლებოს ცენტრი
- გიორგი ანდღულაძე, დემოკრატ-მესხთა კავშირი
- მანია პალიან, *ტოლერანტი*
- შორენა სურმანიძე, ტელეკომპანია *მე-9 არხი*
- ზურაბ ყულიჯანაშვილი, სპორტული კავშირი *კავკასია*

ეროვნული შეხვედრის მონაწილეთა სია

- ზვიად დევდარიანი, სამოქალაქო განვითარების სააგენტო
- დიმიტრი ცერცვაძე, *მრავალეროვანი საქართველო*
- ნანული რამიშვილი *განათლება და სამყარო*
- მერი ლობჟანიძე, *განათლება და სამყარო*
- დავით წიქარიშვილი, *ქართლი XXI*
- გიორგი ანდღულაძე, მესხ დემოკრატთა კავშირი
- ლიკა ღლონტი, ტემპუსის პროგრამა EU
- ირაკლი მაჩაბელი, წმ. ანდრია პირველწოდებულის უნივერსიტეტი
- გია ხასია, *ათინათი*
- თამარ ჩარკვიანი, ილიას სახ. უნივერსიტეტი
- ეკა ფოლადაშვილი, კახეთის მედია ცენტრი
- ანა ჭელიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
- მიხეილ ჩიტაძე, გორის საინფორმაციო ცენტრი
- გიორგი ხუციშვილი, კონფლიქტისა და მოლაპარაკების საერთაშორისო ცენტრი
- მიხეილ ანანიძე, *ინტელექტი*
- გიორგი გორგასლიძე, ახალგაზრდა მედიკოსთა ასოციაცია

- მარატ ციცკიშვილი, ეკოლოგიური აკადემია
- რეზო ოქუაშვილი, *ხალხის გაზეთი*
- ლევან გეგელაშვილი, კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევების ინსტიტუტი
- ალექსანდრე კალანდაძე, *სივიტას გეორგიკა*
- ნუგზარ რატიანი, გაზეთი *ალიონი*
- გურამ ახალაია, ფონდი *იავნანა*
- ბელა გველესიანი, ასოციაცია *გეა*
- ლელა პაპუაშვილი, *პოლონია*
- ზაურ ხალილოვი, სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი
- მარინა ჩიტაშვილი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი
- ნინო მგალობლიშვილი, ახალგაზრდა ჟურნალისტთა სახლი
- ნანა სუმბაძე, საჯარო პოლიტიკის ინსტიტუტი
- მანანა ხარაძე, მარნეულის დემოკრატ ქალთა კლუბი
- მანანა ღურჭუმელიძე, პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი
- სოფო გელაშვილი, ნიდერლანდების საელჩო
- ნოდარ სარჯველაძე, ადამიანური რესურსების განვითარების ფონდი
- ხათუნა ღავთაძე, ასოციაცია *გეა*
- ნანა ჯანაშია, კავკასიის გარემოსდაცვითი ქსელი
- ეკა ფოლადაშვილი, კახეთის მედია-ცენტრი
- უჩა ვახანია, ფონდი *თაობა*
- ვაჟა სალამაძე, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
- ირინა ხანთაძე, ტრენინგისა და კონსულტაციების ცენტრი
- ეკატერინე დემეტრაშვილი, თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანება
- მარიამ ხოტენაშვილი, საერთაშორისო გამჭვირვალობა
- რუსუდან ჯამასპიშვილი, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია
- ლელა ქართველიშვილი, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი
- შორენა ლორთქიფანიძე, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი

დანართი 4. პროექტის ფარგლებში 2010 წ. ჩატარებული თვისებრივი კვლევების ანგარიშები

1. ქეთევან ხაფავა, *მოხალისეობა თანამედროვე საქართველოში: პოლიტიკური პარტიები ახალგაზრდული ორგანიზაციების მაგალითზე.*
2. თამარ ჩარკვიანი, ანა ჭელიძე *ბიზნესის წარმომადგენლები კორპორაციულ სოციალური პასუხისმგებლობის და არაასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ.*
3. თამარ ჩარკვიანი, ანა ჭელიძე *ანგარიშვალდებულების ფორმები და პრაქტიკები საქართველოს სამოქალაქო სექტორში.*
4. ვასილ მამულაშვილი, *საქართველოს წამყვანი ტელეკომპანიების საინფორმაციო გადაცემები სამოქალაქო საზოგადოების შესახებ.*
5. გიორგი ბაბუნაშვილი, *პედაგოგთა და მეცნიერთა პროფკავშირის გავლენა განათლების პოლიტიკის ფორმირებაზე 2004-2008 წლებში.*

ბიბლიოგრაფია

1. An Assessment of Georgian Civil Society (2005), Civicus Civil Society Index Shortened Assessment Tool Report For Georgia, Tbilisi, 2005
2. Basic Capabilities Index - 2007, http://www.socialwatch.org/en/avancesyRetrocesos/ICB-2008/docs/BCI-2008-alphabetical-eng.pdf, (last accessed September 2010)
3. Basic Capabilities Index - 2008, http://www.socialwatch.org/sites/default/files/BCI-2008-alphabetical-eng.pdf, (last accessed September 2010)
4. Business Software Alliance, 2009, http://global.bsa.org/internetreport2009/, (last accessed September 2010)
5. Civil Society Organisations in Georgia, Development Dynamics and Trends, CSRDG, 2010
6. Codes of conduct, 2009, http://www.gdrc.org/ngo/codesofconduct/ifrc-codeconduct.html, (last accessed September 2010)
7. Department of Statistics (2006) Public Finance and Monetary and Credit System, Ministry of Economic Development of Georgia. http://www.statistics.ge/Main/Yearbook/2005/21Finances-05.doc, (last accessed September 2010)
8. Freedom House, 2005, Nations in Transit 2005, http://www.freedomhouse.org/research/nattransit.htm, (last accessed September 2010)
9. Freedom House, 2008a, Freedom in the World, http://www.freedomhouse.org/template.cfm?page=395 (last accessed September 2010)
10. Freedom House, 2008b, Aggregate Scores, 2003-2008, http://www.freedomhouse.org/template.cfm?page=413 (last accessed September 2010)
11. Freedom House, 2009, Freedom of the World, Electoral Democracies 2009, http://www.freedomhouse.org/

template.cfm?page=477&year=2009, (last accessed September 2010)
12. Gaprindashvili, Lela (2003) Women Status in Georgia (in Georgian). Tbilisi.
13. Georgian Ministry of Justice (2005) Unified Register of Unions. http://www.justice.gov.ge/kavshirebis%20reestri.html, (last accessed September 2010)
14. The Georgian Times, 2009, http://geotimes.ge/index.php?m=home&newsid=20215&lang=geo, (last accessed September 2010)
15. HAPInternational, 2007, http://www.hapinternational.org/projects/standard/hap-standard.aspx. (last accessed September 2010)
16. Human Development Report - Georgia, 2004, UNDP. http://hdr.undp.org/reports/global/2004/, (last accessed September 2010)
17. Human Development Report - Georgia, 2009, http://hdrstats.undp.org/en/countries/country-fact-sheets/cty-fs-GEO.html (last accessed September 2010)
18. Human Development Report, Demographic trends, 2009a, Gini Coefficient 2007-2008, http://hdrstats.undp.org/indicators/147.html (last accessed September 2010)
19. Human Development Report, Demographic trends, 2009b, http://hdrstats.undp.org/en/countries/display-cf-xls-ds.cfm?cty-id=GEO (last accessed September 2010)
20. ICNL-International Centre for Not-for-Profit Law (2003) Analysis of Legislation Affecting Non-entrepreneurial Organisations in Georgia, ICNL. www.icnl.org, (last accessed September 2010)
21. Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia, September 2009
22. Khapava Ketevan, 2010, Study of Organizational Capacity of Two NGOs from region of Samtskhe-Javakheti (Unpublished Paper)
23. Kipiani, David, Information Databases and a General Informational Strategy of The Third Sector, Citizen's Advocate! Program, 2003

24. Losaberidze, David, Civil Society, Ethnic Enclaves and Problem of the Citizenship in Georgia, Transition to the Democracy and Active Citizenship, DVV International, 2007
25. Losaberidze, David, The problem of citizenship in Georgia - legal and factual aspects, Reinventing citizenship in the South Caucasus, Geneva, 2001 (in Engl.)
26. Nodia, Ghia, Civil Society Development in Georgia: Achievements and Challenges. Tbilisi, CIPDD 2005
27. NGO Sustainability Index, 2003, USAID-Georgia http://www.usaid.gov/locations/europe-eurasia/dem-gov/ngoindex/2003/index.htm, (last accessed September 2010)
28. NGO Sustainability Index, 2004, USAID-Georgia http://www.usaid.gov/locations/europe-eurasia/dem-gov/ngoindex/2004/index.htm, (last accessed September 2010)
29. NGO Sustainability Index, 2006, USAID-Georgia
30. NGO Sustainability Index, 2007, USAID-Georgia
31. NGO Sustainability Index, 2008, USAID-Georgia
32. Parliamentary Assembly of the Council of Europe, http://assembly.coe.int/Main.asp?link=http://assembly.coe.int/Documents/AdoptedTex, (last accessed September 2010)
33. Parliamentary Assembly of the Council of Europe, resolution 1415, http://assembly.coe.int/TA05/ERES1415.htm, (last accessed September 2010).
34. The Political Landscape of Georgia, Political Parties: Achievements, Challenges and Prospects, Tbilisi, 2006
35. Social Watch Report, 2008a, http://www.socialwatch.org/node/9262 (last accessed September 2010)
36. Social Watch Report, 2008b, http://www.socialwatch.org/sites/default/files/pdf/Education-2008-en.xls, (last accessed September 2010)
37. Transparency International, 2005, http://www.transparency.org/, (last accessed September 2010)
38. Transparency International, Corruption Perception Index, 2008, http://www.transparency.org/policy-research/surveys-indices/cpi/2008, (last accessed September 2010)
39. Transparency International, Corruption Perception Index, 2009,

http://www.transparency.org/policy-research/surveys-indices/cpi (last accessed September 2010)
40. UNICEF, 2008, The State of the World's Children, www.unicef.org/sowc08, (last accessed September 2010)
41. Values of Georgian Society Survey, OSGF, 2006
42. World Bank Data, 2008, Internet Users, http://web.worldbank.org/WBSITE/EXTERNAL/DATASTATISTICS/0,,contentMDK:21725423~pagePK:64133150~piPK:64133175~theSitePK:239419,00.html (last accessed September 2010)
43. World Bank Database, Economy - external debt to GNI ratio, http://web.worldbank.org/WBSITE/EXTERNAL/DATASTATISTICS/0,,contentMDK:20535285~menuPK:1192694~pagePK:64133150~piPK:64133175~theSitePK:239419,00.html (last accessed September 2010)
44. World Bank, Statistics for Georgia, http://web.worldbank.org/WBSITE/EXTERNAL/COUNTRIES/ECAEXT/GEORGIAEXTN/0,,contentMDK:20169119~menuPK:301771~pagePK:1497618~piPK:217854~theSitePK:301746,00.html (last accessed September 2010)
45. World Health Organisation 2005a, Communicable Disease Global Atlas Database, www.who.int/GlobalAtlas (last accessed September 2010)
46. World Health Organisation 2005b, Reproductive Health Indicators Database, www.who.int/reproductivehealth (last accessed September 2010)
47. World Health Organisation 2005c, World Malaria Report 2005, www.rbm.who.int/wmr2005/ (last accessed September 2010)
48. World Values Survey, 2000
49. World Values Survey, 2005
50. Worldwide Governance Indicators, World Bank, 2008, http://info.worldbank.org/governance/wgi/sc-country.asp (last accessed September 2010)